

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2009, №8

განსჯადობა

1. ადმინისტრაციული განსჯადობა
2. საერთო განსჯადობა
3. ტერიტორიული განსჯადობა
4. განსჯადობა მოსარჩელის არჩევით
5. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე განცხადების განსჯადობა
6. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განსჯადობა

1. ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1257-1219(გ-08)

14 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა ა. ს-ოვის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

19.09.08წ. ა. ს-ოვა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსარჩელემ მოპასუხე საქართველოს ნოტარიუსთა პალატი-სათვის ნასყიდობის ხელშეკრულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების დავალება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 24.07.92წ. გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება სანოტარო ბიუროში. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ. თბილისში, ... გამზირზე, 36^ბ-ში მდებარე #7 ბინა, თუმცა ხელშეკრულებაში ბინის ნომერი შეცდომით იქნა მითითებული, კერძოდ, "#7-ის" ნაცვლად - "#8". ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ბიუროშიც გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 24.05.99წ. #39 ბრძანების საფუძველზე შეუწყდა უფლებამოსილება, რის გამოც ხელშეკრულებაში შესწორების შეტანის მოთხოვნით მიმართა საქართველოს ნოტარიუსთა პალატას, რომელმაც განუმარტა, რომ პალატას არ გააჩნდა 24.07.92წ. პრივატიზაციის ხელშეკრულებაში შესწორების შეტანის კომპეტენცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.09.08წ. განჩინებით ა. ს-ოვის სარჩელი განსახილველად ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეცა. სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ დავის საგანს შეადგენდა ფიზიკურ პირებს შორის 24.07.92წ. დადებულ ხელშეკრულებაში შესწორების შეტანა. დავის საგანი გამომდინარეობდა სამოქალაქო სამართლებრივი, კერძოდ, სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით (რომელიც თავისთავად ადმინისტრაციული დავის განსჯადობას განსაზღვრავს,) დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა - სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან მითითებული მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული კატეგორიის დავების განხილვა შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობით; და სადავო სამართალურთიერთობაში მონაწილე ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო (ე.წ. სამართალსუბიექტობის პრინციპი). ადმინისტრაციული ორგანოს დავაში მხოლოდ მონაწილეობა არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული წესით განსახილველად მიჩნევის აბსოლუტურ კრიტერიუმს, თუმცა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსახილველად დელეგირებულ საქმეებში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ასევე ერთ-ერთი სავალდებულო პირობაა. სასამართლომ მიიჩნია, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სადავო სამართალურთიერთობის არსს - დავის საგანს, ადმინისტრაციული სარჩელის სახეობას, რომლის გარკვევა შესაძლებელია სამართალურთიერთობის რეგულირების კანონმდებლობის დადგენის შემდეგ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 13.10.08წ. განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ა. ს-ოვი სასარჩელო განცხადებით ადმინისტრაციული ორგანოსაგან, საქართველოს ნოტარიუსთა პალატისაგან ითხოვდა ქმედების განხორციელებას. საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ 05.09.08წ. უარი განაცხადა ქმედების განხორციელებაზე, შესწორების შეტანაზე. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 31.10.07წ. წერილის თანახმად, ვ. მ-კოს სახელზე ირიცხებოდა #7 ბინა, რომელიც მან მიჰყიდა ა. ს-ოვს. ნასყიდობის ხელშეკრულებაში ბინის ნომრად მითითებულია #8. "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტარიუსთა პალატა არის თვითმმართველობის პრინციპზე აგებული ნოტარიუსების გაერთიანება და ემყარება ნოტარიუსთა

სავალდებულო წევრობას. საქართველოს იუსტიციის მინისტრის #2359 ბრძანებით დამტკიცებული "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" დამტკიცებული დებულების 27-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სიტყვა (ასო, წინადადება, ციფრი), რომელიც ამოღებულ იქნა, უნდა შესწორდეს; შემოიხაზება და გვერდით დაისმება ციფრი; ეს ციფრი უნდა დაისვას, აგრეთვე, დოკუმენტის ტექსტის ბოლოს; ციფრის გვერდით უნდა მიეთითოს - "ამოღებულია", შემდეგ უნდა გამოვრდეს მინიშნული სიტყვა (ასო, წინადადება, ციფრი), ხოლო შემდეგ უნდა მიეთითოს - "უნდა იყოს" და უნდა დაიწეროს სიტყვა (ასო, წინადადება, ციფრი), რომლითაც იცვლება ამოღებული სიტყვა (ასო, წინადადება, ციფრი). სასამართლო კოლეგიის მითითებით, მოსარჩელე რაიმე სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის, ანუ შეცდომის ფაქტის აღიარებას კი არა, ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებისას დაშვებული შეცდომის გასწორებას ითხოვდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ნოტარიუსი სანოტარო მოქმედების შესრულებისას ასრულებს საჯარო უფლებამოსილებას. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ზემოხსენებული ბრძანებულება "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "წ" ქვეპუნქტის შესაბამის ნორმატიულ აქტს წარმოადგენს. სასკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობდა არა სამოქალაქო, არამედ, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ს-ოვის სასარჩელო განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელე ა. ს-ოვის სასარჩელო მოთხოვნას შეადგენს მოპასუხე საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის ქმედების განხორციელების დავალდებულება, კერძოდ, 24.07.94წ. ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, "ბინა #8-ის" ნაცვლად "ბინა#7-ის" მითითება. აღნიშნული ხელშეკრულებით ვ. მ-კომ, რომლის საცხოვრებლ ადგილად ხელშეკრულებაში მითითებულია ქ. თბილისი, ... გამზირი, 36^ბ, #7, ბინა მიჰყიდა ა. ს-ოვს. ხელშეკრულება დამოწმებულია სახელმწიფო სანოტარო კანტორის სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ, რომელმაც შეამოწმა ნასყიდობის საგანზე ვ. მ-კოს საკუთრების უფლების არსებობა. საქმის მასალებში დაცულია 21.07.92წ. პრივატიზაციის ხელშეკრულება, რომლითაც ნასყიდობის საგანი სახელმწიფოსაგან პრივატიზაციის გზით გადაეცა ვ. მ-კოს. შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს იმ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ნოტარიუსმა დაადგინა ვ. მ-კოს საკუთრების უფლება ნასყიდობის საგანზე.

"ნოტარიატის შესახებ" კანონის 1.1. მუხლის თანახმად, ნოტარიატი არის საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. ამავე კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. სანოტარო აქტში შესწორების შეტანის წესი დადგენილია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 22.12.05წ. #2359 ბრძანებით დამტკიცებული "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" დებულებით. აღნიშნული დებულების 27.3 მუხლის თანახმად, ნოტარიუსი უფლებამოსილია, სანოტარო მოქმედების მონაწილის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, სანოტარო აქტის ტექსტში შეასწოროს სანოტარო აქტის შედგენისას დაშვებული აშკარა მექანიკური შეცდომები. აშკარა მექანიკურ შეცდომად ჩაითვლება სანოტარო აქტის ტექსტში დაშვებული კალმისმიერი, ორთოგრაფიული, არითმეტიკული ან სხვა სახის ხარვეზები, რომელთა მექანიკური ხასიათი თვალნათლივ დასტურდება ამავე სანოტარო აქტის სხვა ნაწილებიდან და/ან თანდართული დოკუმენტებიდან და რომელთა გასწორებაც არ იწვევს სანოტარო აქტის შინაარსის არსებით შეცვლას. ა. ს-ოვის მოთხოვნას მოპასუხისათვის ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოქმედების შესრულების დავალდებულება წარმოადგენს. ა. ს-ოვის სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა არ ემყარება სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობას, დავა არ წარმოშობილა ნასყიდობის ხელშეკრულების ირგვლივ, მოსარჩელე მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორების მოპასუხისათვის დავალდებულებას ითხოვს, რაც, საჯარო სამართლის კანონმდებლობით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის #2359 ბრძანებით დამტკიცებული "სანოტარო მოქმედებათა

შესრულების წესის შესახებ” დებულებით გათვალისწინებულ ნოტარიუსის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხის, სსიპ “საქართველოს ნოტარიუსთა პალატის”, სათანადოობა საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს. თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით (სსკ-ის 85-ე მუხლი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ა. ს-ოვის სასარჩელო განცხადება განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ა. ს-ოვის სარჩელი სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე განსახილველად გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-305-298(გ-08)

15 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა შ. მ-შვილის სააპელაციო საჩივრის განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

შ. მ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს ე. მ-ელის, ს. ა-ურის, თეთრიწყაროს მიწის მართვის სამმართველოსა და თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ასურეთის საკრებულოს აგრარული გარემოს დაცვისა და სადავო საკითხთა კომისიის წინააღმდეგ. მოსარჩელემ 1992წ. მიწის რეფორმის შედეგად მიკუთვნებული 3935 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთის დაკანონება, საჯარო გზის დადგენა და აღნიშნული გზის გამოთავისუფლება მოითხოვა.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 23.07.04წ. გადაწყვეტილებით შ. მ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თეთრიწყაროს რაიონის მიწათმომწყობის სამმართველოს, სარეგისტრაციო სამსახურსა და ასურეთის საკრებულოს დაეკისრა შესაბამისი ზომების მიღება და შ. მ-შვილისათვის მიწის ნაკვეთის საკუთრების მოწმობის გაცემა სოფელ ... საცხოვრებელ სახლთან არსებულ 3900 მ²-ზე ნაკვეთზე 29.02.96წ. #162 აქტის შესაბამისად. მიწათმომწყობის რაიონულ და სასოფლო კომისიებს დაევალიათ ს. ა-ურისა და ე. მ-ელის მიწის ნაკვეთების საკონტროლო აზომვები და აღურცხავი მიწის ფართის საერთო გადასახადისათვის დაქვემდებარება, აგრეთვე კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა და მისი მიზ-

ნობრივად გამოყენება. შ. მ-შვილს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც იგი მოითხოვდა ს. ა-ურისა და ე. მ-ელის მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ სასოფლო გზის დადგენას.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 23.07.04წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. მ-შვილმა და გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება მოითხოვა, რომლითაც მიწათმოქმედების რაიონულ და სასოფლო კომისიებს დაევალიათ ს. ა-ურისა და ე. მ-ელის მიწის ნაკვეთების საკონტროლო აზომვები და აღურიცხავი მიწის ფართის საერთო გადასახადისათვის დაქვემდებარება, აგრეთვე, მისი მიზნობრივად გამოყენება და რომლითაც შ. მ-შვილს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც იგი მოითხოვდა ს. ა-ურისა და ე. მ-ელის მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ სასოფლო გზის დადგენას. 10.10.06წ. სასამართლო სხდომაზე შ. მ-შვილმა დაადასტურა, რომ სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გაუქმებული სასოფლო გზის აღდგენას. აპელანტმა აღნიშნა, რომ დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ ეთქვა უარი გზის აღდგენაზე. საქმეში დაცული მტკიცებულებები, კერძოდ, მიწის მართვის დეპარტამენტის, ასევე თეთრიწყაროს მიწის მართვის სამმართველოს დასკვნა ადასტურებდა მისი მოთხოვნის საფუძვლიანობას. თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ დასაბუთების გარეშე უსაფუძვლოდ მიიჩნია ბეჭედდასმული და უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი საპროექტო ნახაზები, რომელშიც აღნიშნულია სასოფლო გზა. სასოფლო გზა არსებობდა წლების მანძილზე და რამდენიმე წლის წინ გადაკეტეს მისმა მეზობლებმა, რასაც ადასტურებდა მისი მეზობლის, ზ. გ-ძის სამოსახლო ნაკვეთზე გაცემული სამოსახლო პროექტი, რომელზეც აღნიშნული იყო სახლთან მისასვლელი სასოფლო გზა, ასევე, ზ. გ-ძის ჩვენება, ნ. გ-შვილის მიწის საკადასტრო რუკა, მიწის მართვის სამმართველოს, სოფ. ასურეთის საკრებულოს წარმომადგენელთა და დაინტერესებულ პირთა თანდასწრებით ერთობლივად ჩატარებული მიწის აზომვა. აპელანტის განცხადებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით სასამართლომ იმ საკითხზე გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც განსახილველი დავის საგანს არ შეადგენდა. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.10.06წ. განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას იმ მოტივით, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს მოპასუხე საკრებულოს მიერ სასოფლო გზის დადგენა შეადგენდა, რაც ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენდა. 11.12.06წ. შ. მ-შვილმა დაზუსტებული სააპელაციო საჩივრით მიმართა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა საჯარო რეესტრში ე. მ-ელის სახელზე რიცხული, დაუკანონებელი 4890 მ²-ის 1500 მ²-მდე შემცირება, ხოლო ს. ა-ურის სახელზე რიცხული 4800 მ²-ის შემცირება და გ. მ-ელის სახელზე 1500 მ²-ის აღრიცხვა. აპელანტის განმარტებით, დანარჩენი ფართობი არის გზა, რომელიც უნდა გამოთავისუფლდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.03.08წ. განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი დავის საგნის გაზრდასა და შეცვლასთან დაკავშირებული, დაზუსტებულ სააპელაციო საჩივარში მითითებული შუამდგომლობები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.03.08წ. განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ შ. მ-შვილის სასარჩელო განცხადება მოიცავდა ორ მოთხოვნას: მისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის რეფორმის შედეგად გამოყოფილი მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაში გატარებას, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას და ადრე მის სარგებლობაში არსებული, საკარმიდამო ნაკვეთთან დამაკავშირებელი, აუცილებელი გზის აღდგენას, რომელიც გადაკეტილი ჰქონდათ მეზობელი ნაკვეთების მესაკუთრეებს - ე. მ-ელსა და ს. ა-ურს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი მოთხოვნა, რომელიც დაკმაყოფილდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ და აღნიშნულის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება შესული იყო კანონიერ ძალაში, წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავის საგანს. მეორე სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობდა სამოქალაქო კანონმდებლობიდან და მოთხოვნა მიმართული იყო ფიზიკური პირების წინააღმდეგ. აღნიშნულ სასარჩელო მოთხოვნაზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებაც დასაბუთებული იყო სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით, რის გამოც განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ შ. მ-შვილს დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის მიღებაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.03.08წ. განჩინებით უარი ეთქვა. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ არასწორად იქნა დაზუსტებული შ. მ-შვილის სააპელაციო მოთხოვნა. სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებაში მითითებული სახით სააპელაციო მოთხოვნის ჩამო-

ყალიბება ფაქტობრივად სააპელაციო მოთხოვნის შეცვლას წარმოადგენდა, რაც, სსკ-ის 381-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელი იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ შ. მ-შვილის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების მიხედვით შ. მ-შვილი სასარჩელო განცხადებით მოითხოვდა რეფორმის შედეგად მიკუთვნებული საკარმიდამო ნაკვეთის საკუთრების უფლებით დამტკიცებას და გზის აღდგენას. აპელანტის მოთხოვნას შეადგენს სასოფლო გზის აღდგენა, რომელიც, აპელანტის განმარტებით, მოპასუხეებმა გააუქმეს თავიანთი მიწის ნაკვეთების უკანონო გაფართოების შედეგად. შ. მ-შვილმა სააპელაციო საჩივრით გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება მოითხოვა, რომლითაც მიწათმოწყობის რაიონულ და სასოფლო კომისიებს დაევალიათ ს. ა-ურისა და ე. მ-ელის მიწის ნაკვეთების საკონტროლო აზომვები და აღურიცხავი მიწის ფართის საერთო გადასახადისათვის დაქვემდებარება, აგრეთვე მისი მიზნობრივად გამოყენება და რომლითაც შ. მ-შვილს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც იგი მოითხოვდა ს. ა-ურისა და ე. მ-ელის მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ სასოფლო გზის დადგენას. აპელანტის მოთხოვნას სასოფლო (საჯარო) გზის აღდგენა შეადგენს. მოპასუხედ ამ საკითხთან დაკავშირებით შ. მ-შვილის მიერ დასახელებულ იქნა ასურეთის სოფლის საკრებულო, რაც დადასტურებული იქნა მის მიერ 10.10.06წ. სასამართლო სხდომაზე. სააპელაციო პალატის 06.03.07წ. საოქმო განჩინებით თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ასურეთის საკრებულო "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის 65-ე მუხლის საფუძველზე შეიცვალა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტით. ამდენად, სააპელაციო სასამართლოში განხილვის საგანია ადმინისტრაციული ორგანოს დავალებული იქნა იმ ქმედების განხორციელებაზე, რომელიც განეკუთვნება ამ უკანასკნელის უფლებამოსილების სფეროს, კერძოდ, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" კანონის 16.2 მუხლის "ნ" ქვეპუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა, ამავე კანონის 47-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაშია თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ქუჩები, სკვერები და ა.შ.), გარდა კერძო საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული მიწებისა, აგრეთვე ის მიწები, რომლებიც ექვემდებარება დასახელებული კატეგორიის ქონებაზე (სახელმწიფო ქონება და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონება) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე ითხოვს არა მეზობლის ნაკვეთის დატვირთვას, საკუთრების შეზღუდვას, თმენის ვალდებულების დაკისრებას (სკ-ის 180-ე მუხ.), არამედ გზის აღდგენას. ასკ-ის 2.1 "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. ხსენებული სარჩელის წარდგენის მიზანია ისეთი ქმედების განხორციელების დავალება, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია რეალაქტის გამოცემისაკენ, რომელიც უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. განსახილველ შემთხვევაში შ. მ-შვილის მოთხოვნა შეადგენს ასკ-ის 2.1 მუხლის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების დავის საგანს, რის გამოც საქმე განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო საჩივრის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს ქმნის შ. მ-შვილის მიერ სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთება სამოქალაქო კოდექსის ნორმების მოშველიებით. ჯურა ნოვიტ ცურია-ს პრინციპიდან გამომდინარე (სასამართლოსათვის ცნობილია სამართლებრივი პრინციპები), მოსარჩელის და მოპასუხის სამართლებრივ შეხედულებებს საქმის განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით არ აქვს მნიშვნელობა. დაუშვებელია საჯარო-სამართლებრივი დავის მიჩნევა კერძო-სამართლებრივ დავად იმის გამო, რომ მოსარჩელე თავის საჯარო-სამართლებრივ მოთხოვნას კერძო სამართლის ნორმების მეშვეობით ასაბუთებს. მით უფრო, რომ მოსარჩელემ სააპელაციო პალატაში საქმის განხილვისას აღნიშნა, რომ კანონმდებლობას არ იცნობს.

უსაფუძვლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ შ. მ-შვილმა სააპელაციო სასამართლოში შეცვალა დავის საგანი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ პირველ ინსტანციაში დავის საგანს შეადგენდა გზის აღდგენა და 1992 წელს გადაცემული მიწის ნაკვეთის დაკანონება. მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული და მოპასუხეებს დაევალათ სადავო მიწის ნაკვეთზე შ. მ-შვილისათვის საკუთრების მოწმობის გაცემა, ხოლო საჯარო გზის აღდგენაზე მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრებული იქნა შ. მ-შვილის მიერ. შ. მ-შვილმა სააპელაციო საჩივრით საჯარო გზის აღდგენა მოითხოვა. აპელანტმა 10.10.06წ. სასამართლო სხდომაზე მხარი დაუჭირა სააპელაციო საჩივარს და განმარტა, რომ სასამართლო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ნაწილში გასაჩივრა, რითაც არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა სასოფლო გზის აღდგენის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობის და დავის საგნის არსის, სამართალსუბიექტურობის მიხედვით დავა ადმინისტრაციული წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება, რის გამოც იგი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული და განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1671-1625(გ-08) 20 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა თელავის რაიონულ სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის დავა განსჯადობის თაობაზე, საქმეზე ვ. კ-მის სარჩელის გამო, მოპასუხეების - საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 21 ნოემბერს ვ. კ-მემ სარჩელი აღძრა თელავის რაიონულ სასამართლოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიმართ და მოითხოვა 81758,36 ლარის გადახდევინების შესახებ თელავის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 3 ნოემბრის დადგენილების გაუქმება; 2006 წლის 7 ოქტომბერს ნაშთში დარჩენილი საწვავის დანაკარგის ანაზღაურების დაკისრება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის; 2002 წლის 25 აპრილიდან 2006 წლის 14 ნოემბრამდე უკანონო ბრალდების გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 50000 ლარის ოდენობით; საქართველოს გენერალური პროკურატურის დავალებულება ვ. კ-მის რეაბილიტაციის შესახებ იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოშვებაში ინფორმაციის გამოქვეყნება ბოდიშის მოხდით და თელავის საგადასახადო ინსპექციისათვის განმარტების მიცემა იმის თაობაზე, რომ ვ. კ-მის რეაბილიტაცია ნიშნავს 2001 წლის 24-25 სექტემბერს შედგენილი აქტის უსაფუძვლობას, რის გამოც ეკრძალებათ მის მიმართ საგადასახადო მოთხოვნის წარდგენა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის განჩინებით ვ. კ-მის სარჩელი მოპასუხეების - საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიმართ ქმედების განხორციელების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სარჩელი სასამართლოს წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო იურიდიული პირის მიმართ - მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხეთა ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, რის გამოც სარჩელის განმხილველ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით ვ. კ-მის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადი დავა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციული კატეგორიის დავად მიჩნევისათვის საკმარისი არ არის საქმეში ერთ-ერთ მხარედ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა, არსებითია ის გარემოება, რომ დავა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ვ. კ-მის სარჩელი ეფუძნება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 228-ე, 223-ე, 225-ე მუხლებსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე, 414-ე, 1005-ე მუხლებს, რომლებიც არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. ადმინისტრაციული კანონმდებლობა კი აწესრიგებს პირთა უთანასწორობაზე დაფუძნებულ, ვერტიკალური ხასიათის საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განეკუთვნება საჯარო-სამართლებრივ, მაგრამ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კანონმდებლობას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს თელავის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 3 ნოემბრის დადგენილების გაუქმება ვ. კ-მისათვის თანხის დაკისრების შესახებ. მოთხოვნის ამ ნაწილში სარჩელის განმხილველ უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს არა თბილისის საქალაქო, არამედ - თელავის რაიონული სასამართლო. მართალია, მოპასუხეებად მითითებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და გენერალური პროკურატურა, მაგრამ აღნიშნული გარემოება არ ცვლის დავის განსჯადობის ხასიათს. ასეთ შემთხვევაში, მითითებულ მოთხოვნასთან მიმართებაში, თელავის რაიონულ სასამართლოს ხარვეზი უნდა დაედგინა მოსარჩელისათვის და დაეზუსტებინა, თელავის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 3 ნოემბრის დადგენილების გაუქმების ნაწილში მოპასუხედ დასახელებდა თუ არა თელავის საგადასახადო ინსპექციას.

ამდენად, სარჩელის მოთხოვნის ზემოთ მითითებულ ნაწილში საქალაქო სასამართლომ განსჯად სასამართლოდ მიიჩნია თელავის რაიონული სასამართლო.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის ვ. კ-მის სასარგებლოდ საწვავის დანაკარგის ანაზღაურების დაკისრება და უკანონო ბრალდების გამო, მორალური ზიანის ანაზღაურება. ამდენად, მოსარჩელე ითხოვს უკანონო ბრალდების გამო მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, რაც განხილულ უნდა იქნეს სისხლის სამართალწარმოების წესით, რადგან ამ ნაწილში დავის გადასაწყვეტად გამოყენებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე, 222-ე, 225-ე, 227-ე და 228-ე მუხლები, რომლებიც რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ასევე, დარღვეული უფლებების აღდგენის წესსა და პირობებს ადგენს.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 227-ე მუხლის შესაბამისად უკანონო ბრალდების გამო მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი წარმოადგენს სისხლის სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მოთხოვნა ვ. კ-მის რეაბილიტაციის შესახებ იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოშვებაში ინფორმაციის გამოქვეყნებისა და დაზარალებულისათვის ბოდიშის მოხდის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურატურის დავალდებულების თაობაზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 225.1 და 225.5 მუხლების შესაბამისად, ასევე წარმოადგენს სისხლის სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას თელავის საგადასახადო ინსპექციისათვის განმარტების მიცემის შესახებ, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია ბუნდოვნად, რადგან გაურკვეველი იყო, ვის უნდა განემარტა თელავის საგადასახადო ინსპექციისათვის - სასამართლოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თუ საქართველოს გენერალურ პროკურატურას. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ, აღნიშნული შეიძლება გამხდარიყო თელავის რაიონული სასამართლოს განსჯადი, რადგან სარჩელში მითითებული იყო თელავის საგადასახადო ინსპექციისათვის გარკვეული განმარტების გაკეთებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თელავის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნია, რომ ვ. კ-მის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე, სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. ამდენად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა: ვ. კ-მისათვის დავალიანების - 81758,36 ლარის გადახდევინების შესახებ თელავის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 3 ნოემბრის დადგენილების გაუქმება; 2006 წლის 7 ოქტომბერს ნაშთში დარჩენილი საწვავის დანაკარგის ანაზღაურების დაკისრება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის, ასევე მოსარჩელის სასარგებლოდ, 2002 წლის 25 აპრილიდან 2006 წლის 14 ნოემბრამდე უკანონო ბრალდების გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 50000 ლარის ოდენობით; საქართველოს გენერალური პროკურატურის დავალდებულება ვ. კ-მის რეაბილიტაციის შესახებ იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოშვებაში ინფორმაციის გამოქვეყნება დაზარალებულისათვის ბოდიშის მოხდით და თელავის საგადასახადო ინსპექციისათვის განმარტების მიცემა იმის თაობაზე, რომ ვ. კ-მის რეაბილიტაცია ნიშნავს 2001 წლის 24-25 სექტემბერს შედგენილი აქტის უსაფუძვლობას, რის გამოც ეკრძალებათ ვ. კ-მის მიმართ საგადასახადო მოთხოვნის წარდგენა.

საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნებს მოცემული დავის განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, თუმცა ამ დასკვნების გაზიარებისათვის პროცესუალური წინაპირობები არ არსებობს, კერძოდ, საქალაქო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა თელავის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 3 ნოემბრის დადგენილების გაუქმების ნაწილში თელავის რაიონული სასამართლოს განსჯადად მიიჩნია. ამგვარი დასკვნის გაკეთების წინაპირობა იარსებებდა მოპასუხედ თელავის საგადასახადო ინსპექციის მითითების პირობებში. კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხეებად დასახელებული იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და გენერალური პროკურატურა. საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ თელავის რაიონულ სასამართლოს საქმის განსჯადობით გადაგზავნამდე, სარჩელის დაზუსტების შედეგად უნდა განესაზღვრა, ვისკენ იყო მიმართული სასარჩელო მოთხოვნა და შესაბამისად, სსსკ-ის 15.1 მუხლის თანახმად, დაედგინა განსჯადი სასამართლო,

რაც არ გაურკვევია თელავის რაიონულ სასამართლოს, ისე გადაუგზავნა საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს, მოპასუხე მხარეს და თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ.

დისპოზიციურობის პრინციპი ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია საპროცესო სამართალში, რაც ნების ავტონომიიდან გამომდინარეობს და თავის მხრივ, გულისხმობს, რომ მხარეები თავისუფალნი არიან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო შეზღუდულია დისპოზიციურობის პრინციპით, რის გამოც, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დისპოზიციურობის პრინციპი სამართალწარმოებაში ესაა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და მხარეთა გარანტირებული შესაძლებლობა, თავისუფლად ისარგებლონ ან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამასთან, დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა მხარეთა თავისუფალი ნება, დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით სარჩელი აღძრან სასამართლოში, მიუთითონ მოპასუხე, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სასარჩელო მოთხოვნაზე.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს - უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას იმპერატიული შინაარსის ნორმა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სისხლის და სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 "ა" მუხლის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან საქმის განსჯადობას ამოწმებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშე, თავისი ინიციატივით, რამდენადაც როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად შეამოწმოს განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86.1 "ბ" მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ სარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძველებიდან. ამასთან, მოსარჩელეს შეუძლია, ერთ სარჩელში გააერთიანოს მოთხოვნები რამდენიმე მოპასუხის მიმართ. სარჩელის მიღების შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია, მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, გაერთიანებული სარჩელიდან ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა სსსკ-ის 182.3 მუხლის საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ სარჩელზე მოპასუხეებად მითითებულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და გენერალური პროკურატურა. სარჩელი წარდგენილ იქნა თელავის რაიონულ სასამართლოში, რომელმაც საქმე განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს – მოპასუხეების ადგილსამყოფლის მიხედვით სსსკ-ის 20-ე მუხლის შესაბამისად. თბილისის საქალაქო სასამართლომ თუკი მიიჩნია, რომ სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, დავის საგანი არ იყო მიმართული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ან გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ, თავად უნდა განეხორციელებინა შესაბამისი საპროცესო მოქმედება სსსკ-ის 85-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. საქალაქო სასამართლოს მოსარჩელისათვის არ შეუთავაზებია არასათანადო მოპასუხის სათანადოთი შეცვლის საკითხი, მისი თანხმობით ეს საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია, რის შედეგადაც საქალაქო სასამართლო აღარ იქნებოდა ტერიტორიულად განსჯადი სასამართლო მითითებული მოთხოვნის ნაწილში, აღნიშნული ძირითადი საპროცესო მოქმედებების შესრულების გარეშე, თბილისის საქალაქო სასამართლომ განსჯადად მიიჩნია თელავის რაიონული სასამართლო, რაც სრულიად დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან.

საკასაციო სასამართლო მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ვ. კ-მის მოთხოვნა უკანონო ბრალდების გამო მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების, ასევე ვ. კ-მის რეაბილიტაციის შესახებ იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოშვებაში ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ საქართველოს გენერალური პროკურატურის დავალდებულების ნაწილში სისხლის სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე, 225-ე, 227-ე და 228-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და რეაბილიტაციის გამო მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ნორმებით განსახილველ ურთიერთობას, რომელიც გამომდინარეობს არა ადმინისტრაციული /საჯარო/ სამართლის კანონმდებლობიდან, არამედ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის XXVIII თავით განსაზღვრულია როგორც პირის რეაბილიტირების, ასევე სისხლის სამართალწარმოების ორგანოს უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესები.

საკასაციო სასამართლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 227.3 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ მას შემდეგ, რაც მომკვლევნი ან გამომძიებელი შეწყვეტს სისხლის სამართლის საქმეს იმ საფუძველით, რომელსაც რეაბილიტაცია მოსდევს, იგი განსაზღვრავს რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობას, რის შემდეგაც პროკურორი შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეს გადასცემს განსჯად სასამართლოს, რაც იმავე დღეს უნდა ეცნობოს რეაბილიტირებულს, ამასთან თუ საქმის შეწყვეტის შემდეგ არ განისაზღვრა ზიანის ოდენობა, რეაბილიტირებული პირი უფლებამოსილია პირდაპირ მიმართოს განსჯად სასამართლოს, რომელიც საქმეს განიხილავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 227-ე მუხლის III და IV ნაწილების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა წარმოადგენს საჯარო სამართლის კანონმდებლობის ნაწილს, მაგრამ იგი არცერთ შემთხვევაში არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, ვინაიდან სისხლის სამართალი წარმოადგენს სამართლის დამოუკიდებელ დარგს და წესრიგდება სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე პირის სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს სახელმწიფოს (პროკურორი, გამომძიებელი, სსსკ 24.2 მუხლი) განსაკუთრებულ იურისდიქციას, რა დროსაც შესაბამისი ორგანოები არ განხორციელებენ კლასიკურ მმართველობის ფუნქციას, არამედ, ამ კომპეტენციის განხორციელებისას გვევლინებიან ე.წ იუსტიციის ორგანოებად, რა დროსაც მათი ქმედებები ან მიღებული გადაწყვეტილებები ექვემდებარება სასამართლო კონტროლს არა ადმინისტრაციული სამართალწარმოების, არამედ, სისხლის სამართალწარმოების მეშვეობით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი /დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან/, რის გამოც არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები მითითებულ ნაწილში დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საქალაქო სასამართლომ მითითებული სასარჩელო მოთხოვნა მიიჩნია რა სისხლის სამართალწარმოების წესით განსახილველად, არ განუსაზღვრია სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლო. ამასთან, აღნიშნულ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სსსკ-ის 182.3 მუხლის მიხედვით, უნდა გამოეყო საქმე ცალკე წარმოებად და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის შესაბამისად, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილი სასამართლოსათვის.

მოცემულ შემთხვევაში ეს არ არის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის საფუძველზე სასამართლოთა შორის დავა საქმის განსჯადობის თაობაზე, შესაბამისად, არ არსებობს ამავე მუხლით დადგენილი საკასაციო სასამართლოს იურისდიქცია - სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის უფლებამოსილების თაობაზე, რამდენადაც სისხლის სამართალწარმოების წესით მოთხოვნის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლო არ დავობს სარჩელის განსჯადობაზე. კონკრეტულ შემთხვევაში თელავის რაიონულმა სასამართლომ საქმე მიიჩნია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადად და განსახილველად გადაუგზავნა ამ უკანასკნელს, ხოლო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მოთხოვნის ნაწილში უფლებამოსილ სასამართლოდ მიიჩნია თელავის რაიონული სასამართლო, ხოლო ნაწილში დავა სისხლის სამართალწარმოების წესით განსახილველად მიიჩნია. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში განსჯადობის თაობაზე დავა არსებობს მხოლოდ თელავის რაიონულ სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის, ხოლო უკანონო ბრალდების გამო მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების, ასევე, ვ. კ-ძის რეაბილიტაციის შესახებ იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოშვებაში ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ საქართველოს გენერალური პროკურატურის დავალდებულების ნაწილში მოთხოვნის განსჯადობაზე დავა არ წარმოშობილა. აღწერილ ვითარებაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას უნდა ეხელმძღვანელა არა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით, არამედ, ამავე კოდექსის 26.2 მუხლით და ამ ნაწილში წარმოებით გამოყოფილი საქმე გადაეგზავნა უფლებამოსილი სასამართლოსათვის, რომელიც თუ მიიჩნევდა, რომ მოთხოვნის მითითებულ ნაწილში განსჯად სასამართლოს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის საფუძველზე წამოიწყებდა დავას განსჯადობის შესახებ, რა შემთხვევაშიც საკასაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება - გადაწყვეტოს დავა სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, სახეზე იქნებოდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნა თელავის საგადასახადო ინსპექციისათვის განმარტების გაკეთების შესახებ ბუნდოვანია და დაზუსტებას საჭიროებს, რის შემდეგაც უნდა შეფასდეს მოთხოვნის ამ ნაწილში სარჩელის განსჯადობის საკითხი.

ამდენად, არასწორია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნა მოცემული დავის განსჯადობის შესახებ, შესაბამისად, ვ. კ-ძის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას წარმოადგენს, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. კ-ძის სარჩელი განსახილველად გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-248-238(გ-09)

10 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

მ. ცისკაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებს შორის დავა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 19 სექტემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ხონის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე კ. გ-ძის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელო სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ კ. გ-ძე 2005 წლის 1 მარტიდან, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობის თანახმად, დაინიშნა მე-... ქვეითი ბრიგადის, ...-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის, მე-... მსუბუქი ქვეითი ასეულის, მე-... მსუბუქი ქვეითი ათეულის საცეცხლე ჯგუფის მეთაურად, სამხედრო წოდების "... მინიჭებით.

შეიარაღებულ ძალებში ჩარიცხვის დღიდან, მოპასუხე იმყოფებოდა სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე, რაც სახელმწიფოს მხრიდან გულისხმობდა მატერიალურ, სოციალურ და სამედიცინო უზრუნველყოფას.

2005 წლის 28 ოქტომბრის #2845 ბრძანებით, კ. გ-ძე დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან, კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

მოსარჩელის განმარტებით, სამხედრო მოსამსახურესთან დადებული ხელშეკრულების 7.3 პუნქტის თანახმად, კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეს ეკისრებოდა ვალდებულება, აენაზღაურებინა მასზე გათვალისწინებული, კონტრაქტით დარჩენილი ვადის თანხა, რაც კოკრეტულ შემთხვევაში შეადგენს 14 000 ლარს.

ხელშეკრულების 7.3 პუნქტის შესაბამისად, მომზადების პერიოდში ან მისი დასრულების შემდეგ, ან ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, თავისი სურვილით და "სამინისტროსთან" შეთანხმებით დატოვებს სამხედრო ძალებს, ან შექმნის პირობებს იმისათვის, რომ "სამინისტრო" იძულებული გახდეს, შეწყვიტოს 4-წლიანი კონტრაქტი, სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია, ჯარიმის სახით უპირობოდ აანაზღაუროს დარჩენილი ვადის თანხა.

ამავე ხელშეკრულების 3.2 პუნქტი სამხედრო მოსამსახურის მომზადების პერიოდად განსაზღვრავს სამხედრო სამსახურის პირველ სამ თვეს.

მოპასუხის სამხედრო სამსახურში ნამსახურების ვადა შეადგენდა 7 თვესა და 6 დღეს, რის შემდეგაც იგი დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

კონტრაქტის 7.4 მუხლით, სამხედრო მოსამსახურის მიერ, 7.3 და 7.4 მუხლებში აღნიშნული თანხების დაგენილ ვადებში დაფარვის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში აღნიშნულ თანხებს დაერიცხებოდა პირგასამტეხლო 0,2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელო ითხოვდა, კ. გ-ძეს დაკისრებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 14000 ლარის გადახდა.

ხონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი კ. გ-ძის მიმართ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის მოტივით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ხონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და მისი სარჩელო განცხადების სრულად დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად, განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო მოსამსახურეს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

ადმინისტრაციული პალატის მოსაზრებით, სარჩელის საფუძველი განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და უკავშირდება სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლასა და შეწყვეტას, სარჩელის საფუძველი ასევე განაპირობებს დავის განსჯადობასაც.

პალატის განმარტებით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოთხოვნა დაკავშირებულია ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან, ვერ განაპირობებს დავის ადმინისტრაციულ ხასიათს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის განჩინებით, საქმე #2/ბ-1061-08წ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის გამო ხონის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე კ. გ-ძისათვის ჯარიმის - 14 000 ლარის დაკისრებისა და პირგასამტეხლოს - 14 000 ლარის 0,2%-ის ყოველთვიურად დაკისრების ნაწილში გამოიყო ცალკე წარმოებად და განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ მიუთითა, რომ კ. გ-ძისათვის ჯარიმის - 14 000 ლარის დაკისრებისა და პირგასამტეხლოს - 14 000 ლარის 0,2%-ის ყოველთვიურად დაკისრების ნაწილში, სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კ. გ-ძეს შორის დადებული 2005 წლის 1 მარტის ხელშეკრულება (კონტრაქტი) და კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო, ამ ხელშეკრულებითვე განსაზღვრული კონკრეტული ოდენობის ზიანის ანაზღაურება ე.წ. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს სახით.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კ. გ-ძეს შორის დადებული, 2005 წლის 1 მარტის ხელშეკრულება (კონტრაქტი) არ არის დაკავშირებული სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლით განსაზღვრულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობასთან და წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ფიზიკურ პირთან დადებულ სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეებია, იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული საქმეები, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, კერძოდ: ა) ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა არარსებობის დადგენა.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებიდან და სასარჩელო მოთხოვნა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებითვე განსაზღვრული ზიანისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურებაა, აღნიშნულის გამო მოცემული დავა სრულად შეესაბამება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნებს, რაც განაპირობებს დავის არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციულ სამართლებრივ ბუნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი (ცალკე წარმოებად გამოყოფილ ნაწილში) განსჯადობის განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კ. გ-ძეს შორის 2005 წლის 1 მარტს დადებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და

ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ფიზიკური პირისათვის დაკისრება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსჯადობის თაობაზე სასამართლოთა შორის წარმოშობილი დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თავად სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის განსაზღვრას. რა თვალსაზრისითაც საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს იმ ნორმათა ანალიზს, რომელიც იძლევა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო ხელშეკრულებისაგან გამიჯვნის შესაძლებლობას.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედაგად, შემოდებული იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირებისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის უფლებით, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთ-ერთი მახასიათებელი არის ის, რომ ხელშეკრულების დადების შედეგად მოქალაქე აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან წმინდა სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობის მატარებლებად.

როგორც აღნიშნა, წინამდებარე შემთხვევაში დავის საგანია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. მითითებული კონტრაქტის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომლის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან დადებულია სწორედ ზემოაღნიშნული ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად. იმავდროულად ხელშეკრულების მონაწილე ფიზიკური პირი იღებს ვალდებულებას, იტვირთოს საჯარო-სამართლებრივი მოვალეობა და უზრუნველყოს მათი შესრულება.

ყოველივე აღნიშნული საკასაციო სასამართლო აძლევს საფუძველს, მიიჩნიოს, რომ წინამდებარე კონტრაქტი არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დავა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განსახილველად ექვემდებარება ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი (ცალკე წარმოებად გამოყოფილ ნაწილში) განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

2. განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს.

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-900-866(გ-08)

6 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა მ. ჯ-ონის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

05.08.08წ. მ. ჯ-ონმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის 05.05.08წ. #01/17-19 გადაწყვეტილების, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 03.06.08წ. #01/42-09-11873 გადაწყვეტილებისა და 23.04.94წ. რეგისტრირებული ქორწინების ჩანაწერის გაუქმების სსიპ - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურისათვის დავალდებულება მოითხოვა. მოსარჩელის განმარტებით, 20.09.91წ. აშშ-ში, ... შტატში, ... ოლქში, ... ქორწინების რეგისტრაციაში გატარდა ე. ლ. ჯ-ონთან. ქორწინების შემდეგ დაიტოვა საკუთარი გვარი - ბ-ძე. დაქორწინების შემდეგ მუდმივ საცხოვრებელ ადგილად აირჩიეს საქართველო. იმ დროს საქართველოში ვერ დაადასტურეს, რომ ეპისკოპოსის დასწრებით ქორწინება წარმოადგენდა სამოქალაქო წესით ქორწინების რეგისტრაციას და შეესაბამებოდა ქორწინების რეგისტრაციის ადგილზე მოქმედ კანონმდებლობას, რის გამოც ხელმეორედ, უკვე საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, 23.09.94წ. ქ. თბილისში დაქორწინდნენ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.08.08წ. განჩინებით საქმე განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო საკითხის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის ნორმები, რომლებითაც განისაზღვრებოდა დაქორწინებისა და განქორწინების წესი, ხელმეორედ ქორწინება, ქორწინების ნამდვილობის პირობები, ქორწინების ბათილობის სამართლებრივი საფუძველი. სსკ- მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავდა საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს შორის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 27.08.08წ. განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე ითხოვდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის 05.05.08წ. #01/17-19 გადაწყვეტილებისა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 03.06.08წ. #01/41-09-11873 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურისათვის 23.04.94წ. #1042 ქორწინების ჩანაწერის გაუქმების დავალდებულებას. სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხეები იყვნენ ადმინისტრაციული ორგანოები და სასარჩელო მოთხოვნას შეადგენდა საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ მ. ჯ-ონის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

"სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, სამოქალაქო აქტების ჩანაწერების შეცვლის, აღ-

დგენისა და გაუქმების, აგრეთვე, სამოქალაქო რეგისტრაციის წიგნების შენახვის წესს, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოთა სისტემასა და სამართლებრივ სტატუსს. ამავე კანონის 116-ე მუხლით დადგენილია, რომ სამოქალაქო აქტის პირველად და აღდგენილ ჩანაწერებს აუქმებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო გასაუქმებელი ჩანაწერის შესრულების ადგილის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სამოქალაქო აქტის ჩანაწერი გაუქმდება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლის შემოსვლის ან დაინტერესებული პირის მიერ წარდგენის შემთხვევაში.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის 05.05.08წ. #01/17-19 გადაწყვეტილებისა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 05.06.08წ. #01/12-09-11873 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურისათვის 23.04.94წ. #1042 ქორწინების რეგისტრაციის გაუქმების დავალდებულება. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებით მ. ჯ-ონს უარი ეთქვა სამოქალაქო აქტის გაუქმებაზე და განემარტა, რომ სამოქალაქო აქტის გაუქმების მოთხოვნით უნდა მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის. მიუხედავად აღნიშნულისა, მ. ჯ-ონმა არა სამოქალაქო აქტის გაუქმების, არამედ ადმინისტრაციული ორგანოების უარის ბათილად ცნობისა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურისათვის სამოქალაქო აქტის, ქორწინების რეგისტრაციის, გაუქმების დავალდებულების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის, კერძოდ, "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" კანონის 116-ე მუხლის შესაბამისად გამოცემული ადმინისტრაციული აქტები. სასამართლოს განხილვის საგანია ამ აქტების კანონიერება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დავის საგანი, ქორწინების რეგისტრაციის გაუქმებაზე უარის თქმა, ემყარება საჯარო კანონმდებლობას, კერძოდ, "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" კანონის 116-ე მუხლის დებულებას და იგი ვერ ჩაითვლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმეთა წრეს. მოსარჩელის მიერ მოთხოვნის ტრანსფორმაციის, ადმინისტრაციული აქტების ნაცვლად "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" კანონის 116-ე მუხლის მე-2 პუნქტის, სამოქალაქო კოდექსის 1140.2 მუხლის საფუძველზე ქორწინების აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნის შემთხვევაში, ხსენებული ნორმის მიერ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით ჩანაწერის ბათილად ცნობაზე მითითების მიუხედავად. საკასაციო პალატა თვლის, რომ დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, ვინაიდან სადავო საკითხი არ გამომდინარეობს კერძო სამართლებრივი ურთიერთობების სფეროდან, მიუხედავად იმისა, რომ ქორწინება კერძო სამართლებრივი ინსტიტუტია, განსახილველი დავა არ ეხება საოჯახო ურთიერთობას, მეუღლეთა განქორწინებას, რომელიც სკ-ის 1127-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხილვება, მოცემულ შემთხვევაში დავა ფიზიკურ პირებს შორის არ არსებობს, დავის საგანს შეადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქორწინების დადასტურების მართლზომიერება, რეგისტრირებული ქორწინების ხელმეორედ დადასტურება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დავა ეხება არა ორი ფიზიკური პირის საოჯახო ურთიერთობას, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის საკითხს ქორწინების დადასტურების მომენტში (23.09.94წ.) მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს საქორწინო და საოჯახო კოდექსის) მიხედვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ჯ-ონის სასარჩელო განცხადება სასკ-ის 26-ე მუხლის შესაბამისად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რომელსაც საქმე უნდა გადაეგზავნოს არსებითი განხილვისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე, მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ჯ-ონის სარჩელი მოპასუხე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-294-284(გ-09)

18 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ნ. სხირტლაძე
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 29 ივნისს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - "მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საკრედიტო კოოპერატივ "... " მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი "მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი" შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის #149 ბრძანებულების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანებულების მე-3 აბზაცის მე-2 პუნქტის თანახმად, ხსენებული ცენტრი შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 25 მაისის #203 ბრძანებულების შესაბამისად ჩამოყალიბებული "საქართველოს ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის მსოფლიო ბანკის პროექტის განმახორციელებელი ცენტრის" და საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის შორის 1996 წლის საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1996 წლის 7 თებერვლის #24 ბრძანებით დაფუძნებული "მსოფლიო ბანკის საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის მოსამზადებელი ჯგუფის" ბაზაზე და წარმოადგენდა მათ სამართალმემკვიდრეს. საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 19 სექტემბრის #616 ბრძანებულებით "მსოფლიო ბანკის საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის" საკოორდინაციო ჯგუფთან შეიქმნა "საკრედიტო კავშირების განვითარების ცენტრი" (ქვესესხის ხელშეკრულების მხარე), რომელიც საქართველოსა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს შორის გაფორმებული სასესხო შეთანხმების პირველი თავის 1.02 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის ერთ-ერთ კომპონენტს და შექმნილი იყო საქართველოში საკრედიტო კავშირების განვითარების ხელშეწყობისა და მათზე, პროექტის ფარგლებში, გრანტებისა და სესხების გაცემის მიზნით. იმ დროისათვის "სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის" მოსამზადებელი ჯგუფი საქართველოს პრეზიდენტის ზემოხსენებული #149 ბრძანებულებით გარდაიქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და მასზე, როგორც სამართალმემკვიდრესა და უფლებამონაცვლეზე, გადავიდა ყველა მისი შემადგენელი კომპონენტი, მათ შორის, აღნიშნული ჯგუფის უფლებები და ვალდებულებები.

მოსარჩელის მტკიცებით, 1998 წლის 3 აგვისტოს, სოფლის მეურნეობის განვითარების ფარგლებში, "საკრედიტო კავშირების განვითარების ცენტრსა" და მოპასუხე "... " შორის გაფორმდა საკრედიტო კავშირის ქვესესხის შესახებ #48 ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მოპასუხეზე გაიცა ქვესესხი 8000 ლარის ოდენობით, ორი წლის ვადით, წლიური 24%-ით, საკრედიტო კავშირის წევრებზე სესხის გასაცემად. ამ ხელშეკრულების 3.2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, მოპასუხე კისრულობდა ვალდებულებას, სესხის თანხაზე დარიცხული საპროცენტო გადასახადი გადაეხადა ყოველ 6 თვეში ერთხელ და სესხის ძირითადი თანხა - ვადის გასვლის თარიღისათვის, ხოლო ამავე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მოპასუხე ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის გადაეხადა პირგასამტეხლო სესხის თანხის 0,2 პროცენტის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. შემდგომში, საკრედიტო კავშირის ქვესესხის შესახებ #48 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადით, მხარეთა შორის გაფორმდა დამატებები ამ ხელშეკრულებაზე, კერძოდ: 1998 წლის 4 დეკემბერს - 2000 ლარზე, წლიური 26%-ით; 1999 წლის 11 მარტს - 1000 ლარზე, წლიური 26%-ით; 1999 წლის 9 ივნისს - 5000 ლარზე, წლიური 26%-ით. მოპასუხე პერიოდულად ფარავდა დავალიანების თანხას. 2005 წლის 21 მაისის მდგომარეობით, მოპასუხის

დავალიანებამ მოსარჩელის მიმართ შეადგინა 72723,41 ლარი, საიდანაც 16000 ლარი იყო ძირითადი თანხა, 4780 ლარი - მასზე დარიცხული პროცენტი, ხოლო 51943,41 ლარი - ხსენებული ხელშეკრულების 3.2 მუხლის "დ" ქვეპუნქტით დარიცხული პირგასამტეხლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა 72723,41 ლარის, ასევე, სასამართლო ხარჯების, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის - 1818,08 ლარისა და ადვოკატის მომსახურების თანხის - 2908,93 ლარის (სარჩელის თანხის 4 %) მის სასარგებლოდ გადახდის მოპასუხისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 15 ივლისის განჩინებით საქმე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის" სარჩელის გამო, მოპასუხე საკრედიტო კოოპერატივ "... " მიმართ, განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში დავა განიხილებოდა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ წარმოდგენილი სასარჩელო განცხადების ანალიზით მიიჩნია, რომ მოცემული დავა არ განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას და იგი განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე და 26-ე მუხლების თანახმად, სარჩელი უნდა განეხილა უფლებამოსილ სასამართლოს, ხოლო არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნიდა უფლებამოსილ სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებდა მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში, წინამდებარე სასარჩელო განცხადება განსახილველად უნდა გადაგზავნილიყო უფლებამოსილ სასამართლოს - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 დეკემბრის განჩინებით საქმე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის" სარჩელის გამო, მოპასუხე საკრედიტო კოოპერატივ "... " მიმართ, ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სარჩელი არ იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის #149 ბრძანებულებაზე, რომლითაც შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი "მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი". ამ ბრძანებულების თანახმად, ხსენებული ცენტრი შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 25 მაისის #203 ბრძანების შესაბამისად ჩამოყალიბებული "საქართველოს ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის მსოფლიო ბანკის პროექტის განმახორციელებელი ცენტრის" და საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის 1996 წლის საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1996 წლის 7 თებერვლის #24 ბრძანებით დაფუძნებული "მსოფლიო ბანკის საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის მოსამზადებელი ჯგუფის" ბაზაზე და წარმოადგენს მათ სამართალმემკვიდრეს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 31 ივლისის #2-139-#911 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის" დებულება. ხსენებული დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "მსოფლიო ბანკის ფინანსუ-

რი მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი" არის "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის #149 ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროების მიერ ერთობლივად დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს "სასოფლო საკრედიტო კავშირების ჩამოყალიბებისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 19 სექტემბრის #616 ბრძანებულებაზე, რომლითაც მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული "საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის" საკოორდინაციო ჯგუფთან შეიქმნა "საკრედიტო კავშირების განვითარების ცენტრი", რომელიც საქართველოს რესპუბლიკას და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს შორის გაფორმებული სასესხო შეთანხმების პირველი თავის 1.02 მუხლის თანახმად, შეიქმნა საქართველოში საკრედიტო კავშირების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. "საკრედიტო კავშირების განვითარების ცენტრსა" და "... (მოპასუხე) შორის გაფორმდა საკრედიტო კავშირის ქვესესხის შესახებ #48 ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედიოდა 1998 წლის 3 აგვისტოდან. ამ ხელშეკრულების თანახმად, "... გაიცა ქვესესხი 8000 ლარის ოდენობით, ორი წლის ვადით, სესხით სარგებლობისათვის წლიური 24%-ის დარიცხვით და აღნიშნული ქვესესხი გამოყენებული უნდა ყოფილიყო საკრედიტო კავშირის წევრებზე სესხის გასაცემად. ამ ხელშეკრულების 3.2 მუხლის "ა" ქვეპუნქტით "... ვალდებული იყო, ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულ სესხის თანხაზე დარიცხული საპროცენტო გადასახადი გადაეხადა ყოველ 6 თვეში ერთხელ და სესხის ძირითადი თანხა - ვადის გასვლის თარიღისათვის, ხოლო "დ" ქვეპუნქტით, "... ვალდებული იყო, სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების შემთხვევაში, გამსესხებლისათვის გადაეხადა ჯარიმა - სესხის თანხის 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. გარდა ამისა, მხარეებს - "საკრედიტო კავშირების განვითარების ცენტრსა" და "... შორის, საკრედიტო კავშირის ქვესესხის შესახებ #48 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით, გაფორმდა დამატებები ამ ხელშეკრულებაზე. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - "მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრმა" მოპასუხე საკრედიტო კოოპერატივ "... მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2005 წლის 29 ივნისს წარდგენილი სასარჩელო განცხადებით, მათ შორის, 72723,41 ლარის მის სასარგებლოდ გადახდის მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის (2005 წლის 24 ივნისამდე არსებული რედაქცია - "საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის #1801-რს კანონის მიღებამდე, რომლითაც ტერმინი - ადმინისტრაციული გარიგება შეიცვალა ტერმინით - ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ხოლო ხსენებული კანონი ამოქმედდა 2005 წლის 15 ივლისიდან) თანახმად, ადმინისტრაციული გარიგება იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება. "საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის #1800-რს კანონით ამ კოდექსს 34-ე მუხლის შემდეგ დაემატა IX¹ თავი მასში შემავალი 35-ე მუხლით, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, ამ კანონის (იგულისხმება საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის #1800-რს კანონი, რომელიც, მათ შორის, ხსენებული თავის და მასში შემავალი მუხლის დამატების ნაწილში, ამოქმედდა 2005 წლის 15 ივლისიდან) ამოქმედებამდე საერთო სასამართლოების წარმოებაში არსებული ადმინისტრაციული გარიგების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - "მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრმა" მოპასუხე საკრედიტო კოოპერატივ "... მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სასარჩელო განცხადება წარადგინა 2005 წლის 29 ივნისს, ანუ 2005 წლის 15 ივლისამდე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის" სასარჩელო

განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის" სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-52-51(გ-09) 20 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად განიხილა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პალატებს შორის გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივრის განსჯადობის შესახებ წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

27.10.06წ. ე. და გ. ბ-შვილებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს გორის რაიონულ სასამართლოს გორის რაიონის გამგეობის წინააღმდეგ და მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურებისათვის 1000 ლარის გადახდევინების დაკისრება მოითხოვეს. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ 25.08.06წ. სოფელ ... ტერიტორიაზე გამავალი ელექტროგადამცემი ხაზის ბოძის დაზიანებით ჩაწყვეტილმა სადენმა მოკლა მათ საკუთრებაში არსებული ძროხა, რომელიც იყო ოჯახის ერთადერთი შემოსავლის წყარო. აღნიშნულ ფაქტზე შინდისის თემის საკრებულოს მიერ შედგენილ იქნა აქტი. 01.09.06წ. მოსარჩელებმა მიმართეს გორის რაიონის გამგეობას მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ამ უკანასკნელმა 06.09.06წ. #1-61 წერილში მიუთითა, რომ მოსარჩელებს უნდა მიემართათ სადისტრიბუციო კომპანიისათვის და გაერკვიათ, თუ ვის საკუთრებაში იმყოფებოდა ელექტროგადამცემი ბოძები. სს "... " შიდა ქართლის ფილიალის გორის რაიონის მომსახურების ცენტრმა მიუთითა, რომ განცხადებაში მოყვანილი გაუმართავი საყრდენი და სადენი, აგრეთვე, სატრანსფორმატორო ქვესადგური იმყოფებოდა არა გორის რაიონის მომსახურების ცენტრის საკუთრებაში, არამედ - გორის რაიონის გამგეობის ბალანსზე და შესაბამისად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მას არ ეკისრება.

გორის რაიონული სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელე მხარის მიერ სათანადო მოპასუხედ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა განისაზღვრა. გორის რაიონული სასამართლოს 11.04.07წ. გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, მოპასუხე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა ზიანის ანაზღაურების სახით 1000 (ათასი) ლარის გადახდა მოსარჩელეთა სასარგებლოდ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც სააპელაციო საჩივარში მიუთითა, რომ გორის რაიონულმა სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ," რომელიც "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ძალადაკარგულად ჩაითვალა. აპელანტმა აღნიშნა, რომ "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის 65-ე მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტი

არის შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულის და არა რაიონის გამგეობის სამართალმემკვიდრე. "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ორგანული კანონი ერთმანეთისაგან მიჯნავდა ადგილობრივ თვითმმართველობასა და მმართველობას, რაც გამოხატულებას პოულობდა როგორც მათ სამართლებრივ სტატუსში, ასევე მათი ბიუჯეტების დამოუკიდებლობასა და განსხვავებულ ფუნქციებში, სწორედ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის გამოიკვანა არ მომხდარა გორის რაიონული სასამართლოს მიერ. გორის რაიონულ სასამართლოს აგრეთვე არ უმსჯელია, რომ სადენების გამართულ მდგომარეობაში ყოფნა იყო არა გორის გამგეობის მოვალეობა, არამედ შესაბამისი ენერგოკომპანისა, რომელიც პასუხისმგებელია მოსახლეობისათვის უსაფრთხო ელექტროენერჯის მიწოდებაზე. აპელანტმა მოითხოვა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.12.08წ. განჩინებით საქმე განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარება ის საქმეები, რომლებიც ადმინისტრაციული კანონმდებლობით წესრიგდება. დავაში ადმინისტრაციული ორგანოების მხოლოდ მონაწილეობა არ არის საკმარისი დავის ადმინისტრაციული წესით განსახილველად. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის შინაარსს, დავის საგანს და საფუძველს. სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო საკითხს აწესრიგებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. შესაბამისად, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 08.01.09წ. განჩინებით საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სასამართლომ აღნიშნა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობები პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობებია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად, სწორედ აღნიშნული ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ვინაიდან მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება, სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული ორგანოს - გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, განსახილველი დავა, როგორც სამართალსუბიექტის, ისე სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით მიეკუთვნება ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას. სასამართლომ მიუთითა, რომ ასკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, ამიტომაც აღნიშნული დავის გადასაწყვეტად ზიანის სახის განსაზღვრის მიზნით სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენება ზაკ-ის 207-ე მუხლის საფუძველზე ხდება და ეს გარემოება არ ცვლის დავის არსსა და შინაარსს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რაც ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ გორის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებულია გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ არ ყოფილა ცნობილი არასათანადო მოპასუხედ. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა ზაკ-ის მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა. დავის საგანი შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ, სარჩელის თანახმად, სოფელ . . . ტერიტორიაზე გამავალი ელექტროგადამცემი ხაზის ბოძის დაზიანების მიზეზით ჩაწყვეტილმა სადენმა მოკლა მოსარ-

ჩელებს კუთვნილი ძროხა, მოსარჩელები ითხოვენ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის მიყენებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობას იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში ზაკ-ის 207-ე მუხლით განსაზღვრულია სამოქალაქო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება ადმინისტრაციულ ორგანოზე, თავად დავა კი განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ის გარემოება, რომ აპელანტი, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა თავს არასათანადო მოპასუხედ მიიჩნევს, არ ქმნის საქმის სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის გადაცემის საფუძველს. თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით (სსკ-ის 85-ე მუხლი). სათანადო მოპასუხედ კერძო სამართლის სუბიექტის ცნობა გამოიწვევს განსჯადობის და შესაბამისად საქმის განხილვის სამართალწარმოების წესის შეცვლას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად წინამდებარე საქმე განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 399-ე, მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი ე. და გ. ბ-შვილების მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-372-357 (გ-09)

20 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა განსჯადობის შესახებ დავა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატასა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შორის

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 17 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიმართა ი. ფ-იამ. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2006 წლის დეკემბრიდან არჩეული იქნა სსიპ "თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის" ... თანამდებობაზე. 2008 წლის 26 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მისი ... თანამდებობიდან ვადამდე გადაყენების შესახებ. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გადაყენებული იქნა უსაფუძვლოდ, კანონის ნორმების დარღვევით, შელახულია მისი შრომითი უფლებები და საქმიანი რეპუტაცია, რის გამოც მოითხოვა თავისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე თსსა წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და თანამდებობაზე აღდგენა. მოსარჩელემ მოითხოვა, აგრეთვე, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება და გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მოპასუხისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე - ი. ფ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სამხატვრო აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება . . . ი. ფ-იას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე; თბილისის სამხატვრო აკადემიას დაევალა, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ი. ფ-იას მიმართ.

აღნიშნული გადაწყვეტილება აპელაციის წესით გასაჩივრა სსიპ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმებით საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია განსჯადობის საკითხზე. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადავო საკითხი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას, ვინაიდან "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნებაში და სახელმწიფო დაწესებულებათა ჩამონათვალში, რომლებში საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად, არ არის მითითებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის #286 ბრძანებულებით დამტკიცებულ "საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში" რანგირების მიხედვით მოცემულ ჩამონათვალში ასევე არ არის მითითება საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელზე, როგორც საჯარო სამსახურის ფარგლებში საჯარო სამსახურის განმახორციელებელ სუბიექტზე.

ადმინისტრაციულმა პალატამ მიიჩნია, რომ ი. ფ-იას განთავისუფლების კანონიერების შეფასებისას გამოყენებულ უნდა იქნეს არა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის დებულებები, არამედ ამავე კანონის 14.2 მუხლის თანახმად "შრომის კანონთა კოდექსი".

ადმინისტრაციულმა პალატამ მიიჩნია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი არ ასრულებს საჯარო მოსამსახურის უფლებამოსილებას, ის კერძო სამართლის სუბიექტად განიხილება, რამდენადაც "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულია საჯარო მოსამსახურის ცნება და პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში პირი იქნეს საჯარო მოსამსახურის სტატუსს და ასრულებს საჯარო უფლებამოსილებას. მოცემულ შემთხვევაში ი. ფ-იას სამსახურიდან განთავისუფლების დროს შეწყდა კერძოსამართლებრივი, შრომითი ურთიერთობა ერთის მხრივ სსიპ-ს ადმინისტრაციასა და მეორეს მხრივ - ფიზიკურ პირს შორის, რომლის კანონიერების შეფასების უფლებამოსილება გააჩნია სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხეს წარმოადგენს სსიპ "თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია", ხოლო დავის საგანს წარმოადგენს დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პალატის მოსაზრებით, დავას არ განაკუთვნიებს ადმინისტრაციულ კატეგორიას და გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოთხოვნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული პალატის მოსაზრებით, სადავო საკითხი განეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ შრომის ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას მოქალაქესა და იურიდიულ პირს შორის, რის გამოც იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად სამოქალაქო საქმეთა პალატას გადაეცა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 თებერვლის განჩინებით საქმე განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, ვინაიდან პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა განეკუთვნება ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას შემდეგ გარემოებათა გამო:

სსიპ "თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის" წარმომადგენლობითი საბჭო 2008 წლის 24 მარტს მონიტორინგის ჯგუფის შუალედური დასკვნის საფუძველზე შუამდგომლობა-წარდგენით აკადემიური საბჭოსადმი მიმართვისას და 2008 წლის 26 მარტს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ი. ფ-იასათვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტისას მოქმედებდა "უმაღლესი განათლების

შესახებ" საქართველოს კანონის 18.1 მუხლის და 21.1 მუხლის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად. სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებით, სადავო საკითხის, - სასამართლოთა შორის განსჯადობის დასადგენად, არსებითია დავის საგნის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების... უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესსა და პირობებს არეგულირებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნაწილს განეკუთვნება და აწესრიგებს საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებს. ამდენად, სამართალსუბიექტობის მიხედვით სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტი, სსიპ "თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია", სამოქალაქო პალატის მოსაზრებით, არის ადმინისტრაციული ორგანო, სამართალურთიერთობა ემყარება საჯარო (ადმინისტრაციულ) კანონმდებლობას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო პალატას მიიჩნია, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოცემული საქმის განხილვა, გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე პროცესუალურად უკანონო გადაწყვეტილების დადგენას.

ამდენად, სამოქალაქო პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლზე დაყრდნობით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის საფუძველზე, აღძრა სასამართლოებს შორის დავა საქმეზე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნია, რომ ი. ფ-იას სარჩელი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას შეადგენს სსიპ "თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის" წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ... უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ი. ფ-იას მიერ ადრე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. სარჩელზე მოპასუხე მხარედ მითითებულია სსიპ "თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია". "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლის გზით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. იმავდროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება იყოს. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 5 ნოემბერი #464 ბრძანებულების თანახმად, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

მოსარჩელე სადავოდ ხდის აკადემიის წარმომადგენლობით საბჭოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის, კერძოდ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის "ი" ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის, 21-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 41-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევას. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სსიპ "თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის" წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის მე-18 მუხლით. სსიპ "თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის" ... უფლებამოსილება განისაზღვრება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით. საქმის მასალების მიხედვით "თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის" წარმომადგენ-

ლობითი საბჭოს 2008 წლის 26 მარტის სხდომაზე, კენჭისყრით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება . . . ი. ფ-ის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე. "უმალესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის "ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება ამავე კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი ადგენს აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ . . . ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის წესს, ამავე კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი კი განსაზღვრავს . . . უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის დამატებით საფუძვლებს, კერძოდ, წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარი წლიური ანგარიშისა და ბიუჯეტის დამტკიცებაზე, ასევე წარმომადგენლობითი საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ . . . უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭო მოქმედებდა საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში, ვინაიდან ეს უფლებამოსილება მინიჭებული აქვს "უმალესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, რომელიც საჯარო სამართლის სფეროს განეკუთვნება.

სამართალსუბიექტურობის მიხედვით, სადავო სამართალურიერთობის მონაწილე სუბიექტი არის ადმინისტრაციული ორგანო, სამართალურიერთობა გამომდინარეობს საჯარო კანონმდებლობიდან, ვინაიდან დავის საგანი ეხება "უმალესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის დანაწესის განხორციელების მართლზომიერების შემოწმებას. ამდენად, განსახილველ სარჩელთან დაკავშირებით სახეზეა საქმის განსჯადობისათვის მნიშვნელობის მქონე ორი პირობა, კერძოდ, დავა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და სადავო სამართალურიერთობის ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს. სადავო საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ უნდა იმსჯელოს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების ადმინისტრაციული კანონმდებლობისადმი შესაბამისობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველი დავა ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული. შესაბამისად, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.3, 26.3 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 285-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. სსიპ "თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის" სააპელაციო საჩივარი მოწინააღმდეგე მხარის - ი. ფ-ის მიმართ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.07.2008 წ. გადაწყვეტილებაზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საქმე განსახილველად გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

ბს-440-422(გ-09)

21 მაისი 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2008 წლის 22 სექტემბერს სარჩელით მიმართა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე კ. ნ-ძის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ კ. ნ-ძემ 2005 წლის 30 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გააფორმა კონტრაქტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, 4 წლის ვადით. მხარეებს კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კონტრაქტის პირობების სამხედრო მოსამსახურის ინიციატივით ან ბრალეული დარღვევის შემთხვევაში, ამავე კონტრაქტის 7.3 მუხლის შესაბამისად, იგი ვალდებული იყო, აენაზღაურებინა ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მასზე დახარჯული თანხა. მოსარჩელის მითითებით, კ. ნ-ძემ დაარღვია კონტრაქტის პირობები, 7 თვისა და 22 დღის მსახურობის შემდეგ მიატოვა სამხედრო ნაწილი, შესაბამისად, კონტრაქტის 7.3. მუხლის თანახმად, ვალდებულია, თავდაცვის სამინისტროს აუნაზღაუროს მასზე დახარჯული თანხა ზიანის ასანაზღაურებლად - 2618,17 ლარი, ჯარიმა - 14 000 ლარი და პირგასამტეხლო - 14 000 ლარის 0.2% ყოველთვიურად 2005 წლის 2 დეკემბრიდან თანხის გადახდამდე.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - კ. ნ-ძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 612 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო მოსამსახურეს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ჯარიმის, ზიანისა და პირგასამტეხლოს თანხის ანაზღაურება იყო. სარჩელის საფუძველი განაპირობებდა მოთხოვნის საფუძველიანობას და უკავშირდებოდა სამართალურთიერთობების მონაწილე სუბიექტების უფლებამოვალეობების წარმოშობას, შეცვლასა და შეწყვეტას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელის საფუძველი განაპირობებდა დავის სამოქალაქო სამართალურთიერთობის ხასიათს, რაც განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ვინაიდან ადმინისტრაციული ხელშეკრულება (კონტრაქტი) შინაარსობრივად იძლეოდა შესაძლებლობას, კრედიტორს სამოქალაქო ნორმებიდან მოეთხოვა ჯარიმის, ზიანისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურება (ხელშეკრულების მე-8 მუხლი).

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით ჯარიმის, ზიანისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურებას ადმინისტრაციული ორგანო - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ფიზიკური პირისაგან - სამხედრო სამსახურისაგან ითხოვს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ საქმეზე შესამოწმებელ იყო სასარჩელო მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა, რაც სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი კ. ნ-ძის მიმართ ზიანის ანაზღაურების

შესახებ გასჯადობით უნდა გადასცემოდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 11 თებერვლის განჩინებით საქმე კ. ნ-ძისათვის ჯარიმის - 14 000 ლარის დაკისრებისა და პირგასამტეხლოს - 14 000 ლარის 0.2%-ის ყოველთვიურად დაკისრების ნაწილში გამოიყო ცალკე წარმოებად და განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საკასაციო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კ. ნ-ძეს შორის დადებული 2005 წლის 30 მარტის ხელშეკრულება არ არის დაკავშირებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლით განსაზღვრულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობასთან და წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ფიზიკურ პირთან დადებულ სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ, ვინაიდან დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებიდან და სასარჩელო მოთხოვნა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებითვე განსაზღვრული ზიანისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურებაა, განსახილველი დავა შეესაბამება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნებს, რაც განაპირობებს დავის არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ხასიათს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან კ. ნ-ძისათვის ჯარიმის - 14 000 ლარის დაკისრება და პირგასამტეხლოს - 14 000 ლარის 0.2%-ის ყოველთვიურად დაკისრების ნაწილში წარდგენილი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით განსახილველია, აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით საქმე გამოიყო ცალკე წარმოებად და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მეასე ნაწილის თანახმად, გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ. აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ განსახილველ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო მოსამსახურეს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ჯარიმისა და პირგასამტეხლოს თანხის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კ. ნ-ძეს შორის დადებული ხელშეკრულება არ არის დაკავშირებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

პირველი მუხლით განსაზღვრულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობასთან და წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ პირთან დადებულ სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას. ამდენად, იგი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო სამეთა პალატის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებიდან და სასარჩელო მოთხოვნა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებითვე განსაზღვრული ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურებაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის გამო კ. ნ-ძის მიმართ, მისთვის ჯარიმის - 14 000 ლარის დაკისრებისა და პირგასამტეხლოს - 14 000 ლარის 0.2%-ის ყოველთვიურად დაკისრების ნაწილში, წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის გამო მოპასუხე კ. ნ-ძის მიმართ, ჯარიმის - 14 000 ლარის დაკისრებისა და პირგასამტეხლოს - 14 000 ლარის 0.2%-ის ყოველთვიურად დაკისრების ნაწილში, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-202-196(გ-09)

28 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

მ. ცისკაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 21 მარტს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს "... " მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 12 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (სესხის გამომყოფი), სოფლის მეურნეობის სამინისტროს (სესხის მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის განმახორციელებელი), სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ - "სამტრესტა" (თანხის

გამცემი) და შპს "... (სესხის მიმღები) შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების პირველი მუხლის მიხედვით, შპს "... საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის "ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერი ღონისძიებების" დასაფინანსებლად გამოეყო სესხი - 453 000 ლარი. ამავე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით, განისაზღვრა შპს "... ვალდებულება, რომ სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი კვირის ვადაში წარმოადგენდა სესხის და მასზე დარიცხული პროცენტის ოდენობით საბანკო გარანტიას, ან შესაბამისი ღირებულების ქონებას დატვირთავდა იპოთეკით ან დააგირავებდა.

სესხის სახით კუთვნილი თანხიდან შპს "... პირველი ტრანში 2007 წლის 13 დეკემბერს გადაერიცხა 226 500 ლარი, რომელსაც დაერიცხა სარგებელი - 5101 ლარი. მეორე ტრანში - 226 500 ლარი გადაერიცხა 2007 წლის 17 დეკემბერს, რომელსაც დაერიცხა სარგებელი - 5 064 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სესხმა და მასზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა სულ 463 165 ლარი, ამიტომ შპს "... სესხის ხელშეკრულების 4.1 პუნქტის მიხედვით, უნდა წარმოედგინა სესხის და მასზე დარიცხული პროცენტის ჯამური ოდენობის, სულ 463 165 ლარის საბანკო გარანტია ან დაეგირავებინა ან იპოთეკით დაეტვირთა შესაბამისი ღირებულების ქონება.

მოსარჩელის განმარტებით, ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2007 წლის 12 დეკემბერს, სესხის მიმღებს სესხის უზრუნველყოფის საშუალება უნდა წარმოედგინა 2007 წლის 26 დეკემბრამდე. მიუხედავად, ფინანსთა სამინისტროს არაერთი გაფრთხილებისა, შპს "... ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ შეუსრულებია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, "ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა შპს "... დავალებოდა წარმოედგინა 463 165 ლარის ოდენობის საბანკო გარანტია ან 63 165 ლარის ღირებულების ქონება დაეტვირთა იპოთეკით, ან დაეგირავებინა. მოსარჩელე ასევე ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება დაქვემდებარებოდა დაუყოვნებლივ აღსრულებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მოპასუხე შპს "... მიერ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მატერიალურ სამართლებრივი უფლების დარღვევის ფაქტი. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, მოცემული დარღვეული მატერიალური უფლების აღდგენის სამართლებრივი მექანიზმები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსით, რომლის თანახმად ვალდებულება ირღვევა მაშინ, როცა იგი არ სრულდება ან არაჯეროვნად სრულდება. სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის "ა" პუნქტის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება. თუ ვალდებულების დარღვევა მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილებაში გამოიხატება, კრედიტორს შეუძლია დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო. მოვალის მიერ ამ დროში ვალდებულების შეუსრულებლობისას, კრედიტორს უფლება აქვს, ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. კანონი ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას აძლევს ერთ-ერთ მხარეს იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არღვევს განსაზღვრულ პირობებს, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით დადგენილია, რომ თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრავს უთანაბრდება გაფრთხილება.

სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის თანახმად, ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების შემთხვევაში მხარეებს წარმოეშობათ მიღებული შესრულებისა და სარგებლის ერთმანეთისათვის გადაცემის ვალდებულება. ამ ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს თანხის ანაზღაურება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს განმარტებით, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის მიერ სრულად იქნა შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, ხელშეკრულებისა და მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად, სესხის კუთვნი-

ლი თანხიდან შპს "... " 2007 წლის 13 დეკემბერს პირველ ტრანში გადაერიცხა 226 500 ლარი, ხოლო - 2007 წლის 17 დეკემბერს მეორე ტრანში 226 500 ლარი, სასამართლოს მოსაზრებით, დარღვეული მატერიალური უფლების აღდგენისათვის სამოქალაქო საპროცესო უფლების მოცემული სახით რეალიზაცია არ არის შესაბამისობაში მატერიალური კანონმდებლობის დანაწესთან.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციული პალატა განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. აღნიშნული მუხლის "ბ" პუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს "ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა".

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლის შესაბამისად, კერძო-სამართლებრივ ურთიერთობაში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედების როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" შესაბამისი ნორმები.

სახელმწიფოს ასევე ადმინისტრაციულ ორგანოების უფლებამოსილება, იყვნენ სამოქალაქო სამართლის სუბიექტები და მონაწილეობდნენ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში, გამომდინარეობს აგრეთვე სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლიდან, რის შესაბამისადაც სახელმწიფო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი.

სასამართლოს განმარტებით, დავის სპეციფიკის გასარკვევად არსებითი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციული ორგანოს როლის ფუნქციონალურ გაგებას ხელშეკრულებაში. კანონმდებელი არ ზღუდავს ადმინისტრაციული ორგანოს, რომ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებით და ამით განახორციელოს საჯარო უფლებამოსილება, ან დადოს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება და ამით განახორციელოს კერძო ინტერესების დაკმაყოფილება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა რაღაც მასშტაბით მაინც ურთითდაქვემდებარებულ ურთიერთობას წარმოადგენს. იგი შემოსაზღვრება მხოლოდ სამართლით და რიგ შემთხვევაში მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგენილი უფლებამოსილებითაა წრით, იმისათვის რომ გაიმიჯნოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება ყურადღება უნდა გამახვილდეს არა კონკრეტული ხელშეკრულების ცალკეულ დეტალზე, არამედ ზოგად მომწესრიგებელ ნორმებსა და ხელშეკრულების მიზანზე.

განსახლველ შემთხვევაში, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სადავო ხელშეკრულება წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი ბუნების ხელშეკრულებას, იგი არის სესხის ხელშეკრულება, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 იანვრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია სადავო სამართალურითობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი - ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. ზემოაღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირ-

ველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო სამართლებრივი ფორმები, მათ შორის, როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძო სამართლებრივი ხელშეკრულება. კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, არ არის ამოსავალი ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსებობისათვის, რადგან შესაძლოა ორ ადმინისტრაციულ ორგანო შორის დაიდოს სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება და პირიქით, ცალკეულ შემთხვევაში სათანადო პირობების არსებობისას, კერძო სამართლის სუბიექტებს შორის შესაძლებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება.

კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2007 წლის 12 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (სესხის გამომყოფი), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (სესხის მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის განმახორციელებელი), სსიპ - ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტს" (თნხის გამცემი) და შპს "... " შორის გაფორმდა ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით საქართველოს მთავრობის 2007 წლის 05 დეკემბრის #773 განკარგულების შესაბამისად, "საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან შპს "... " სესხის სახით გამოეყო 453 000 ლარი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის "ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებების" დასაფინანსებლად, კერძოდ, მოსახლეობის მიერ ღვინის ქარხნებისათვის ჩაბარებული ყურძნის ღირებულების სრულად და მიმდინარე წლის ბოლომდე ანაზღაურების ხელშეწყობის მიზნით.

მოცემულ საქმეზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (ანუ სესხის გამომყოფ ადმინისტრაციულ ორგანოს) დავის საგანს წარმოადგენდა აღნიშნული ხელშეკრულების 4.1 პუნქტის შპს "... " მიერ დარღვევა. კერძოდ, იგი ითხოვდა, საწარმოს დავალებოდა 463 165 ლარის ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენა, 463 165 ლარის ღირებულების ქონების იპოთეკით დატვირთვა, ან დაგირავება.

სამოქალაქო პალატის მოსაზრებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დავის განსჯადობის საკითხის გასარკვევად გადაწყვეტია იმის გარკვევა, დადებულია თუ არა ეს ხელშეკრულება ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მათი უშუალო საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციების განხორციელების მიზნით, თუ - მათი უშუალო კომპეტენციის განხორციელების დასახმარებლად.

საპედაგოგო სასამართლოს განმარტებით, სადავო ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა "ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სესხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 5 დეკემბრის #773 განკარგულების საფუძველზე. ამ განკარგულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს "საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაევალა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის "ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებების" დასაფინანსებლად სსიპ - ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ "სამტრესტისთვის" საკრედიტო რესურსად 1 000 000 ლარის გამოყოფა. ამავე განკარგულების მე-6 პუნქტით განისაზღვრა, რომ დადგენილ ვადებში სესხისა და მასზე დარიცხული სარგებლის დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ორი კვირის ვადაში სესხის მიმღებ ღვინის ქარხნებს უნდა უზრუნველყოთ ფინანსთა სამინისტროში საბანკო გარანტიის წარდგენა ან შესაბამისი ღირებულების ქონების დაგირავება და იპოთეკით დატვირთვა.

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულია მთავრობის კომპეტენცია. ამ მუხლის "ე" პუნქტის მიხედვით, მთავრობა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში საციალურ-ეკონომიკურ, კულტურისა და სხვა სფეროებში ამტკიცებს სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას. სწორედ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა "ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებების" დასაფინანსებლად გამოეყო ფინანსთა სამინისტროს მიერ "სამტრესტს" თანხები და ამავე მიზნით ამ უკანასკნელმა ეს თანხა გადასცა შპს "... ". შესაბამისად, სადავო სამართალური თეორიის მონაწილე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, სწორედ მთავრობის საჯარო კომპეტენციის სფეროში შემავალი ფუნქციის განხორციელების

მიზნით, საქართველო მთავრობის 2007 წლის 5 დეკემბრის #773 განკარგულების შესაბამისად დადეს სადავო ხელშეკრულება მოპასუხესთან.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს სამინისტროებისა და მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მეშვეობით.

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის #39 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის „შ“ პუნქტის მიხედვით, სამინისტროს ფუნქციაა სახელმწიფო შიდა რესურსების ხარჯზე გაცემული სესხების მართვა; სასესხო ვალდებულებათა (დავალიანებათა) დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ხელშეკრულება არ უნდა იქნეს განხილული როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება, რომელთან დაკავშირებული დავებიც განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. უდავოა, რომ მოცემულ სამართალურთიერთობაში ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს კანონით მინიჭებულ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, განსახილველი ხელშეკრულება თავისი ბუნებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით დეფინირებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა, მოცემული სადავო სამართალურთიერთობა გამოიმჩნევს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან და წინამდებარე საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულება. შესაბამისად, საქმე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელისა გამო შპს „...“-ს მიმართ, წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტ „სამტრესტა“ და შპს „...“ შორის 2007 წლის 12 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულება და ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული საბანკო გარანტიის წარმოდგენა, ან ქონების დატვირთვა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსჯადობის თაობაზე სასამართლოთა შორის წარმოშობილი დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თავად სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის განსაზღვრას. რა თვალსაზრისითაც საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს იმ ნორმათა ანალიზს, რომელიც იძლევა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო ხელშეკრულებისაგან გამიჯვნის შესაძლებლობას.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედაგად, შემოღებული იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება მას კანონით აქვს მინიჭებული. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირებისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის უფლებით, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთ-ერთი მახასიათებელი არის ის, რომ ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით,

მაშინ, როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები არიან წმინდა სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობის მატარებლები.

როგორც აღნიშნა, წინამდებარე შემთხვევაში დავის საგანია "საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის შესაბამისი მიზნობრივი დანიშნულებით გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულების მოთხოვნათა დაცვა. მითითებული ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომლის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნება, ბიუჯეტის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, საბიუჯეტო თანხების განკარგვა და მათი ხარჯვის მიზნობრიობის გაკონტროლება. იმავდროულად ხელშეკრულების მონაწილე იურიდიული პირის ვალდებულებას წარმოადგენს მიღებული თანხის მხოლოდ გარკვეული მიზნით გამოყენება. ამდენად, წინამდებარე შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ სარგებლობენ სამოქალაქო ხელშეკრულებისათვის მახასიათებელი ნების ავტონომიურობის პრინციპით, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იძლევა იმის საფუძველს, რომ განსახილველი ხელშეკრულება მიეკუთვნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომლის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დავა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განსახილველად ექვემდებარება ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1736-1690 (გ-08) 1 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა განსჯადობის შესახებ დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის.

სასამართლომ გამოარკვია:

ვ. ნ-ძემ 2004 წლის ნოემბერში სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების თ. თ-უას, თ. ჯ-შვილის, თ. მ-შვილის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა 2004 წლის 5 მაისის და 2004 წლის 16 ივნისის ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, ასევე, მოპასუხის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულება გააუქმოს უკანონო ჩანაწერი, რომელიც განხორციელდა ბინაზე ყადაღის დადების შემდეგ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 22 ივნისის განჩინებით, საქმე #3/277-იდან ვ. ნ-ძის სარჩელის გამო, მოპასუხეების: თ. თ-უას, თ. ჯ-შვილის და სხვათა მიმართ ხელშეკრულების ბათილად ცნობის და საჯარო რეესტრის ჩანაწერების გაუქმების თაობაზე ცალკე წარმოებად გამოეყო სასარჩელო მოთხოვნა-საჯარო რეესტრის ჩანაწერების გაუქმების თაობაზე; სასარჩელო მოთხოვნა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად

ცნობის თაობაზე განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ვ. ნ-მემ 2005 წლის 1 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიმართა დაზუსტებული სარჩელით, მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, მესამე პირი თ. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა საჯარო რეესტრში 2004 წლის 18 ივნისს სადავო ბინაზე გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებული ჩანაწერის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 მარტის განჩინებით ვ. ნ-მის სარჩელი მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, მესამე პირის თ. მ-შვილის მონაწილეობით, საჯარო რეესტრის რეგისტრაციის ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლოს განჩინება დასაბუთებულია იმით, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2004 წლის 18 ივნისს განხორციელებული ჩანაწერის ბათილად ცნობა, კერძოდ, მოპასუხემ საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა ფიზიკურ პირებს თ. ჯ-შვილსა და თ. თ-უას შორის 2004 წლის 5 მაისს გაფორმებული საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, აგრეთვე 2004 წლის 16 ივნისს სადავო საცხოვრებელ ბინაზე თ. თ-უას და თ. მ-შვილს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნით ვ. ნ-მის მიერ აღძრული სარჩელი განსჯადობის შესაბამისად განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული დავა სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა და მხოლოდ ის გარემოება, რომ ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს ბინაზე სადავო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების გაფორმების შედეგად განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა და მოპასუხედ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოა მითითებული, არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის სამართლებრივ საფუძველს; სასამართლოს მოსაზრებით, საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა არ წარმოადგენს სარჩელის დამოუკიდებელ საგანს, რომელიც თანმდევი შედეგია სასარჩელო მოთხოვნის-ხელშეკრულებების ბათილად ცნობის დაკმაყოფილებისა. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობები, დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის უფლებამოსილ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინებით ვ. ნ-მის სასარჩელო მოთხოვნა საჯარო რეესტრის 2004 წლის 18 ივნისის სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე გამოიყო ცალკე წარმოებად და განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაში ვ. ნ-მემ მიუთითა, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი 2002 წლის 7 აგვისტოს საცხოვრებელი ბინის საკუთრების მინდობის ხელშეკრულება, რომელიც სანოტარო წესით იყო დამოწმებული. თ. ჯ-შვილმა ბინა გაასხვისა თ. თ-უაზე, რომელმაც, თავის მხრივ, ბინა გაასხვისა, თ. მ-შვილზე. მოსარჩელის განმარტებით, მისი განცხადების საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად სადავო საცხოვრებელ ბინას დაედო ყადაღა, აიკრძალა მისი გასხვისება, ან სხვაგვარი უფლებით მისი დატვირთვა; დადგენილი წესით გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც წარედგინა ნოტარიუსთა პალატას, საჯარო რეესტრს და ტექადრიცხვის სამსახურს. ვ. ნ-მემ აღნიშნა, რომ მისი მოთხოვნა ბინაზე ყადაღის დადების შესახებ საჯარო რეესტრს წარედგინა 2004 წლის 15 ივნისს, ყადაღის დადების მოთხოვნის რეგისტრაციის შემდეგ კი 2004 წლის 18 ივნისს სარეგისტრაციოდ წარედგინა ნასყიდობის ხელშეკრულება საჯარო რეესტრს, რომელიც ყადაღის მიუხედავად მესაკუთრედ აღრიცხა თ. მ-შვილი. მოსარჩელის მოსაზრებით, საჯარო რეესტრმა ამით დაარღვია "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 63-ე მუხლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებაში მითითებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო

მოთხოვნა არ წარმოადგენს სარჩელის დამოუკიდებელ საგანს; სასამართლომ არ გაიზიარა ის მოსაზრება, რომ აღნიშნული ჩანაწერის ბათილად ცნობა, ხელშეკრულებების ბათილად ცნობის დაკმაყოფილების თანამდევ შედეგს წარმოადგენს, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის შემთხვევაში აღდგება თავდაპირველი მდგომარეობა და სადავო საცხოვრებელი ბინა აღირიცხება თ. ჯ-შვილის სახელზე; სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ ვ. ნ-მის სასარჩელო მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ გამომდინარეობს იმ საფუძველზე, რომ მოპასუხემ საჯარო რეესტრმა დაარღვია ადმინისტრაციული კანონმდებლობა და იმ დროს, როდესაც ბინას ედო ყადაღა, საჯარო რეესტრს სარეგისტრაციოდ წარედგინა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელმაც ყადაღის მიუხედავად მესაკუთრედ აღრიცხა თ. მ-შვილი. ამიტომ, სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ გამომდინარეობს სხვა სასამართლებრივი საფუძველებიდან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერი, რომლითაც სადავო ბინაზე მესაკუთრედ აღირიცხა თ. მ-შვილი, წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს; სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტი და ჩათვალა, რომ დავა არ გამომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად თვლის, რომ ე. ნ-მის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ვ. ნ-მემ 2005 წლის ივლისის დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს და მიუთითა, რომ ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი 2002 წლის 7 აგვისტოს საცხოვრებელი ბინის საკუთრების მინდობის ხელშეკრულება, მისგან გამომდინარე ყველა სამართლებრივი შედეგით, რომელიც სანოტარო წესით იყო დამოწმებული. საპელაციო სასამართლოში საქმის განხილვამდე თ. ჯ-შვილმა ბინა გაასხვისა თ. თ-უაზე, რომელმაც, თავის მხრივ, ბინა გაასხვისა თ. მ-შვილზე. მოსარჩელის განმარტებით, მისი განცხადების საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად სადავო საცხოვრებელ ბინას დაედო ყადაღა, აიკრძალა მისი გასხვისება, ან სხვაგვარი უფლებით მისი დატვირთვა; დადგენილი წესით გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც წარედგინა ნოტარიუსთა პალატას, საჯარო რეესტრს და ტექნოლოგიის სამსახურს. ვ. ნ-მემ აღნიშნა, რომ მისი მოთხოვნა ბინაზე ყადაღის დადების შესახებ საჯარო რეესტრს წარედგინა 2004 წლის 15 ივნისს, ყადაღის დადების მოთხოვნის რეგისტრაციის შემდეგ კი 2004 წლის 18 ივნისს სარეგისტრაციოდ წარედგინა ნასყიდობის ხელშეკრულება საჯარო რეესტრს, რომელმაც ყადაღის მიუხედავად მესაკუთრედ აღრიცხა თ. მ-შვილი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, რომლებიც ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს სასამართლოში; ამავე მუხლის მე-3 ნაწილით ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ ვ. ნ-მის სასარჩელო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დადგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას ხომ არ დაარღვია ადმინისტრაციული კანონმდებლობა, ყადაღადადებული ქონების რეგისტრაციის განხორციელებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არასწორი შეფასება მისცა დავის შინაარსს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ უძრავი ქონების რეგისტრაციის კანონიერება, რომელიც განხორციელდა ყადაღადადებულ ქონებაზე და არა როგორც სადავო ბინაზე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების,

როგორც მისი თანმდევი შედეგის საფუძველზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება.

ამიტომ საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. ნ-ძის სარჩელი, თავის არსით, მიმართულია სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ და ფაქტობრივად, სახეზეა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავა ფიზიკურ პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული ადმინისტრაციული საქმე, რის გამოც იგი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით და მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ვ. ნ-ძის სარჩელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2004 წლის 18 ივნისის ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-804-768(გ-09)

2 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

მ. ცისკაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივრის განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 21 აგვისტოს, ბათუმის მერიამ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის შპს "... " მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა ქ. ბათუმის მერიასა და შპს "... " შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის გამო შპს "...-თვის" პირგასამტეხლოს სახით 20 000 ლარის დაკისრებას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადაგენილად მიიჩნია, რომ ბათუმის მთავრობის, 2006 წლის 24 თებერვლის #51 დადგენილებით გამოცხადდა კონკურსი ქალაქ ბათუმში, ... და ... ქუჩების კვეთაში არსებული 4000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებით განკარგვაზე.

ქალაქ ბათუმის მთავრობის 2006 წლის 25 აპრილის #111 დადგენილებით დამტკიცდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის 2006 წლის 18 აპრილის #09 შემაჯამებელი ოქმი, რომლითაც, ქ. ბათუმში, ... და ... კვეთაში არსებული 4000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "...".

კონკურსის შედეგების საფუძველზე, 2006 წლის 31 მაის ქ. ბათუმის მთავრობასა და შპს "... " შორის დაიდო #1-5888 სანოტარო ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის ნასყიდობის თაობაზე;

ხელშეკრულებით შპს "... " აიღო ვალდებულება საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აეშენებინა მაღლივი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების კომპლექსი, თავისი ინფრასტრუქტურით, ქ. ბათუმის ქალაქ გეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

შპს "... " კომპლექსის მშენებლობა უნდა დაეწყო ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურებიდან არაუგვიანეს 3 თვისა და უნდა დაესრულებინა მშენებლობის დაწყებიდან არაუგვიანეს 12 თვისა.

აღნიშნული ხელშეკრულება შეიცავდა დათქმას პირგასამტეხლოს შესახებ, კერძოდ, ხელშეკრულების 7.1 მუხლით: "წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის მიზნობრივი გამოუყენებლობისას, როდესაც იცვლება მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, მყიდველს გამყიდველის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლოს 20 000 ლარის გადახდა".

საქალაქო სასამართლოს მითითებით, შპს "... " სხვადასხვა მიზეზების გამო მშენებლობა დათქმულ დროში არც დაიწყო და არც დასრულა, რის გამოც ქ. ბათუმის მერიისაგან მიეცა გაფრთხილება უზრუნველყო სახელშეკრულებო და საკონკურსო პირობების დროულად შესრულება.

ქ. ბათუმის მერიამ შპს "... " , ანალოგიურად გააფრთხილა 2007 წლის 13 მარტის #2-25-544 წერილით და საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებლობის დასაწყებად დამატებით მიეცა ორი კვირის ვადა.

მიუხედავად აღნიშნულისა შპს "... " ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 16 თვეზე მეტის გასვლის შემდეგაც არ დაიწყო მშენებლობა. ვალდებულების შეუსრულებლობა გახდა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ავტომატურად არ წარმოადგენდა პირგასამტეხლოს ანაზღაურების მავალდებულებელ გარემოებას; მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ დადგინდებოდა მიწის ნაკვეთის არამიზნობრივი გამოყენება, რასაც განსახილველ შემთხვევაში არ მომხდარა. კერძოდ, მოპასუხეს მიწა არც მიზნობრივად და, არც არა მიზნობრივად არ გამოუყენებია, რაც გამორიცხავდა მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესაძლებლობას.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინებით ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციული საქმეთა პალატა განჩინებაში მიუთითებდა, რომ განსახილველ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს "... " ბათუმის მერიის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით 20000 ლარის დაკისრება.

სარჩელის საფუძველი განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და უკავშირდება სამართალური თეორიის მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას. მოცემულ ნაწილში სარჩელის საფუძველი ამ შემთხვევაში განაპირობებს დავის განსჯადობასაც.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ საქმეზე შესამოწმებელია სასარჩელო მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან შესაბამისობა, რაც სამოქალაქო საქმეთა პალატის კომპეტენციაა. ასეთ დასკვნას განაპირობებს სასამართლო წესით (დავის წარმოების გზით) დასაცავი უფლების მატერიალური შინაარსი. ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნა და უფლებები, რომლის დასაცავადაც აღიძრა სარჩელი. პალატა მიიჩნევს, რომ დავა სამოქალაქო ხასიათისაა, შესაბამისად, არ არსებობს დავის გადაწყვეტისათვის ადმინისტრაციული კანონმდებლობის გამოყენების საჭიროება.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია ის სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლიც იძლევა სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების რეგლამენტაციას, რომლის მიხედვითაც, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომ-

დინარეობს. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი კიდევ უფრო აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა არა მარტო საქმეში მონაწილე სუბიექტები (მხარეები) არამედ დავის საგანი.

მითითებული ნორმა ადმინისტრაციული წესით განსჯადად მიიჩნევს დავებს დაკავშირებულს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებას ან შეწყვეტასთან. განსახილველ შემთხვევაში სახეზეა სამოქალაქო ხელშეკრულება, რომლისგანაც გამომდინარე პირგასამტეხლოს დაკისრების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმების ფარგლებში.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ ესაა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული სამოქალაქო საქმე, რის გამოც იგი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 მაისის განჩინებით, ქ. ბათუმის მერიის სასარჩელო განცხადება შპს "... " მიმართ, შპს "... " პირგასამტეხლოს სახით 20000 ლარის დაკისრების თაობაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით: როგორც საქმის მასალებით ირკვევა, შპს "... " 20000 ლარის დაკისრების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქ. ბათუმის მთავრობის, 2006 წლის 24 თებერვლის #51 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის შედეგების საფუძველზე, 2006 წლის 31 მაისს, ქ. ბათუმის მთავრობისა და შპს "... " შორის დადებული #1-5888 ნოტარიული ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის ნასყიდობის თაობაზე ამ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, ამავე ხელშეკრულებითვე განსაზღვრული კონკრეტული ოდენობის ზიანის ანაზღაურება პირგასამტეხლოს სახით.

გამომდინარე იქიდან, რომ ქ. ბათუმის მთავრობასა და შპს "... " შორის, 2006 წლის 31 მაისის #1-5888 ნოტარიული ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის ნასყიდობის თაობაზე, არ არის დაკავშირებული სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლით განსაზღვრული კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობასთან და წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ფიზიკურ პირთან დადებულ სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით, სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეებია, იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული საქმეები, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, კერძოდ: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობიდან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შერულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა არ არსებობის დადგენა.

სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებიდან და სასარჩელო მოთხოვნა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებითვე განსაზღვრული პირგასამტეხლოს ანაზღაურებაა, განსახილველი დავა სრულად შეესაბამება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნებს, რაც განაპირობებს დავის არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციულ სამართლებრივ ბუნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობი-

ლი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, ქ. ბათუმის მერიის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს ქ. ბათუმის მთავრობასა და შპს "... " შორის 2006 წლის 31 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის გამო შპს "... " პირგასამტეხლოს დაკისრება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსჯადობის თაობაზე სასამართლოთა შორის წარმოშობილი დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თავად სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის განსაზღვრას, რა თვალსაზრისითაც საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს იმ ნორმათა ანალიზს, რომელიც იძლევა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო ხელშეკრულებისაგან გამიჯვნის შესაძლებლობას.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოღებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირებისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის უფლებით, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთ-ერთი მახასიათებელი არის ის, რომ ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან წმინდა სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობის მატარებლებად.

როგორც აღინიშნა, წინამდებარე შემთხვევაში დავის საგანია ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს დაკისრების საკითხი. მართალია, მითითებული ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, მაგრამ ხელშეკრულებაში მარტოდენ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა არ იძლევა გარიგების ადმინისტრაციული ხელშეკრულებისადმი მიკუთვნების საფუძველს, სავალდებულოა, ადმინისტრაციული ორგანო ხელშეკრულებაში მონაწილეობდეს როგორც საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებელი პირი.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ნასყიდობის ხელშეკრულება და დავის საგანს წარმოადგენს არა მისი დადების კანონიერება, არამედ უკვე დასრულებული ხელშეკრულების პირობების შესრულება. წინამდებარე შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო ხელშეკრულებისათვის მახასიათებელი ნების ავტონომიურობის პრინციპით, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იძლევა იმის საფუძველს, რომ განსახილველი ხელშეკრულება მიეკუთვნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას, რომლის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის საფუძველზე, განსახილველად ექვემდებარება სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-856-818(გ-09)

30 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ლ. მურუსიძე

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის დავა განსჯადობის თაობაზე საქმეზე ხ. მ-ძის სარჩელისა გამო, მოპასუხეების - საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს, საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და საქართველოს შს სამინისტროს მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

ხ. მ-ძემ 2009 წლის 3 თებერვალს სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების - საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს, საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და საქართველოს შს სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს 2008 წლის 14 ოქტომბრის სამსახურეობრივი შემოწმების დასკვნის, საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის 2008 წლის 1 ნოემბრის #6543/შ ბრძანების დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და შს ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის 2009 წლის 13 იანვრის #31 ბრძანების მისი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბათილად ცნობა და იძულებით გაცდენილი მთელი პერიოდის განმავლობაში ხელფასის ანაზღაურება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 თებერვლის განჩინებით ხ. მ-ძის სარჩელი საქართველოს შს სამინისტროს, ამავე სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს მიმართ საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს 2008 წლის 14 ოქტომბრის სამსახურეობრივი შემოწმების დასკვნის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 2008 წლის 1 ნოემბრის ბრძანების, ხ. მ-ძის სამსახურიდან გათავისუფლებისა და შს ორგანოებიდან დათხოვნის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის 2009 წლის 13 იანვრის #31 ბრძანების მისი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობის მიხედვით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო განჩინებაში წარმოდგენილ მოტივაციას ამყარებდა შემდეგ მოსაზრებებზე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს უგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მავე კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" პუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული იდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გა-

მოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

სასამართლოს დასკვნით, მოცემულ შემთხვევაში ასეთ აქტებს წარმოადგენს საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ზემოთ აღნიშნული ბრძანებები, შესაბამისად, ორივე მოპასუხის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, რის გამოც ხ. მ-ძის სარჩელზე განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას და მიუთითა, რომ რამოდენიმე მოპასუხის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს არჩევის უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს, რა მოტივითაც 2009 წლის 29 მაისის განჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ხ. მ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, მოსარჩელე ხ. მ-ძე სარჩელის საფუძველზე ითხოვს, ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს 2008 წლის 14 ოქტომბრის სამსახურეობრივი შემოწმების დასკვნა, საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის 2008 წლის 1 ნოემბრის #6543/შ ბრძანება მისი დაკავებული თანამდებობიდან და შს ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ, საქართველოს შს მინისტრის პირველი მოადგილის 2009 წლის 13 იანვრის #31 ბრძანება მისი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე და აღდგენილ იქნეს სამსახურში იძულებითი განაცდურის ანაზღაურებით.

სარჩელზე მოპასუხეებად მოსარჩელის მიერ დასახელებულ არიან: საქართველოს შს სამინისტრო, ამავე სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველო.

საკასაციო სასამართლო ზოგადად ადასტურებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობის მართებულობას ადმინისტრაციული სასამართლოს მხრიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის გამოყენების სავალდებულობის თაობაზე და აღნიშნავს, რომ მითითებული მუხლის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ საქმე რამოდენიმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს არჩევის უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს. იმავედროულად საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს მოთხოვნის შინაარსს და განმარტავს შემდეგ: ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდის სამსახურეობრივი შემოწმების დასკვნას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ცალკე დასკვნა არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მოიაზრება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს შედეგი, მაგრამ არა სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, არამედ დამოუკიდებლად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გარეშე.

აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს 2008 წლის 14 ოქტომბრის სამსახურეობრივი შემოწმების დასკვნა, საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის 2008 წლის 1 ნოემბრის #6543/შ ბრძანებისაგან დამოუკიდებლად არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, რის გამოც მისი ცალკე გასაჩივრება არ დაიშვება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წინამდებარე შემთხვევაში გასაჩივრებას ექვემდებარება მხოლოდ დასკვნის საფუძველზე გამოცემული ბრძანება მოსამსახურის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, რაც არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, თითქოს სასამართლო არ ეხება დასკვნის საფუძველიანობას. სასამართლო ვალდებულია, იმსჯელოს ადმინისტრაციული აქტის

კანონიერებაზე და შეაფასოს დასკვნის საფუძვლიანობა, როგორც ადმინისტრაციული წარმოების ერთიანი ეტაპი.

ზემოაღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დავის მითითებულ ნაწილში მოპასუხეს წარმოადგენს არა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველო, არამედ შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, რისი გათვალისწინებითაც, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ხ. მ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. წინამდებარე განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს;
3. განჩინება განსჯადობის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1005-963(გ-09) 10 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა მ. ვ-ძის სააპელაციო საჩივრის განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 10 სექტემბერს მ. ვ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე - ქ. თბილისის მერიის მიმართ საკუთრების უფლების რესტიტუციის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ მის პაპას - მ. ვ-ძეს, საკუთრებაში ჰქონდა მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული ორი საცხოვრებელი სახლი: ... ქ. #3-ში (ამჟამად ... ქ. #3) და ... ქ. #4-ში (ამჟამად ... ქ. #4); მ. ვ-ძეს უცხო ქვეყნის საოკუპაციო რეჟიმმა უკანონოდ ჩამოართვა საკუთრება. მოგვიანებით მას დაუბრუნეს ... #3-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, ხოლო ... ქ. #4-ში (ამჟამად ... ქ. #4) მდებარე ქონება მისთვის არ დაუბრუნებიათ; მ. ვ-ძე გარდაიცვალა 1947 წლის 19 თებერვალს. მითითებული ქონება არ დაუბრუნებიათ არც მ. ვ-ძის მემკვიდრეებისათვის. მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1921-1991 წლებში, უცხო ქვეყნის საოკუპაციო რეჟიმის მიერ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების არაერთი პრეცედენტი შეიქმნა.

მოსარჩელის განმარტებით, მის პაპას უკანონოდ ჩამოერთვა ქონება, რითაც მას მიაღდა ზიანი, რომელიც არ ანაზღაურებულა არც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით და არც კომპენსაციით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მ. ვ-ძე ითხოვდა მისი პაპისათვის უკანონოდ ჩამორთმეული საკუთრების - ქ. თბილისში, ამჟამად ... ქ. #4-ში მდებარე უძრავი ქონების მისთვის დაბრუნებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 ნოემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ: თ. კ-შვილი, ი. ლ-კო, ი. დ-ძე, ი. ზ-ძე, ნ. ბ-ძე, ა. ს-ია და პ. ჩ-ძე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ვ-ძის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის მოტივით.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. ვ-ძემ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში თ. კ-შვილის ნაცვლად მესამე პირად ჩაება ნ. მ-ძე-თ-შვილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით მ. ვ-ძის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა; ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რაც წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯრო, კონკრეტულად კი, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

ადმინისტრაციული პალატის განმარტებით, მოცემულ საქმეში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საკუთრების უფლების აღდგენა და საკუთრების უკან დაბრუნება, საკუთრება კი წარმოადგენს კერძო პირებთან არსებულ ქონებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დავა არ მიეკუთვნება ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას, რამდენადაც დავის არსი რეგულირებულია სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით, კერძოდ, იგი წესრიგდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, რის გამოც ეს სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 15 მაისის განჩინებით მ. ვ-ძის სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართალურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი უფრო კონკრეტულად განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებს, კერძოდ, რა შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს, ანუ რომელი დავა შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალწარმოების ფარგლებში.

მ. ვ-ძე უკანონოდ მიიჩნევს სადავო უძრავი ნივთის მისი პაპისათვის ჩამორთმევას და ამ ქონების სხვა პირთა საკუთრებაში გადასვლას იმ მოტივით, რომ სახელმწიფოს სადავო ქონებაზე საკუთრების უფლება არ ჰქონია, სახელმწიფომ იგი მესამე პირებზე არაკანონიერად გაასხვისა, შესაბამისად, მ. ვ-ძე უკანონოდ მიიჩნევს სახელმწიფოს ქმედებას და აღნიშნულის თაობაზე მიუთითებს, როგორც სარჩელში, ასევე, სააპელაციო საჩივარში. ის გარემოება, რომ სადავო ქონება ამჟამად წარმოადგენს კერძო პირების - საქმეში მესამე პირებად მონაწილეთა საკუთრებას, არ წარმოადგენს მოცემული დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად მიჩნევის საფუძველს, რადგან, როგორც აღინიშნა, სარჩელი აღძრულია არა ამჟამინდელი მესაკუთრეების წინააღმდეგ ამ ქონების უკანონოდ მითვისების გამო, არამედ მითითებული ქონების სახელმწიფოს

მიერ უკანონოდ ჩამორთმევის და მისი შემდგომში სახელმწიფოს მიერ ასევე უკანონოდ სხვა პირებზე გასხვისების გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის მეორე ნაწილის "გ" პუნქტის თანახმად, (ამ ნორმის შესაბამისად, ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს "ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე") მოცემული დავა განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ვ-მის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლის შესაბამისად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება საქმე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს იმ კატეგორიის საქმეთა ჩამონათვალს, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპების დაცვით. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან უკანონოდ ჩამორთმეული ქონების კანონიერი მესაკუთრის მემკვიდრისათვის დაბრუნება. კერძოდ, მოსარჩელე მ. ვ-მე მიიჩნევს, რომ უცხო ქვეყნის საოკუპაციო რეჟიმმა მის პაპას მ. ვ-მეს უკანონოდ ჩამოართვა ქონება, რითიც მას მიაღდა ზიანი, რომელიც არ ანაზღაურებულა არც პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენით და არც კომპენსაციით. შესაბამისად, მოსარჩელე ქ. თბილისის მერიისაგან ითხოვს პაპის მ. გ.ს მე ვ-მის ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენას და მითითებული ქონების მისთვის, როგორც გ. ვ-მის მემკვიდრისათვის, დაბრუნებას.

როგორც სარჩელის შინაარსი ცხადყოფს, სახეზეა ქონებრივი რესტიტუციის მოთხოვნა. რაც გულისხმობს ჩამორთმეული ან დაკარგული საცხოვრებელი ან სხვა უძრავი ქონების კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნებას. მოთხოვნა მიმართულია ქ. თბილისის მერიისადმი.

ქ. თბილისის მერია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე მიეკუთვნება ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, მოთხოვნა მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ, რათა ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს უკანონოდ ჩამორთმეული ქონების კანონიერი მესაკუთრისათვის დაბრუნება. შესაბამისად, სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის "გ" ქვეპუნქტის ბოლო წინადადებით განსაზღვრული მოთხოვნა, აღნიშნული კი იძლევა განსახილველი საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპებისადმი დაქვემდებარების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას და თვლის, ის გარემოება, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ემყარება კერძო სამართალს არ იძლევა დავის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით განსაზღვრულ დავათა კატეგორიაში მოქცევის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, საქმის განსჯადობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია სარჩელის ელემენტებისა და სამართალურთიერთობის ცალკეული კომპონენტების განსაზღვრა. დაუშვებელია საჯარო-სამართლებრივი დავის კერძო-სამართლებრივ დავად მიჩნევა მხოლოდ იმ მოტივით, რომ მოსარჩელე თავის საჯარო-სამართლებრივ მოთხოვნას ასაბუთებს კერძო-სამართლებრივი ნორმების მეშვეობით. ასეთ პირობებში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს დავის არსით, შეფასოს და განსაზღვროს მხარის მოთხოვნა და დაადგინოს ვისგან ითხოვს მხარე და რა საფუძველით. წინააღმდეგ შემთხვევაში, განსჯადობის აღრევა გამოიწვევს საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესების დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ სარჩელი თავისი არსით მიეკუთვნება ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რის გამოც საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, 26-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ვ-მის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს;
3. განსჯადობის თაობაზე მიღებული განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1204-1149(გ-09) 13 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა და ადმინისტრაციულ კოლეგიებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

პ. ბ-მემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას, რომლითაც მოითხოვა პატიმრობის რეჟიმის შეცვლა, შემდეგი საფუძველით:

განმცხადებლის მითითებით, ის სასჯელს იხდიდა ქსნის #7 კოლონიაში. ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით მოათავსეს კარცერში და 12 თებერვალს ეტაპირებული იყო ქ. თბილისის #1 საპყრობილეში, სადაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ ქსნის კოლონიის ხელმძღვანელობის მიერ მის მიმართ განხორციელდა სადამსჯელო პროცედურული ზომა - 9 თვე იზოლირება.

განმცხადებელმა განმარტა, რომ მას არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, არ იყო შემჩნეული დანაშაულის ჩადენაში. დოკუმენტზე, რომლითაც მისთვის უნდა გაეცნოთ სასჯელის არსი, ხელი არ მოუწერია, არც სიტყვიერად არ აცნობეს. შესაბამისად, განმცხადებელმა მოითხოვა სასჯელის ერთგვარი ზომის - იზოლირების მოხსნა. ამასთან, განმცხადებელმა მიუთითა, რომ არის ტუბერკულოზის მძიმე ფორმით დაავადებული და ჩაკეტილ სისტემაში მისი ყოფნა საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ივლისის განჩინებით პ. ბ-მის განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის რეჟიმს 2006 წლამდე არეგულირებდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, სასამართლო განაჩენით განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთას აღსრულებენ იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები. კანონის მე-19 მუხლის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის აღსრულებისა და მოხდის რეჟიმს განსაზღვრავს დეპარტამენტის თავმჯდომარე კანონით დადგენილი წესით, ხოლო ამავე კანონის 25-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის გადაყვანა ერთი რეჟიმის სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან სხვა რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხდება დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით ამ კანონით დადგენილი წესით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მსჯავრდებული სასჯელაღსრულების ქსნის #7 დაწესებულებიდან ამავე დეპარტამენტის თბილისის #1 დაწესებულებაში გადაყვანილია 2009 წლის 12 თებერვლის ბრძანებით "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით; რეჟიმის შეცვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება კი წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამარ-

თლებრივ აქტს და მისი გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხი უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა სისხლის სამართლის კოლეგიის მოსაზრებას დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის თაობაზე და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად განსახილველად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

ადმინისტრაციულმა სასამართლომ განმარტა, რომ "რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 ნოემბრის #649 ბრძანებულებაში 2005 წლის 12 აპრილის საქართველოს პრეზიდენტის #213-ე ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებებით, ლიკვიდირებულ იქნა ქ. თბილისის რაიონული სასამართლო და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო, სპეციალიზირებული სასამართლო კოლეგიებით - ადმინისტრაციულ საქმეთა, სისხლის და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიები. "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობა განისაზღვრება კანონით.

ადმინისტრაციულმა სასამართლომ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "დ" პუნქტი და განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც სადავო აქტი უკავშირდება სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს, განმცხადებლის მოთხოვნა სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლის თაობაზე არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავას, რის გამოც აღნიშნული სადავო საკითხი არ წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

სასამართლომ მიუთითა, რომ "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონით წესრიგდება საქართველოს ტერიტორიაზე პატიმრობასთან, როგორც სასჯელის ღონისძიების აღსრულებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, ასევე განსაზღვრავს პატიმრობის აღსრულების ორგანოთა სისტემას და სტრუქტურას, აღსრულების პრინციპებსა და წესებს, პატიმართა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. აღნიშნული კანონით დადგენილი წესით აღსრულდება პატიმრობასთან დაკავშირებული და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, განჩინება, დადგენილება და მოსამართლის ბრძანება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის დაწესებულებების, აგრეთვე იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოდ. ამავე მუხლის მოქმედება, გარდა III თავისა, არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია, სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან; სასამართლოს მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან.

სასამართლოს დასკვნით, მოცემულ დავაში დავის საგანი არის სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლა, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განმარტება - ვინაიდან მსჯავრდებული სასჯელაღსრულების ქსნის #7 დაწესებულებიდან ამავე დეპარტამენტის თბილისის #1 დაწესებულებაში გადაყვანილია 2009 წლის 12 თებერვლის ბრძანებით "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით, შესაბამისად, რეჟიმის შეცვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხი უნდა გადაწყდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით არ წარმოადგენდა საკმარის და გადამწყვეტ წინაპირობას კონკრეტული დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის. საამისოდ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დავის საგნის არსს და ფაქტობრივ შინაარსს, ანუ იმ გარემოებას, თუ მოქმედი კანონმდებლობის რომელი დარგიდან გამომდინარეობდა მოთხოვნები და შესაბამისად სამართალურთიერთობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სისხლის საქმეთა კოლეგიებს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ კ. ბ-ძის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოება წარმოადგენს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესების ერთობლიობას, რაც დადგენილია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით. ამავე კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადობას, რომელიც ექვემდებარება შემდეგ პროცესუალურ ფორმულას: უნდა არსებობდეს დავა, რომელიც იმ სამართალურიერთობასთან არის დაკავშირებული, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა საჯარო სამართლის კანონმდებლობის ნაწილია, კონკრეტულად კი მმართველობით სფეროში წარმოშობილ სამართალურიერთობებს აწესრიგებს. სწორედ მმართველობითი ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ სამართალურიერთობაში წარმოშობილი კონფლიქტები წარმოადგენს ადმინისტრაციულ დავებს და მათი განხილვის კომპეტენცია მხოლოდ ადმინისტრაციულ სასამართლოს გააჩნია.

დავის განსჯადობის განსაზღვრის ძირითადი პრინციპია გაირკვეს - სადავო სამართალურიერთობა გამომდინარეობს თუ არა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს სასარჩელო წარმოება, არამედ წარმოდგენილია განცხადება, რომლის მოთხოვნა მდგომარეობს განმცხადებელს "მოეხსნას სასჯელის ერთგვარი ზომა - მეთოდი იზოლირება".

საქმეში წარმოდგენილი არ არის ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, რომლითაც მსჯავრდებული პ. ბ-ძე ქსნის კოლონიის ხელმძღვანელის მიერ გადაყვანილ იქნა ქ. თბილისის #1 საპყრობილეში. როგორც განცხადების შინაარსიდან ირკვევა, მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულ იქნა სადამსჯელო პროცედურული ზომა 9 თვე იზოლირება.

არც სისხლის და არც ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სასამართლოს მიერ სადავო გადაწყვეტილება გამოთხოვილი არ ყოფილა.

1999 წლის 22 ივლისის კანონით "პატიმრობის შესახებ" განისაზღვრა საქართველოს ტერიტორიაზე პატიმრობასთან, როგორც სასჯელის ღონისძიების აღსრულებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, პატიმრობის აღსრულების ორგანოთა სისტემა და სტრუქტურა, აღსრულების პრინციპი და წესები, პატიმართა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები /მუხლი 1/.

ამავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად, განისაზღვრა სასჯელაღსრულების ქვემდებარე გადაწყვეტილებათა ნუსხა, კერძოდ, ამ საკანონმდებლო აქტით დადგენილი წესით აღსრულება პატიმრობასთან დაკავშირებული და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, განჩინება, დადგენილება და მოსამართლის ბრძანება, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ამავე კანონის მე-6 მუხლის მიხედვით სასამართლოს განაჩენით განსაზღვრულ თავისუფლების აღკვეთას აღსრულებენ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებები.

საკასაციო სასამართლო აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე განმარტავს, რომ კონკრეტული საქმის განჯადობის კვალიფიციური განსაზღვრა მოითხოვს, რომ საერთო სასამართლოებმა უნდა გამოიჯონ ის ორგანოები, რომლებიც მმართველობით ფუნქციას ახორციელებენ კლასიკური (ორგანიზაციულ-სამართლებრივი) გაგებით და ის ორგანოები, რომელთა საქმიანობაც ყოველთვის არ არის მმართველობითი საქმიანობა, მაგალითად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4. მუხლის "ა", "ბ", "დ", "ე" და "ვ" ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი შემთხვევები, რაც სცილდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფეროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ცნების დეფინიცია 2 ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ცნებას: სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანოსა და დაწესებულებას. ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციური გაგება, რომელიც ცნების მეორე ნაწილშია მოცემული აერთიანებს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არის სახელმწიფო მმართველობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებებს და ამ მიზნით გამოსცემენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასჯელაღსრულების ორგანოების საქმიანობა სადავო ასპექტით განხილულ უნდა იქნეს, როგორც მმართველობითი ფუნქცია, ვინაიდან ისინი ადმინისტრირებას ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე პატიმრობასთან, როგორც სასჯელის ღონისძიების აღსრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში, თუმცა ეს ორგანოები გარკვეულწილად გვევლინებიან იუსტიციური ფუნქციების განმხორციელებლად, მინიჭებული აქვთ რა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამოძიების და ოპერატიულ-სამძებრო საქმიან-

ნობის განხორციელების კომპეტენცია, რაც უშუალოდ სასჯელადსრულების დაწესებულებას უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილებას წარმოადგენს "პატიმრობის შესახებ" კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასჯელადსრულების ორგანოების მიერ ადმინისტრირების მომენტში განხორციელებული საქმიანობა შესაბამის სამართლებრივ ფორმებში (ადმინისტრაციული აქტი, რეალაქტი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება) სადავოობის პირობებში ექვემდებარება სასამართლო კონტროლს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მეშვეობით, ხოლო იუსტიციური ფუნქციის განხორციელებისას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონის საფუძველზე) - შესაბამისად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მეშვეობით.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4. მუხლის "გ" ქვეპუნქტთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით: "ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილების აღსრულებასთან", განმარტავს, რომ აღნიშნული დათქმა გაგებულ უნდა იქნას არა იმგვარად, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანოები არ ახორციელებენ მმართველობით ფუნქციას, არამედ იმ კონტექსტით, რომ მათ მიმართ არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახეების გამოყენების ვალდებულება, ვინაიდან ამ ორგანოებს საკუთრივ, სპეციალური პროცედურა გააჩნიათ გადაწყვეტილებათა მიღების და რეალაქტის განხორციელების მიზნით, ასე მაგალითად, სააღსრულებო სამსახური მოქმედებს "სააღსრულებო წარმოების შესახებ" კანონის, ხოლო სასჯელადსრულების ორგანოები "პატიმრობის შესახებ" კანონის საფუძველზე, რაც არცერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ ისინი არ წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოებს, მათზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოების პრინციპები, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების საკანონმდებლო წესები. შესაბამისად, "პატიმრობის შესახებ" კანონით რეგლამენტირებული პროცედურის მიხედვით, მათი მოქმედებების ან გადაწყვეტილებების გასაჩივრებისას სასამართლოების მიერ გამოყენებულ უნდა იქნას ადმინისტრაციული სამართალწარმოება.

აღსანიშნავია, რომ ორივე ადმინისტრაციული ორგანოს მოსამსახურეები "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მიხედვით საჯარო მოსამსახურეებს წარმოადგენენ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "პატიმრობის შესახებ" კანონის 26-ე მუხლით განსაზღვრულია მსჯავრდებულის უფლებები, რომელთა შორის გათვალისწინებულია მისი უფლების სამართლებრივი დაცვის საშუალებები, კერძოდ, მას აქვს უფლება შეიტანოს საჩივარი სასჯელადსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის, მოსამსახურეთა, დეპარტამენტის ან სხვა სახელმწიფო დაწესებულების უკანონო მოქმედებაზე, რაც შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების რეალიზაციის შესაძლებლობას. ამავდროულად, მსჯავრდებულს ევალება დაიცვას სასჯელადსრულების დაწესებულების შინაგანაწესი და შეასრულოს ადმინისტრაციის კანონიერი მოთხოვნა.

აღნიშნული საკანონმდებლო აქტის VII თავის დებულებები ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიმართ ადმინისტრაციული, დისციპლინური და აღმზრდელი ხარისხის ზემოქმედების გამოყენებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო სამსახურში დისციპლინური ღონისძიებების გამოიყენება საზოგადოდ საჯარო დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში, მოცემულ ვითარებაშიც მსჯავრდებულის დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევისათვის, თუ მისი ქმედება არ შეიცავს დანაშაულს ან ამ კანონის 30² მუხლით გათვალისწინებულ ქმედებათა ნიშნებს, დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, (30.1. მუხლი), ხოლო მე-6 ნაწილში ჩამოთვლილია დისციპლინური სასჯელის სახეები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა სასამართლომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე სადავო გადაწყვეტილების გამოთხოვის პირობებში შეფასება უნდა მისცეს სახეზეა თუ არა "პატიმრობის შესახებ" კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენება, რომლის მე-11 პუნქტით პირდაპირ არის გათვალისწინებული მსჯავრდებულის საპროცესო უფლება ზემდგომ თანამდებობის პირთან ან სასამართლოში მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზომის გასაჩივრების შესაძლებლობის თაობაზე. შესაბამისად, ადეკვატური საპროცესო მოქმედების ჩატარების შედეგად (სსსკ-ის 185-ე მუხლი) უნდა არსებობდეს სასარჩელო წარმოება და საქმე განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

საგულისხმოა, რომ ამავე კანონის 30¹ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხორციელდება ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის სამართლებრივი ფორმით - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში წარედგინება უფლებამოსილ სასამართლოს და საქმე განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით /იხ. მე-7 - მე-15 პუნქტები/.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური ღონისძიების შეფარდება მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უნდა მოხდეს, რაზეც დასაშვებია სასარჩელო წარმოება, რომელზეც შესაბამისი დარგის - ადმინისტრაციული სამართალწარმოება უნდა შედგეს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ ადმინისტრაციულ დავას და იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე, მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. პ. ბ-ძის განცხადება პატიმრობის რეჟიმის შეცვლის შესახებ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1069-1027(გ-09) 15 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიებს შორის დავა გ. ჯ-ძის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ჯ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე - სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მისი საპრობილის რეჟიმზე გადაყვანის შესახებ ბრძანების გაუქმება. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 24.11.08წ. ბრძანებით დაკმაყოფილდა რუსთავის #2 საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის დაწესებულების დირექტორის 21.11.08წ. წარდგინება და მოსარჩელე გადაყვანილ იქნა საპრობილის რეჟიმზე. აღნიშნული ბრძანება გასაჩივრდა 25.12.08წ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, რომლის 13.01.08წ. წერილით უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე. გ. ჯ-ძემ 18.02.09წ. სარჩელით მიმართა სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 24.11.08წ. #8259 ბრძანების გაუქმება.

მოპასუხის შუამდგომლობითა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.04.09წ. განჩინებით გ. ჯ-ძის სასარჩელო განცხადება მოპასუხე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარ-

ტამენტი მის მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შეწყვეტა ან შესრულება; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა; ასევე სხვა დავები, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, კოდექსის დებულებები არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან.

სასამართლო მიუთითა, რომ "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლით, სასჯელადსრულების დეპარტამენტი არის საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელსაც ხელმძღვანელობს დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი. იმავე კანონის 23-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებული სასჯელს იხდის დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ სასჯელადსრულების დაწესებულებაში, ხოლო 25-ე მუხლის მიხედვით, მსჯავრდებულის გადაყვანა ერთი რეჟიმის დაწესებულებიდან სხვა რეჟიმის დაწესებულებაში ხდება დეპარტამენტის უფროსის ბრძანებით, კანონით დადგენილი წესით, სასჯელადსრულების დაწესებულების დირექტორის წარდგინებით.

სასამართლო კოლეგიის მოსაზრებით, სასჯელადსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 24.11.2008წ. #8259 ბრძანება ცვლის სასჯელის მოხდის რეჟიმს, შესაბამისად, უკავშირდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას და რამდენადაც წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისს, არ ხდება ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიაში.

ამასთან, სასამართლო მიუთითა, რომ, ესაა მოთხოვნა პირობების შეცვლის თაობაზე, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ექვემდებარება განაჩენის დამდგენი სასამართლოს განსჯადობას, რადგან მოსარჩელე ითხოვს ფაქტობრივად, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას და დაბრუნებას იმ დაწესებულებაში, სადაც მანამდე იმყოფებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 02.05.09წ. დადგენილებით, მოსარჩელის განცხადება გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განსჯადობის საკითხის გასარკვევად.

სასამართლოს მითითებით, სასჯელადსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 24.11.2008წ. #8259 ბრძანება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მისი გაუქმება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 18.06.09წ. დადგენილებით, სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან სასჯელადსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 24.11.2008წ. #8259 ბრძანება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და განხილული უნდა იქნას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. სასამართლო მიუთითა, რომ სასჯელის მოხდის რეჟიმს 2006 წლამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, განსაზღვრავდა სასამართლო, თუმცა "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონმა ეს საკითხი განსხვავებულად მოაწესრიგა. რამდენადაც სადავო საკითხის რეგულირება განსაზღვრულია "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონით, ის წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და გაუქმების მოთხოვნა განხილულ უნდა იქნას ადმინისტრაციული წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.07.09წ. განჩინებით, განსჯადობის საკითხის დასადგენად საქმე გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიებს, ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლი ადგენს გამონაკლისებს, საქმეებს, რომლებზეც არ ვრცელდება ამ კოდექსის მოქმედება. მათგან ერთ-ერთ-

თია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

სასამართლოს მიაჩნია, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 24.11.2008წ. #8259 ბრძანება ცვლის რა სასჯელის მოხდის რეჟიმს, პირდაპირ უკავშირდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ექვემდებარება განაჩენის დამდგენი სასამართლოს განსჯადობას სისხლის სამართალწარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიასა და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ჯ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა საჯარო სამართლის კანონმდებლობის ნაწილია, კონკრეტულად კი მმართველობითი ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობაში წარმოშობილი კონფლიქტები ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას მიეკუთვნებიან და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნენ განხილულნი. კანონმდებლობით დადგენილი წესით სასჯელის აღსრულების განხორციელების ორგანიზება, საქართველოს მთავრობის 30.01.09წ. #8 დადგენილებით დამტკიცებული "საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს" დებულების მე-3 მუხლის თანახმად, მმართველობის სფეროს განეკუთვნება. ამავე დებულების მე-10 მუხლის თანახმად, სამინისტროს სისტემაში შემავალი სასჯელაღსრულების დეპარტამენტი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სზაკ-ის 3.4 მუხლის "გ" ქვეპუნქტის დებულება იმის შესახებ, რომ "ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილების აღსრულებასთან" არ გამოიცხავს გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანოების მიერ მმართველობითი საქმიანობის განხორციელებას და ადასტურებს იმას, რომ მათ მიმართ არ ვრცელდება სზაკ-ით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახეების და პროცედურების გამოყენება აღსრულების ორგანოების საქმიანობის, მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღების და რეალაქტის განხორციელების პროცედურის სპეციალური საკანონმდებლო აქტით ("პატიმრობის შესახებ", "არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ", "სააღსრულებო წარმოების შესახებ" კანონებით) მოწესრიგების გამო. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება სასჯელაღსრულებითი ორგანოს ადმინისტრირების სფეროს, შესაბამისი სამართლებრივი საშუალების - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, რაც დასტურდება დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლით და არ აქვს კავშირი სასჯელაღსრულებითი ორგანოს იმ საქმიანობასთან, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონით წესრიგდება და შესაბამისად სისხლის სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ "პატიმრობის შესახებ" კანონის ადრინდელი რედაქციის (მე-19 მუხ.) მიხედვით თავისუფლების აღკვეთის აღსრულებისა და მოხდის რეჟიმს განსაზღვრავდა სასამართლო კანონით დადგენილი წესით, "პატიმრობის შესახებ" კანონში 28.04.08წ. კანონით ცვლილება-დამატებების შეტანის შედეგად თავისუფლების აღკვეთის აღსრულების და მოხდის რეჟიმს განსაზღვრავს დეპარტამენტის თავმჯდომარე კანონით დადგენილი წესით. ცვადა, რომ აღნიშნული ხდება არა განაჩენის, არამედ - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით. კანონის 25-ე მუხლის მიხედვით მსჯავრდებულისათვის სასჯელაღსრულების რეჟიმის პირობების შეცვლა, კერძოდ, შედარებით მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანა ხორციელდება ამ დაწესებულების დირექტორის წარდგინების საფუძველზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, რის შესახებაც ეცნობება სასჯელაღსრულების დაწესებულების კომისიას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელის გადაყვანა შედარებით მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მოხდა სასჯელაღსრულების დირექტორის წარდგინების საფუძველზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის ბრძანებით. აღსანიშნავია, რომ ორივე ადმინისტრაციული ორგანოს მოსამსახურეები "საჯარო მოსახურის შესახებ" კანონის მიხედვით საჯარო მოსამსახურეებს წარმოადგენენ. "პატიმრობის შესახებ" კანონის 26.1 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად მსჯავრდებულს უფლება აქვს გაასაჩივროს მის მიმართ გა-

მოყენებული ზომები. "პატიმრობის შესახებ" კანონის VII თავის დებულებები ითვალისწინებენ მსჯავრდებულის მიმართ ადმინისტრაციული, დისციპლინური და აღმზრდელობითი ზემოქმედების ღონისძიებების გატარებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის შედარებით მკაცრ რეჟიმზე გადაყვანა ხდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს არა სასჯელის სახის შეცვლას, რაც "არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" კანონის, სისლის სამართლის საპროცესო კოდექსის LX - LXI თავების თანახმად, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს აქტის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს, არამედ სასჯელის მოხდის რეჟიმის დროებით შეცვლას, რაც აღმასრულებელი ორგანოს მიერ აქტის გამოცემით ხორციელდება. ამდენად, ორგანიზაციული და ფუნქციონალური თვალსაზრისითაც, დეპარტამენტი მოცემულ შემთხვევაში მოქმედებს, როგორც ადმინისტრაციული ორგანო. სასჯელაღსრულების ორგანოს მიერ ადმინისტრირების პროცესში განხორციელებული საქმიანობა შესაბამის სამართლებრივ ფორმებში (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რეალაქტი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება) ხორციელდება და დავის შემთხვევაში სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხორციელდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი საქმე შედის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ დავათა კატეგორიაში, რომელიც ადმინისტრაციული წესით განხილვას ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ჯ-მის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1203-1148(გ-09) 15 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის დავა ბ. მ-შვილის განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 5 მაისს ბ. მ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც იგი ითხოვდა ქსნის კოლონიის ხელმძღვანელის მიერ უკანონოდ გამოყენებული ღონისძიების, საპრობილემო გადაყვანის, გაუქმებას.

განმცხადებლის მითითებით, ის სასჯელს იხდიდა ქსნის #7 კოლონიაში. ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით 20 მარტს მოათავსეს კარცერში, ხოლო შემდეგ 21 მარტს ეტაპირებული იყო ქ. თბილისის #1 საპრობილემოში, სადაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ ქსნის კოლონიის ხელმძღვანელობის მიერ მის მიმართ განხორციელდა სადამსჯელო პროცედურული ზომა - 9 თვე იზოლირება.

განმცხადებლის განმარტებით, მას არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, არ იყო შემჩნეული დანაშაულის ჩადენაში. დოკუმენტზე, რომლითაც მისთვის ცნობილი გახდებოდა მისი დანაშაულის

არსი ხელი არ მოუწერია. შესაბამისად, განმცხადებელმა მოითხოვა სასჯელის ერთგვარი ზომის - იზოლირების მოხსნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 მაისის განჩინებით ბ. მ-შვილის განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციული კოლეგია განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმეებია: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე, აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა; აგრეთვე სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან.

"პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი არის სასჯელაღსრულების ორგანო, რომელიც შედის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში, როგორც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება; დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი.

ამავე კანონის 23-ე მუხლის თანახმად, თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებული სასჯელის მთელ ვადას იხდის დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში; მსჯავრდებულის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის წესი და პირობები განსიზღვრება დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით. ამავე კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მსჯავრდებულის გადაყვანა ერთი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სხვა რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხდება დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, ამ კანონით დადგენილი წესით; ამავე მუხლის მე-6-7 პუნქტების თანახმად, დეპარტამენტის თავმჯდომარეს მსჯავრდებული შედარებით მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაჰყავს ამ დაწესებულების დირექტორის წარდგინებით, რის შესახებაც ეცნობება სასჯელაღსრულების დაწესებულების კომისიას. მსჯავრდებულების გადაყვანა მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დასაშვებია 3 წლამდე ვადით, ხოლო საპრობილეში - 1 წლამდე ვადით.

სასამართლოს განმარტებით, ბ. მ-შვილის მიერ სადავოდ ქვეული ქმედებით იცვლება სასჯელის მოხდის რეჟიმი; ეს ქმედება უშუალოდ არის დაკავშირებული სასამართლო განაჩენის აღსრულებასთან. ამდენად, იგი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, არც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე ქმედებას, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსრულებისას წარმოშობილ ურთიერთობებზე არ ვრცელდება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს მიმართოს განაჩენის დამდგენ სასამართლოს განცხადებით სხვადასხვა საკითხების, მათ შორის - სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობების შეცვლის საკითხების გადაწყვეტის შესახებ. წარმოდგენილი განცხადებით ფაქტობრივად, ბ. მ-შვილი ითხოვს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ანუ - სადავო ქმედების საფუძველზე დადგენილი საპრობილის რეჟიმის შეცვლას და ისევ ქსნის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში დაბრუნებას, რაც სასამართლოს მოსაზრებით, წარმოადგენს მსჯავრდებულის მოთხოვნას სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობების შეცვლის თაობაზე და წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადაგენილი წესით განსახილველი საქმეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 ივნისის დადგენილებით მსჯავრდებულ ბ. მ-შვილის განცხადება თანდართული მასალებით განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს, როგორც განაჩენის დამდგენ სასამართლოს.

მცხეთის რაიონული სასამართლოს სასამართლო სხდომაზე მსჯავრდებულმა ბ. მ-შვილმა დააზუსტა განცხადება და აღნიშნა, რომ ითხოვდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 19 მარტის #1284 ბრძანების მსჯავრდებულის შედარებით მკაცრ რეჟიმზე გადაყვანის

შესახებ გაუქმებასა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ანუ დაბრუნებას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის #7 საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის დაწესებულებაში.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 ივლისის დადგენილებით მსჯავრდებულ ბ. მ-შვილის განცხადება განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

რაიონული სასამართლო დადგენილებაში მიუთითებდა, რომ მსჯავრდებულ ბ. მ-შვილის მიერ სადავოდ ქცეული, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 19 მარტის #1284 ბრძანება, მსჯავრდებულის შედარებით მკაცრ რეჟიმზე გადაყვანის შესახებ, წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს და იგი ვერ იქნება განხილული სისხლის სამართლებრივი წესით, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2006 წლის შეტანილი ცვლილებებით, სასჯელის მოხდის რეჟიმი და პირობები აღარ მიეკუთვნება სისხლის საპროცესო სამართლებრივი რეგულირების საკითხს და აღნიშნული საკითხი წყდება "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. მითითებული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენით განსაზღვრულ თავისუფლების აღკვეთას აღსრულებენ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებები. ამავე კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის აღსრულებისა და მოხდის რეჟიმს განსაზღვრავს დეპარტამენტის თავმჯდომარე, კანონით დადგენილი წესით. ამავე კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მსჯავრდებულის გადაყვანა ერთი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სხვა რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხდება დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, ამ კანონით დადგენილი წესით.

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იერარქიის ერთი და იგივე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას მოქმედებს უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) აქტით დადგენილი ნორმა.

სასჯელის მოხდის რეჟიმი და პირობები რეგულირდება "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონით, რომელიც უფრო გვიან არის მიღებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს განმარტებით, მსჯავრდებულ ბ. მ-შვილის მიერ სადავოდ ქცეული საკითხი განხილულ უნდა იქნეს არა სისხლის სამართლის, არამედ ადმინისტრაციული სამართლის წესით, ვინაიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 19 მარტის #1284 ბრძანება, მსჯავრდებულის შედარებით მკაცრ რეჟიმზე გადაყვანის შესახებ, წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ივლისის განჩინებით მსჯავრდებულ ბ. მ-შვილის განცხადება განსჯადობის წესის შესაბამისად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 აგვისტოს განჩინებით ბ. მ-შვილის განცხადება განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

ადმინისტრაციული კოლეგია განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმეები. ესენია: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე, აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა; აგრეთვე სხვა საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან.

სასამართლოს განმარტებით, ბ. მ-შვილის მიერ სადავოდ ქცეული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 19 მარტის #1248 ბრძანება უშუალოდ არის დაკავშირებული სასამართლოს განაჩენის აღსრულებასთან, განსაზღვრავს რა მსჯავრდებულის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობებს. ამდენად, იგი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნებას და ელემენტებს განსაზღვრავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსრულებისას წარმოშობილ ურთიერთობაზე არ ვრცელდება. ანალოგიური მოტივით, ინდივიდუ-

ალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ასევე ვერ იქნება მიჩნეული ის დოკუმენტი, რომლის მოპასუხისათვის გამოცემის დავალებასაც ითხოვს მოსარჩელე სასამართლოსაგან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. მ-შვილის განცხადება განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამათალწროებით განიხილება დავა, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა საჯარო სამართლის კანონმდებლობის ნაწილია, კონკრეტულად კი მმართველობით სფეროში წარმოშობილ სამართალურთიერთობებს აწესრიგებს. სწორედ მმართველობითი ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობაში წარმოშობილი კონფლიქტები წარმოადგენს ადმინისტრაციულ დავებს და მათი განხილვის კომპეტენცია მხოლოდ ადმინისტრაციულ სასამართლოს გააჩნია.

დავის განსჯადობის განსაზღვრის ძირითადი პრინციპია გაირკვეს - სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს თუ არა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს სასარჩელო წარმოება, არამედ წარმოდგენილია განცხადება, რომლის მოთხოვნა მდგომარეობს განმცხადებელს "მოეხსნას სასჯელის ერთგვარი ზომა - მეთოდი იზოლირება"

1999 წლის 22 ივლისის საქართველოს კანონის "პატიმრობის შესახებ" 1-ლი მუხლით განისაზღვრა საქართველოს ტერიტორიაზე პატიმრობასთან, როგორც სასჯელის ღონისძიების აღსრულებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, პატიმრობის აღსრულების ორგანოთა სისტემა და სტრუქტურა, აღსრულების პრინციპი და წესები, პატიმართა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები.

ამავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად, განისაზღვრა სასჯელაღსრულების ქვემდებარე გადაწყვეტილებათა ნუსხა, კერძოდ, ამ საკანონმდებლო აქტით დადგენილი წესით აღსრულება პატიმრობასთან დაკავშირებული და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, განჩინება, დადგენილება და მოსამართლის ბრძანება, აგრეთვე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ამავე კანონის მე-6 მუხლის მიხედვით სასამართლოს განაჩენით განსაზღვრულ თავისუფლების აღკვეთას აღსრულებენ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებები.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კონკრეტული საქმის განჯადობის კვალიფიციური განსაზღვრა მოითხოვს, რომ საერთო სასამართლოებმა უნდა გამოიჩინონ ის ორგანოები, რომლებიც მმართველობით ფუნქციას ახორციელებენ კლასიკური (ორგანიზაციულ-სამართლებრივი) გაგებით და ის ორგანოები, რომელთა საქმიანობაც ყოველთვის არ არის მმართველობითი საქმიანობა, მაგალითად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4. მუხლის "ა", "ბ", "დ", "ე" და "ვ" ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი შემთხვევები, რაც ცილდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფეროს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასჯელაღსრულების ორგანოების საქმიანობა სადავო ასპექტით განხილულ უნდა იქნას, როგორც მმართველობითი ფუნქცია, ვინაიდან ისინი ადმინისტრირებას ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე პატიმრობასთან, როგორც სასჯელის ღონისძიების აღსრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში, თუმცა ეს ორგანოები გარკვეულწილად გვევლინებიან იუსტიციური ფუნქციების განმახორციელებლადაც, მინიჭებული აქვთ რა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომხდარი დანაშაულის გამომიების და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების კომპეტენცია, რაც უშუალოდ სასჯელაღსრულების დაწესებულებას უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილებას წარმოადგენს "პატიმრობის შესახებ" კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად.

სასჯელაღსრულების ორგანოების მიერ ადმინისტრირების მომენტში განხორციელებული საქმიანობა შესაბამის სამართლებრივ ფორმებში (ადმინისტრაციული აქტი, რეალაქტი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება) სადავობის პირობებში ექვემდებარება სასამართლო კონტროლს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მეშვეობით, ხოლო იუსტიციური ფუნქციის განხორციელებისას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონის საფუძველზე) - შესაბამისად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მეშვეობით.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4. მუხლის "გ" ქვეპუნქტთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით: "ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილების აღსრულებასთან", განმარტავს, რომ აღნიშნული დათქმა გაგებულ უნდა იქნეს არა იმგვარად, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანოები არ ახორციელებენ მმართველობით ფუნქციას, არამედ იმ კონტექსტით, რომ მათ მიმართ არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახეების გამოყენების ვალდებულება, ვინაიდან ამ ორგანოებს საკუთრივ, სპეციალური პროცედურა გააჩნიათ გადაწყვეტილებათა მიღების და რეალაქტის განხორციელების მიზნით, ასე მაგალითად, სააღსრულებო სამსახური მოქმედებს "სააღსრულებო წარმოების შესახებ" კანონის, ხოლო სასჯელაღსრულების ორგანოები "პატიმრობის შესახებ" კანონის საფუძველზე, რაც არცერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ ისინი არ წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოებს, მათზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოების პრინციპები, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების საკანონმდებლო წესები. შესაბამისად, "პატიმრობის შესახებ" კანონით რეგლამენტირებული პროცედურის მიხედვით, მათი მოქმედებების ან გადაწყვეტილებების გასაჩივრებისას სასამართლოების მიერ გამოყენებულ უნდა იქნას ადმინისტრაციული სამართალწარმოება.

აღსანიშნავია, რომ ორივე ადმინისტრაციული ორგანოს მოსამსახურეები "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მიხედვით საჯარო მოსამსახურეებს წარმოადგენენ.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, "პატიმრობის შესახებ" კანონის 26-ე მუხლით განსაზღვრულია მსჯავრდებულის უფლებები, რომელთა შორის გათვალისწინებულია მისი უფლების სამართლებრივი დაცვის საშუალებები, კერძოდ, მას აქვს უფლება, შეიტანოს საჩივარი სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის, მოსამსახურეთა, დეპარტამენტის ან სხვა სახელმწიფო დაწესებულების უკანონო მოქმედებაზე, რაც შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების რეალიზაციის შესაძლებლობას. ამავდროულად, მსჯავრდებულს ევალება დაიცვას სასჯელაღსრულების დაწესებულების შინაგანაწესი და შეასრულოს ადმინისტრაციის კანონიერი მოთხოვნა.

აღნიშნული საკანონმდებლო აქტის VII თავის დებულებები ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიმართ ადმინისტრაციული, დისციპლინური და აღმზრდელი ხარისხის ზემოქმედების გამოყენებას.

მსჯავრდებულს დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევისათვის, თუ მისი ქმედება არ შეიცავს დანაშაულს ან ამ კანონის 30¹ მუხლით გათვალისწინებულ ქმედებათა ნიშნებს, დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა (30.1 მუხლი). ხოლო მე-6 ნაწილში ჩამოთვლილია დისციპლინური სასჯელის სახეები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა სასამართლომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე სადავო გადაწყვეტილების გამოთხოვის პირობებში შეფასება უნდა მისცეს, არსებობს თუ არა მსჯავრდებულის მიმართ "პატიმრობის შესახებ" კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური ღონისძიების გამოყენება, რომლის მე-11 პუნქტით პირდაპირ არის გათვალისწინებული მსჯავრდებულის საპროცესო უფლება ზემდგომ თანამდებობის პირთან ან სასამართლოში მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზომის გასაჩივრების შესაძლებლობის თაობაზე. შესაბამისად, ადეკვატური საპროცესო მოქმედების ჩატარების შედეგად (სსსკ-ის 185-ე მუხლი) სახეზე უნდა იყოს სასარჩელო წარმოება და საქმე განხილულ უნდა იქნას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

საგულისხმოა, რომ ამავე კანონის 30¹ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხორციელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის სამართლებრივი ფორმით - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში წარედგინება უფლებამოსილ სასამართლოს და საქმე განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით /იხ. მე-7 - მე-15 პუნქტები/.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური ღონისძიების შეფარდება უნდა მოხდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რაზედაც დასაშვებია სასარჩელო წარმოება და მისი განხილვა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ ადმი-

ნისტრაციულ დავას და იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. მ-შვილის განცხადება პატიმრობის რეჟიმის შეცვლის შესახებ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1392-1329(გ-09) 3 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 2 ივლისს გ. კ-ანმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის #427/კ ბრძანების ბათილად ცნობა, გ. კ-ანის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება შემდეგი საფუძველით:

გ. კ-ანი 2008 წლის 23 აპრილამდე მუშაობდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ... საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. 2008 წლის 23 აპრილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების საფუძველად მიეთითა საქართველოს შრომის კოდექსის 38.1 მუხლი, რომელიც ადგენს სამუშაოდან გათავისუფლების წესს და არა საფუძველს. ასევე ბრძანებაში მიეთითა "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 59.2 მუხლი, რომლის მიხედვით, დირექტორის არჩევამდე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ხოლო ამავე კანონის 56-ე მუხლის თანახმად, სკოლისგარეშე დაწესებულების ხელმძღვანელის (დირექტორის) მოვალეობის შემსრულებელს 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი.

მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული ნორმის საფუძველზე გ. კ-ანი 2005 წელს გათავისუფლდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით და დაინიშნა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. შესაბამისად, მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია იმავე საფუძველით მისი ხელმეორედ გათავისუფლება.

მოსარჩელის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში მისი გათავისუფლებისას დაირღვა საქართველოს შრომის კოდექსის 1.1, საქართველოს კონსტიტუციის 6.2, სოციალური ქარტიის 4.4 მუხლები. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ შრომის კოდექსის 44-ე, სამოქალაქო კოდექსის 408.1 და 411-ე მუხლების შესაბამისად, მისი სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინებით გ. კ-ანის სარჩელი, განსჯადობის წესების დაცვით, გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. კ-ანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის #427/კ ბრძანება და მოპასუხეს დაევალა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გ. კ-ანის მიმართ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში; ასევე მოპასუხეს დაევალა გ. კ-ანისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება გათავისუფლებიდან ახალი აქტის გამოცემამდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გ. კ-ანის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მარტის განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის #427/კ ბრძანება გ. კ-ანის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ არ არის გამოცემული ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, მხოლოდ ის გარემოება, რომ სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველად საქართველოს შრომის კოდექსთან ერთად მითითებულია "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის პირობას, რადგან მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის უშუალო საფუძველია კერძო სამართლის საკანონმდებლო ნორმატიული აქტი - საქართველოს შრომის კოდექსი და არა "ზოგადი განათლების შესახებ" კანონი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მინისტრის ბრძანება წარმოადგენს შრომის უფლების შეწყვეტის შესახებ სამართლებრივ აქტს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 1.1, 2.1, 2.2 მუხლებით და მიუთითა, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში საქმიანობა არ წარმოადგენს საჯარო სამსახურში საქმიანობას. ასევე, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით განსაზღვრულია ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში პირი იძენს საჯარო მოსამსახურის სტატუსს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი განიხილება კერძო სამართლის სუბიექტად. შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა მიმართ ვერ გავრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტები - დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ასევე დავის საგანი არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან. შესაბამისად, არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის და მოცემული დავა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, კერძო სამართლის საკანონმდებლო ნორმატიული აქტების საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ივნისის განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობები არის პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები, რომელთაგან წარმომოხილვი დავები განიხილება სსსკ-ის მე-11 მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყრუთის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გ. კ-ანის გათავისუფლების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების კანონიერება, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით და მიიჩნია, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უმთავრესია, თუ რომელი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს დავა, დავის არსი და საგანი, ასევე მოდავე მხარეები.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ჯ" პუნქტის თანახმად, საჯარო სკოლა წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. ამავე კანონის 25.1 მუხლის მიხედვით, ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს მთავრობა. 26-ე მუხლი განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილებას, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის "ო" და "ო¹" ქვეპუნქტების შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ატარებს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევ კონკურსს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დირექტორის არჩევამდე უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნას. "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 59.2 მუხლის თანახმად, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშვნა და მისი თანამდებობიდან გათავისუფლება ხორციელდება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადო აქტების გამოცემით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც გამოიცემა საქართველოს კანონით "ზოგადი განათლების შესახებ" გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნაწილს წარმოადგენს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს - განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზეა ადმინისტრაციული დავისათვის დამახასიათებელი ნიშნები: დავის მონაწილეა ადმინისტრაციული ორგანო, დავის საგანს კი წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რადგან სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს როგორც "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ნორმები, ასევე "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავად. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნას, მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რითაც დაირღვა სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაცი-

ულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალური ერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში. ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალური ერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნება, რამდენადაც დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის #427/კ ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც მოსარჩელე გათავისუფლდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყრუთის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას, რომ სადავო სამართალური ერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ნორმები, რადგან გ. კ-ანი, როგორც ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყრუთის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, არ წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 1.1 მუხლის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას, განმარტავს, რომ საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ანაზღაურებად საქმიანობას ეწევა სახელმწიფო ან ადგილობრივ თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 2.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელშიც საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, ხოლო ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყრუთის საჯარო სკოლის დირექტორი ვერ მიიჩნევა საჯარო მოსამსახურედ.

შრომითსამართლებრივი ურთიერთობა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კერძოსამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს, მაგრამ იმავდროულად, კანონმდებელმა საჯარო შრომითსამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგა საჯარო შრომით-სამართლებრივი ნორმატიული აქტით - "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით. სწორედ მითითებული საკანონმდებლო აქტით ხდება საჯარო მოხელისათვის საჯაროსამართლებრივი კომპეტენციის გადაცემა და შესაბამისად, იმ შედეგების მინიჭება და გარანტიებით აღჭურვა, რაც კანონით გათვალისწინებულია საჯარო მოხელისათვის. ამასთან, პირის დაკავებული თანამდებობის, საქმიანობის სპეციფიკისა და თვისობრივი დატვირთვის გამო საჯარო მოხელესთან გაიგივება, იმ პირობებში, როცა ის "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-2 მუხლში რეგლამენტირებულ საჯარო სამსახურის განმარტების ლეგალურ დეფინიციამ იარ თავსდება, დაუშვებელია.

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული "საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრით", განსაზღვრულია საჯარო თანამდებობათა ნუსხა, საჯარო მოხელეების რანგირება, რაც საჯარო მოხელეთათვის კიდევ ერთი ნორმატიული დადასტურებაა სტატუსთან მიმართებაში. საჯარო სკოლის დირექტორი, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად, მითითებული თანამდებობა ვერ იქნება განხილული საჯარო სამსახურად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ გ. კ-ანი არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს, რამდენადაც ის არ აკმაყოფილებდა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით ამგვარ სუბიექტად მიჩნევისათვის დადგენილ პირობას, თუმცა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყრუთის საჯარო სკოლა "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ჯ" პუნქტისა და 31.1 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ზოგადსაგანმანათლებლო, საჯარო დაწესებულებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გ. კ-ანის ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყრუთის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დაინიშნა და გათავისუფლდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ხოლო მისი სამსახურში დანიშვნის საფუძველს წარმოადგენდა "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 59.2 მუხლი, რამდენადაც მითითებული ნორმის თანახმად, "საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედება გახდა ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, რომელიც ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ერთ საფეხურს მაინც, ხელმძღვანელის (დირექტორის) გათავისუფლების საფუძველი, რაც ფორმდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით. ამავ კანონის შესაბამისად, დირექტორის არჩევამდე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გ. კ-ანი, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. მართალია, ეს უკანასკნელი, არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, თუმცა მისი გათავისუფლების დროს დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ კერძო სამართლის ნორმატიული აქტის - შრომის კანონთა კოდექსის გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) ცალმხრივი შეწყვეტის მომწესრიგებელი ნორმის გამოყენება, რამდენადაც მისი გათავისუფლების საკითხი, როგორც საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელისა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხილულ უნდა იქნეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის განსაზღვრული პროცედურით, ადმინისტრაციული წარმოების გზით, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრულყოფილი გამოკვლევის პრინციპის გათვალისწინებით. ამასთან, გათავისუფლების მატერიალური კანონიერების შეფასება, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა განახორციელოს საჯარო სამართლის ნორმატიული აქტებით: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ნორმათა გამოყენებით.

საკასაციო სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განმარტავს, რომ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში უნდა გამოიყოს შემთხვევები, როცა პირი წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა, არჩევა) ხდება ადმინისტრაციის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და მისი გათავისუფლების კანონიერების შეფასება სასამართლოში სწორედ ამ საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტთან და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალური საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში უნდა განხორციელდეს; ასევე, პირის, რომელიც არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, სამსახურში მიღება (დანიშვნა) ხდება შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე და შესაბამისად, სწორედ მითითებული კერძო სამართლებრივი ნორმატიული აქტი არეგულირებს მისი სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების პირობებს; ასევე, მესამე შემთხვევა, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს, კერძოდ, პირი, არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, თუმცა მისი სამსახურში მიღება (დანიშვნა) ხდება ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე და ამდენად, მისი გათავისუფლების კანონიერების შეფასება სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად უნდა განხორციელდეს. ამდენად, ამგვარი სტატუსის მატარებელი პირის მხოლოდ შრომის კოდექსის ნორმების საფუძველზე გათავისუფლება, დაუშვებელია.

ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფორმის სწორი კვალიფიკაციის საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ იგი წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სარჩელის სწორი ფორმის განსაზღვრისათვის, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სარჩელი დამოკიდებულია და განპირობებულია ადმინისტრაციული აქტის არსებობით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს. შესაბამისად, განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ ადმინისტრაციულ დავას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი - დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს - უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26-ე), კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ამდენად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნა მოცემული დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის შესახებ, შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც განსჯადობის მიხედვით საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1118-1074(გ-09) 11 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიებს შორის დავა დ. ყ-შვილის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ყ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე - მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების მიმართ და მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება - მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე, ადმინისტრაციის შენობაში ადვოკატთან შესახვედრი ოთახის გახსნის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.06.09წ. განჩინებით დ. ყ-შვილის სარჩელი მოპასუხე მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება და შესაბამისად არაა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადი, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან. მოსარჩელის მოთხოვნა პირდაპირ უკავშირდება სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობების გაუმჯობესებას, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განაჩენის დამდგენი სასამართლოს განსჯადია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 23.06.09წ. დადგენილებით, მსჯავრდებულ დ. ყ-შვილის სასარჩელო განცხადება განსჯადობის საკითხის განსახილველად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 08.07.09წ. დადგენილებით დ. ყ-შვილის სასარჩელო განცხადება განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს მსჯავრდებულის უზრუნველყოფას ამავე კოდექსით გათვალისწინებული საკითხების დროს და შესაბამისად, დ. ყ-შვილის სარჩელი უნდა დაექვემდებაროს ადმინისტრაციული წესით განხილვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.07.09წ. განჩინებით სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად საქმე გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შეწყვეტა ან შესრულება; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა; ასევე სხვა დავები, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ის არის არა ადმინისტრაციული, არამედ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განსჯადი საკითხი, ვინაიდან დ. ყ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა ეხება განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხს, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხ-

ლის მე-3 ნაწილით არის განაჩენის დამდგენი სასამართლოს განსჯადი. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საკითხი, რომლის გადაჭრასაც ითხოვს მოსარჩელე, ვერ მოწესრიგდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიასა და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ყ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაცვას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დავის შესაბამისი სამართალწარმოების წესებით განხილვა. სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის სწორად გადაწყვეტისათვის საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს თავად სადავო სამართალური თიერთობის ხასიათის განსაზღვრას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება იყოს ადმინისტრაციული დავის საგანი, იმავე მუხლის მე-3 ნაწილით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ასევე სხვა საქმეებიც, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლით დადგენილია გამონაკლისი შემთხვევები, რომლებზეც არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებები. მათ შორისაა ზემოაღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4 მუხლის "გ" ქვეპუნქტის დებულება იმის შესახებ, რომ "ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან" არ გამორიცხავს გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანოების მიერ მმართველობითი საქმიანობის განხორციელებას და ადასტურებს იმას, რომ მათ მიმართ არ ვრცელდება სხვა-ით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახეების და პროცედურების გამოყენება აღსრულების ორგანოების საქმიანობის, მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღების და რეალაქტის განხორციელების პროცედურის სპეციალური საკანონმდებლო აქტით ("პატიმრობის შესახებ", "არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ", "სააღსრულებო წარმოების შესახებ" კანონებით) მოწესრიგების გამო. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო სამართალური თიერთობა უკავშირდება სასჯელაღსრულებითი ორგანოს ადმინისტრირების სფეროს და არ აქვს კავშირი სასჯელაღსრულებითი ორგანოს იმ საქმიანობასთან, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონით წესრიგდება და შესაბამის სისხლის სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ემყარება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის და "პატიმრობის შესახებ" კანონის დებულებებს. დადგენილი რეჟიმის პირობებთან სასჯელის მოხდის არსებული პირობების შესაბამისი დაცვა აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება, ორგანიზაციული და ფუნქციონალური თვალსაზრისით შრომა-გასწორების დაწესებულება მოქმედებს როგორც ადმინისტრაციული ორგანო. სასჯელაღსრულების ორგანოს მიერ ადმინისტრირების პროცესში განხორციელებული საქმიანობა შესაბამის სამართლებრივ ფორმებში ხორციელდება და დავის შემთხვევაში სასამართლო კონტროლი, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხორციელდეს. ადმინისტრაციული კოლეგიის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო საკითხი - მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე, კერძოდ ადმინისტრაციის შენობაში ადვოკატთან შესახვედრი ოთახის გახსნის დაცვება, ვერ გადაწყდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, არ ცვლის დავის განსჯადობის საკითხს, სასკ-ის 28¹ მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შეუბოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით და შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

სადავო სამართალურ თიერთობის სისხლის სამართალწარმოების წესით განხილვას არ ადასტურებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის მითითება იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულს უფლება აქვს, მიმართოს განაჩენის დამდგენ სასამართლოს განცხადებით სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობების შეცვლის გადაწყვეტის შესახებ. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

606-ე მუხლის მე-3 ნაწილის ტექსტი ცხადად მინიშნებს, რომ ამ ნორმაში მოცემული მსჯავრდებულის უფლებები უკავშირდება მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტის სფეროს, მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხი - სცილდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგულირებად საკითხთა წრეს. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის სათაურის თანახმად, მუხლის შინაარსი ეხება მხოლოდ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე მსჯავრდებულის უფლებათა უზრუნველყოფის საკითხს, ამდენად, განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ პატიმრობის პირობების შეცვლასთან დაკავშირებული საკითხები, უკეთუ ისინი არ ეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოწესრიგებულ ურთიერთობათა სფეროს (მაგ. განაჩენის აღსრულების გადავადება, სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება, პირობით ვადამდე განთავისუფლება, სასჯელის ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა), ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს. ვინაიდან სადავო საკითხი უკავშირდება კანონიერ ძალაში მსულ, აღსასრულებლად უკვე მიქცეულ სასამართლოს განაჩენს, სადავო საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-2, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. დ. ყ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

ბს-859-821(გ-09) 16 ნოემბერი 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2008 წლის 12 დეკემბერს სარჩელით მიმართა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს მოპასუხის - გ. ა-ვას მიმართ, ჯარიმის, ზიანის ანაზღაურებისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2005 წლის 22 ივნისის #1735 ბრძანებით გ. ა-ვა გაწვეულ იქნა სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში და 2005 წლის 1 ივნისიდან დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. კონტრაქტის საფუძველზე, მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გ. ა-ვამ დაარღვია კონტრაქტის პირობები, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2006 წლის 26 იანვრის #114 ბრძანებით, 2005 წლის 6 დეკემბრიდან დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან. მოსარჩელემ მოითხოვა ჯარიმის - 16 092 ლარის დაკისრება და პირგასამტეხლო, ყოველდღიურად - 16 092 ლარის 2%, 2005 წლის 17 დეკემბრიდან ჯარიმის გადახდამდე. ასევე მოითხოვა ზიანის სახით მოპასუხის მომზადებაზე დახარჯული თანხის - 2964,19 ლარის გადახდა.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის განჩინებით ცალკე წარმოებად გამოიყო გ. ა-ვას მიერ კონტრაქტის დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და საქმე ამ ნაწილში განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულმა პალატამ აღნიშნა, რომ როგორც სასარჩელო მოთხოვნის, ისე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა შედგებოდა ორი ნაწილისაგან, პირველი - კონტრაქტის 7.3 და 7.4 პუნქტებიდან გამომდინარე, კონტრაქტის დარღვევის გამო ჯარიმისა და პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან, ხოლო მეორე - კონტრაქტის დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურებისაგან, რაც სამინისტრომ გაიღო გ. ა-ვას მომზადებაზე და რომლის ხელახლა გაღება მოუწევს მის სანაცვლოდ ახალი სამხედრო მოსამსახურის გაწვრთნისათვის. აღნიშნულ მოთხოვნას აპელანტი ამყარებდა სამოქალაქო კოდექსის 394.1, 407-ე და 414-ე მუხლებზე.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო განცხადებისა და სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ნაწილი - კონტრაქტის დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავის საგანს, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით ასევე განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავებს მითითებული ნორმა ადმინისტრაციული წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას მიაკუთვნებს. მოცემულ შემთხვევაში კი სადავაო არა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე, არამედ ფიზიკური პირის ვალდებულება - ანაზღაუროს კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტით მიყენებული ზიანი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ივნისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. პალატამ განმარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ამავე მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. მის მიერ გ. ა-ვასთან დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა, რადგან ემსახურება სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო მოსახურის გავლის თვალსაზრისით საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 209-ე მუხლები აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა პირისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხებს, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების წესი ამავე კოდექსით არაა გათვალისწინებული და იგი სამოქალაქო კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს. სწორედ ამიტომ არის აღნიშნული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. ხელშეკრულების პირობების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 405-ე და 415-ე მუხლებით. ამასთან სამოქალაქო კოდექსის ნორმებით ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა არ გულისხმობს, რომ მოცემული დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველია, ვინაიდან ზიანის საფუძვლად მითითებულია ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლის მე-8 მუხლი განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების წესებს.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტა პირდაპირ და უშუალო კავშირშია ამ ხელშეკრულების დარღვევის გამო ამავე ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ზიანის ანაზღაურებასთან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით მოწესრიგებული სამართალურთიერთობიდან.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ განსახილველ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო მოსამსახურეს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ. ა-ვას შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ფიზიკურ პირთან დადებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. ამდენად, იგი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განიხილება დავა, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. ამავე მუხლის მე-2 მუხლის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შეწყვეტა ან შესრულება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მოპასუხე ფიზიკურ პირს შორის "თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო მოსახურის გავლის შესახებ" ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება. ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაციული ორგანოს - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიზანს უდავოდ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება - სახელმწიფოსათვის სამხედრო მოსამსახურეთა კორპუსით უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დავა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებიდან და სასარჩელო მოთხოვნა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებითვე განსაზღვრული ზიანის ანაზღაურებაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის გამო გ. ა-ვას მიმართ, მისთვის ზიანის ანაზღაურების დავის რების ნაწილში, წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე

მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის გამო მოპასუხე გ. ა-ვას მიმართ ზიანის ანაზღაურების ნაწილში, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1205-1150(გ-09) 19 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

ნ. ქადაგიძე

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 3 ივნისს უ. ქ-ვამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას დავალებოდა, სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლის თანახმადაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მიმართავდა სასამართლოს შუამდგომლობით უ. ქ-ვას მიმართ სასჯელის გადავადების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 ივნისის განჩინებით, უ. ქ-ვას სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა განსჯად სასამართლოს - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება ჰქონდა, მიემართა განაჩენის დამდგენ სასამართლოსთვის განცხადებით განაჩენის აღსრულების გადავადებისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტის თაობაზე. მოსარჩელემ კი მოითხოვა რეაგირება ავადმყოფობასთან დაკავშირებით განაჩენის აღსრულების გადავადების შესახებ, რაც უნდა განხილულიყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განსჯადი სასამართლოს მიერ.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ იმ გარემოებაზეც მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 607-ე მუხლის თანახმად, თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის აღსრულება სასამართლოს შეიძლება გადაევადებინა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგენილებით (განჩინებით); გადავადების ერთ-ერთი საფუძველი იყო - მსჯავრდებულის დაავადება მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლიდა სასჯელის მოხდას მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე. ამდენად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ მოპასუხედ დასახელებული სახელმწიფო ორგანოს შუამდგომლობის აუცილებლობა განაჩენის აღსრულების გადავადებისათვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ იყო და რომც ყოფილიყო, ეს შუამდგომლობა უშუა-

ლოდ იქნებოდა დაკავშირებული სასამართლოს განაჩენის აღსრულებასთან და იგი ვერ მიიჩნეოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 ივლისის დადგენილებით, საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, მიუხედავად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებისა მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დავალდებულება, გამოეცა სამართლებრივი აქტი, რომლის თანახმადაც, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს უნდა მიემართა სასამართლოსათვის შუამდგომლობით უ. ქ-ვას მიმართ სასჯელის გადავადების თაობაზე, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს და მისი განხილვა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განსჯადი სასამართლოს მიერ უნდა მომხდარიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 აგვისტოს დადგენილებით, უ. ქ-ვას საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული კოლეგიის განსჯად საქმეებს განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე ქმედების განხორციელების ვალდებულების დაკისრების თაობაზე განსახილველი საქმეები. ამასთან, წარმოდგენილი სარჩელი არ შეეხებოდა განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით მოქმედების ვალდებულების დაკისრებას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მესამე ნაწილთან დაკავშირებით მიუთითა, რომ იგი არ აწესრიგებდა კონკრეტულ შემთხვევაში არსებულ ვითარებას, რადგან მსჯავრდებულს არ მიუმართავს განაჩენის დამდგენი ორგანოსათვის სასჯელის გადავადების თხოვნით. სასამართლოს განმარტებით, ასევე არ არსებობდა ამავე კოდექსის 607-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, ვინაიდან არ არსებობდა შუამდგომლობა სასჯელის გადავადებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 აგვისტოს განჩინებით უ. ქ-ვას სარჩელთან დაკავშირებით აღძრული საქმე, სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და იმავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე ამ ეტაპზე უნდა გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განიხილება დავა, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა საჯარო სამართლის კანონმდებლობის ნაწილია, კონკრეტულად კი მმართველობით სფეროში წარმოშობილ სამართალურთიერთობებს აწესრიგებს. სწორედ მმართველობითი ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობაში წარმოშობილი კომფლიქტები წარმოადგენს ადმინისტრაციულ დავებს და მათი განხილვის კომპეტენცია მხოლოდ ადმინისტრაციულ სასამართლოს გააჩნია.

დავის განსჯადობის განსაზღვრის ძირითადი პრინციპია, გაირკვეს, სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს თუ არა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განისაზღვრება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმეები. ესენია: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა; აგრეთვე სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ უ. ქ-ვამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას სამართლებრივი აქტის გამოცემა დავალებოდა, რომლის თანახმადაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მიმართავდა სასამართლოს შუამდგომლობით უ. ქ-ვას მიმართ სასჯელის გადავადების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაზე უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს, მიმართოს განაჩენის დამდგენ სასამართლოს განცხადებით განაჩენის აღსრულების გადავადებისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტის შესახებ, რის გამოც ხსენებული საქმე სისხლის სამართლის წესით განსახილველ საქმეს წარმოადგენდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული მუხლი არ აწესრიგებს განსახილველ დავას, რადგან მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულს არ მიუმართავს განაჩენის დამდგენი სასამართლოსათვის სასჯელის გადავადების თხოვნით. მოცემულ შემთხვევაში ასევე არ არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 607-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, ვინაიდან არ არსებობს შუამდგომლობა სასჯელის გადავადებაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისათვის სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებულება, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსახილველ დავას წარმოადგენს, ვინაიდან იგი გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანს ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო დამატებით იმ გარემოებაზეც მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მოცემული საქმის განხილვისას უნდა იმსჯელოს ხსენებული სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობაზე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე უ. ქ-ვას სარჩელის გამო მოპასუხე საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობის შესამოწმებლად განსჯადობით უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე უ. ქ-ვას სარჩელის გამო მოპასუხე საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ, სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობის შესამოწმებლად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1202-1147(გ-09) 2 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიებს შორის დავა დ. ყ-შვილის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ყ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე - მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების მიმართ და მოითხოვა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებას დაერთო ტელევიზორის შეტანის ნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.05.09წ. განჩინებით დ. ყ-შვილის სარჩელი მოპასუხე მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება და შესაბამისად არაა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადი, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან. მოსარჩელის მოთხოვნა პირდაპირ უკავშირდება სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობების გაუმჯობესებას, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განაჩენის დამდგენი სასამართლოს განსჯადია. ამასთან, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის 23.04.09წ. # 10/31/4-1252 წერილი უშუალოდ უკავშირდება განაჩენის აღსრულებას, შესაბამისად, არ იქნება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რადგან მასზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებები, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, არ ვრცელდება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 20.07.09წ. დადგენილებით მოსარჩელის განცხადება განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. სასამართლოს მოსაზრებით, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის # 10/31/4-1252 წერილი წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 24.07.09წ. დადგენილებით დ. ყ-შვილის სასარჩელო განცხადება განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს მსჯავრდებულის უზრუნველყოფას ამავე კოდექსით გათვალისწინებული საკითხების დროს და შესაბამისად, დ. ყ-შვილის სარჩელი უნდა დაექვემდებაროს ადმინისტრაციული წესით განხილვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 03.08.09წ. განჩინებით სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად საქმე გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შეწყვეტა ან შესრულება; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა; ასევე სხვა დავები, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დავა არის არა ადმინისტრაციული, არამედ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განსჯადი, ვინაიდან დ. ყ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა ეხება განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხს, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილით არის განაჩენის დამდგენი სასამართლოს განსჯადი. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საკითხი, რომლის გადაჭრასაც ითხოვს მოსარჩელე ვერ მოწესრიგდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით. სასამართლომ მიუთითა, რომ მსჯავდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორის # 10/31/4-1252 წერილი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რადგან საკითხი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ იმ გამონაკლისთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა მიმართაც არ ვრცელდება ამ კოდექსის მოქმედება, ვინაიდან დაკავშირებულია განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხთან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიასა და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ყ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაცვას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დავის შესაბამისი სამართალწარმოების წესებით განხილვა. სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის სწორად გადაწყვეტისათვის საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს თავად სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის განსაზღვრას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება იყოს ადმინისტრაციული დავის საგანი. იმავე მუხლის მე-3 ნაწილით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ასევე სხვა საქმეებიც, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლით დადგენილია გამონაკლისი შემთხვევები, რომლებზეც არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებები. მათ შორისაა ზემოაღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის დებულება იმის შესახებ, რომ "ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილების აღსრულებასთან" არ გამორიცხავს გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანოების მიერ მმართველობითი საქმიანობის განხორციელებას და ადასტურებს იმას, რომ მათ მიმართ არ ვრცელდება სზაკ-ით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახეების და პროცედურების გამოყენება აღსრულების ორგანოების საქმიანობის, მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღების და რეალაქტის განხორციელების პროცედურის სპეციალური საკანონმდებლო აქტით ("პატიმრობის შესახებ", "არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ", "სააღსრულებო წარმოების შესახებ" კანონებით) მოწესრიგების გამო. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება სასჯელაღსრულებითი ორგანოს ადმინისტრირების სფეროს და არ აქვს კავშირი სასჯელაღსრულებითი ორგანოს იმ საქმიანობასთან, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან "ოპერატიულ-სამმებრო საქმიანობის შესახებ" კანონით წესრიგდება და შესაბამის სისხლის სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნას - პირადი ან სახელმწიფო ხარჯებით ტელევიზორის გადმოცემის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ, ემყარება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის და "პატიმრობის შესახებ" კანონის დებულებებს. სასარჩელო მოთხოვნა ემყარება მოსარჩელის 14.04.09წ. განცხადებაზე მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებების 23.04.09წ. #10/31/4-1252 წერილზე, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა განცხადებაში დასმული საკითხის დაკმაყოფილებაზე, ადმინისტრაციულ საჩივარზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნა ეხება არა სასჯელის სახის შეცვლას, რაც "არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" კანონის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს აქტის საფუძველზე წყდება, არამედ დადგენილ რეჟიმთან სასჯელის მოხდის პირობების, კერძოდ ტელე-

ხედვის საშუალებით სარგებლობის უფლების უზრუნველყოფის საკითხს. "პატიმრების შესახებ" კანონის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს სასჯელადსრულების დაწესებულებაში რადიოსა და ტელევიზიის ტრანსლაციას, რაც უკავშირდება მსჯავრდებულისათვის რეჟიმით გათვალისწინებულ შეზღუდვებს, დაწესებულების შინაგანაწესს. დადგენილი რეჟიმის პირობებთან სასჯელის მოხდის არსებული პირობების შესაბამისობის დაცვა აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება, ორგანიზაციული და ფუნქციონალური თვალსაზრისით შრომა-გასწორების დაწესებულება მოქმედებს როგორც ადმინისტრაციული ორგანო. სასჯელადსრულების ორგანოს მიერ ადმინისტრირების პროცესში განხორციელებული საქმიანობა შესაბამის სამართლებრივ ფორმებში ხორციელდება და დავის შემთხვევაში სასამართლო კონტროლი, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხორციელდეს.

სადავო სამართალური თეორიის სისხლის სამართალწარმოების წესით განხილვას არ ადასტურებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის მითითება იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულს უფლება აქვს, მიმართოს განაჩენის დამდგენ სასამართლოს განცხადებით სასჯელადსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობების შეცვლის გადაწყვეტის შესახებ. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 606-ე მუხლის მე-3 ნაწილის ტექსტი ცხადად მიანიშნებს, რომ ამ ნორმაში მოცემული მსჯავრდებულის უფლებები უკავშირდება მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტის სფეროს, მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხი - ტელევიზორის შემოტანის ნებართვის გაცემა - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგულირებად საკითხთა წრეს. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ 606-ე მუხლის სათაურის თანახმად, მუხლის შინაარსი ეხება მხოლოდ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე მსჯავრდებულის უფლებათა უზრუნველყოფის საკითხს, ამდენად, განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ პატიმრობის პირობების შეცვლასთან დაკავშირებული საკითხები, რადგან ისინი არ ეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოწესრიგებულ ურთიერთობათა სფეროს (მაგ., განაჩენის აღსრულების გადავადება, სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება, პირობით ვადამდე განთავისუფლება, სასჯელის ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა), ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს. ვინაიდან სადავო საკითხი უკავშირდება კანონიერ ძალაში შესულ, აღსასრულებლად უკვე მიქცეულ სასამართლოს განაჩენს, სადავო საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-2, 26-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. დ. ყ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1442-1377(გ-09) 2 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიებს შორის დავა რ. ა-ოვის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ა-ოვმა 08.09.2008წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას მოპასუხე - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის მიმართ და მოითხოვა კომისიის მიერ მოსარჩელისთვის ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება და მისთვის პირობით ვადამდე გათავისუფლების დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 22.09.2009წ. დადგენილებით რ. ა-ოვის განცხადება მოპასუხე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე განსჯადობით განსახილველად გადაუზღავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 610-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო მსჯავრდებულს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე ათავისუფლებს და სასჯელის მოუხდელ ნაწილს უფრო მსუბუქი სასჯელით უცვლის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის წარდგინებით. შესაბამისად, სასამართლო ვერ იმსჯელებს მოსარჩელის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ საკითხზე. კომისიის გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ, იგი განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ვინაიდან მოთხოვნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას ეხება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.09.2009წ. განჩინებით სასამართლოებს შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად საქმე გადმოეზღავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

"რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 14.11.1997წ. #649 ბრძანებულებაში 12.04.2005წ. ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებებით, ლიკვიდირებული იქნა თბილისის რაიონული სასამართლო და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო, სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიებით - ადმინისტრაციული, სისხლის, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიები. "საერთო სასამართლოთა შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 3.2 მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სზაკ-ის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური აქტი, რომელიც ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც სადავო აქტი უკავშირდება სასამართლოს მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს, განმცხადებლის მოთხოვნა პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ დავას, შესაბამისად, მას ვერ განიხილავს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია. სზაკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, კოდექსის დებულებები არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან. დავის საგანი არ არის მოცემული სსკ-ის მე-2 მუხლით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა განხილული უნდა იქნეს არა ადმინისტრაციული, არამედ სისხლის სამართალწარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიასა და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ა-ოვის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობის ფორმირების, როტაციის, კომპეტენციის ფარგლები განისაზღვრება "პატიმრობის შესახებ" კანონის (67¹-68 მუხ.), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (610-ე მუხ.), საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 17.09.09წ. #585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების (1-ლი, მე-4 მუხ.) თანახმად, სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია უფლებამოსილია წარდგინებით მიმართოს სასამართლოს მსჯავრდებულის სასჯელის მოხ-

დისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის, თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე, კომისია იხილავს ასევე მსჯავრდებულის ან მისი დამცველის, კანონიერი წარმომადგენლის საჩივრებს სასჯელადსრულების დაწესებულების ხანმოკლე გასვლის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუდმივმოქმედი კომისიის წარდგინება, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, (სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე, 73-ე, 98-ე მუხ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 610-ე მუხ.), სისხლის სამართალწარმოების წესით იხილება. რაც შეეხება თვით მუდმივ მოქმედი კომისიის მიერ წარდგინებით მიმართვას, აგრეთვე ხანმოკლე გასვლის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კომისიის მიერ საჩივრის განხილვას, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული ადმინისტრირების სფეროს განეკუთვნება. თავისი არსით, საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია კოლევტიურ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს (სზაკ-ის VII თავი), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს ასრულებს და მიზნად ისახავს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაკ-ის 3.4 მუხლის "გ" ქვეპუნქტის დებულება იმის შესახებ, რომ "ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან" არ გამორიცხავს გადაწყვეტილების აღმასრულებელი ორგანოების მიერ მმართველობითი საქმიანობის განხორციელებას და ადასტურებს იმას, რომ მათ მიმართ არ ვრცელდება სზაკ-ით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების სახეების და პროცედურების გამოყენება აღსრულების ორგანოების საქმიანობას, მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღების და რეალაქტის განხორციელების პროცედურის სპეციალური საკანონმდებლო აქტით ("პატიმრობის შესახებ" კანონით) მოწესრიგების გამო. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება სასჯელადსრულებითი ორგანოს ადმინისტრირების სფეროს, შესაბამისი სამართლებრივი საშუალების - წარდგინებით სასამართლოსადმი მიმართვის ან - მიმართვაზე უარის თქმის, საჩივარზე გადაწყვეტილების მიღების გამოყენებით. ის გარემოება, რომ მუდმივმოქმედი კომისიის წარდგინება სისხლისსამართალწარმოების წესით იხილება, არ გამორიცხავს კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის სასარჩელო წარმოება, საქმეში დაცულია განცხადება, რომლის მოთხოვნა არ არის ნათლად გამოკვეთილ, საქმის მასალებში არ მოიპოვება მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილება რ. ა-ოვის შუამდგომლობის მიმართ, ამდენად საქმეზე საჭიროა შესაბამისი პროცესუალური ზომების მიღება. საკასაციო პალატა აღნიშნავს აგრეთვე, რომ სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წვეტს საკასაციო სასამართლო. ამდენად, სასამართლოებს შორის დაიშვება დავა განსჯადობის და არა უწყებრივი ქვემდებარეობის შესახებ, საკასაციო პალატა თავისმხრივ უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ განსჯადობის და არა უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხზე, უკანასკნელი წინ უსწრებს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას. ამასთან, სსკ-ის 404.3 მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებრივად, ვინაიდან უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხს სასამართლო თავისი ინიციატივით ამოწმებს, დავის არსებითად განხილვამდე სასამართლომ უნდა იქონიოს მსჯელობა სარჩელის უწყებრივი ქვემდებარეობის, მისი დასაშვებობის საკითხზე. "პატიმრობის შესახებ" კანონის 68-ე მუხლის, მუდმივმოქმედი კომისიის დებულების მე-9 მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხზე წარდგინებით მიმართვის შუამდგომლობის განხილვისას, კომისია მხედველობაში იღებს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის ვადას, დანაშაულის სიმძიმეს, მსჯავრდებულის ქცევას, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ პირობებს, სასჯელის მიზნის მიღწევას და სხვა გარემოებებს, ამდენად, კომისიის საქმიანობა ხორციელდება ფართო დისკრეციის პირობებში, წარდგინებით სასამართლოსადმი მიმართვა არის მისი ექსკლიუზიური უფლება. წარდგინებით მიმართვა ხდება იმ პირზე, რომლის მიმართაც არსებობს სასამართლოს მიერ დადგენილი, კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი. ამდენად, სასამართლომ უნდა იმსჯელოს იმის შესახებ, თუ რამდენად საკმარისადაა განსაზღვრული კომისიის მიერ წარდგინების ან წარდგინებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების წინაპირობები, მატერიალურ-სამართლებრივი დებულებები, რამდენადაა შესაძლებელი კომისიის მიხედულების რეალური შემოწმება, უფლების არსებობაზე, სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციური უფლების წარდგინებასთან დაკავშირებით კომისიის პოზიტიურ ან ნეგატიურ გადაწყვეტილებაზე გავრცელებული

ბის, მისი სასამართლო წესით გადასინჯვის შესაძლებლობაზე, საერთოდ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქით შეცვლის მსჯავრდებულის უფლების არსებობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მსჯავრდებულ რ. ა-ოვის განცხადება განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. საერთო განსჯადობა

განჩინება

#ბს-857-819(გ-09) 7 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წეკელაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სიღნაღის რაიონულ სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 4 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სიღნაღის რაიონულ სასამართლოში თ. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ჯარიმის - 16914,48 ლარის, პირგასამტეხლოს - 2006 წლის 9 ივნისიდან ყოველთვიურად 16914,48 ლარის 0,2%-ის გადახდა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 6 მაისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონული სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს უწყებრივ და საგნობრივ განსჯადობას და არ შეიცავს საერთო (ტერიტორიული) განსჯადობის მარეგულირებელ ნორმებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21.1 მუხლის შესაბამისად, თუ არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა, რაც ფორმდება წერილობით. განსჯადობის შესახებ შეთანხმება უნდა ჩამოყალიბდეს თვით მხარეთა შორის დადებულ წერილობით გარიგებაში, ან სპეციალურად წერილობით დადებულ განსჯადობის შესახებ შეთანხმებაში. სარჩელზე დართული "თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ" ხელშეკრულების 8.4 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების 8.3 მუხლში აღნიშნულ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, განსჯად სასამართლოდ ჩაითვლება სამინისტროს ადგილსამყოფელი რაიონული სასამართლო ან მისი უფლებამონაცვლე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიულ მისამართად სარჩელში მითითებულია ქ. თბილისი, ... ქ. #20.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის განჩინებით საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის განსჯადობის გადასაწყვეტად განსახილველად გადმოეგზავნა საკასაციო სასამართლოს, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სსკ-ის მე-15 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხე თ. მ-შვილი ცხოვრობს სიღნაღის რაიონის სოფ. . . . , შესაბამისად, სარჩელი სიღნაღის რაიონული სასამართლოს განსჯადია.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების 8.4 პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამხედრო მოსამსახურის მიერ სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავას განიხილავს სამინისტროს ადგილსამყოფელი რაიონული სასამართლო ან მისი უფლებამონაცვლე, აღნიშნული დათქმა არ შეიძლება გახდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მოცემული საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საფუძველი, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მესამე თავით დადგენილ განსჯადობის ზოგად დებულებებს. ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს სსკ-ის 21-ე მუხლის გამოყენების საპროცესო საფუძველები, ვინაიდან იგი ითვალისწინებს მხარეთა შეთანხმების გზით განსჯადი სასამართლოს დადგენის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო. მოცემულ შემთხვევაში, სსკ-ის მე-15 მუხლით დადგენილი საერთო განსჯადობის პრინციპიდან გამომდინარე, არ არსებობს საპროცესო საფუძველი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელის განხილვა-გადაწყვეტისათვის.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით არ წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე სიღნაღის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განსახილველად უნდა გადაეცეს სიღნაღის რაიონულ სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე სიღნაღის რაიონული სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სიღნაღის რაიონული სასამართლოს დასკვნას დავის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რითაც დაირღვა სსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს - უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახავს პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26/, კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

დავის ტერიტორიული განსჯადობა მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლით, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის წარდგენას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლის ნეგატიური დათქმის პრინციპის შესაბამისად, ასევე გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით წარდგენილი სარჩელის მიმართაც.

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ ხელშეკრულებით დავის შემთხვევაში სასამართლოს განსაზღვრის უფლებამოსილება მხარეებს მინიჭებული აქვთ მხოლოდ კერძო სასამართლებრივ ურთიერთობებში, კერძო სამართლის ძირითადი პრინციპის - ნების ავტონომიიდან გამომდინარე.

პირთა შორის სამოქალაქო ურთიერთობებს აწესრიგებს სამოქალაქო სამართალი, რომლის ნორმატიულ სულისკვეთებას განაპირობებს პრინციპი: "რაც აკრძალული არ არის, დასაშვებია". სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში სამოქალაქო კოდექსი არათუ არ კრძალავს, არამედ, პირდაპირ ადგენს კონტრაქტის უფლებას, განსაზღვრონ დავის განხილვაზე იურისდიქციული სასამართლო, კერძოდ, კერძო არბიტრაჟი. მხარეთა ამგვარი შეთანხმება ბოჭავს საერთო სასამართლოს იურისდიქციას და სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" პუნქტის მიხედვით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის პროცესუალური საფუძველია. მიუხედავად ამ უფლებისა, მხარეებს არა აქვთ უფლებამოსილება, საერთო სასამართლოში განსაზღვრონ ტერიტორიულად განსჯადი სასამართლო.

მოცემულ შემთხვევაში, არსებობს არა კერძოსამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობით მოწესრიგებულ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალი, განსხვავებით სამოქალაქო სამართლისაგან, ამკვიდრებს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას უფლებამოსილების ფარგლებში, ანუ განსხვავებით კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისაგან, სადაც მოქმედებს ნების ავტონომიის პრინციპი, ადმინისტრაციული ორგანო მოქმედი კანონმდებლობით შეზღუდულია ნების გამოხატვის თვალსაზრისით, კერძოდ, მისი გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გამომდინარეობდეს მისთვის კანონით პირდაპირ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება; ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული კანონმდებლობით დეტალურად არის მოცემული მხარეთა ნების ფარგლები და ის შემთხვევებიც, როცა ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში (და ამ ფარგლებში არჩევანის თავისუფლების გამოყენების წესიც).

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით განმარტებული ადამიანის ძირითადი უფლება სამართლიან სასამართლოზე, სხვა საპროცესო ძირითად უფლებებთან ერთად, სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ პრინციპის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუცია ამ ძირითად უფლებას უზრუნველყოფს 42.2 მუხლით, რომლის მიხედვით, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლოში, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. ეს უფლება წარმოადგენს გარანტიას, რომლის საფუძველზეც აცილებულ უნდა იქნეს პირის სასამართლო გზით დაცვაზე სხვადასხვა საშუალებებით ზეგავლენისა და სასამართლო პროცესის მანიპულირების საფრთხე. დაუშვებელია სასამართლოთა განსჯადობისა და შემადგენლობის ისეთი წესის განსაზღვრა, რომლის მიზანი იქნება კონკრეტულად სასამართლო საქმეთა ამორჩევა, განსაზღვრულ სასამართლოში წარმართვა და სხვ. ეს ძირითადი უფლება სახელმწიფოსაგან მოითხოვს სასამართლო განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას. აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა, სასამართლოთა საგნობრივი, ტერიტორიული და ინსტანციური იურისდიქცია განსაზღვრულია საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონით "საერთო სასამართლოების შესახებ" და საპროცესო კოდექსებით. სამართლიან სასამართლოზე ადამიანის ძირითადი უფლება მოქალაქეებს იცავს მოსამართლეთა ან სასამართლოთა სუბიექტური განსაზღვრისაგან.

საჯარო სამართალში წარმოუდგენელია კანონით დადგენილი დანაწესის მხარეთა ნების საფუძველზე შეცვლა, რის გამოც სრულიად კანონსაწინააღმდეგოა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში საპროცესო კოდექსის დანაწესის შეცვლა, მათ შორის იურისდიქციული სასამართლოს განსაზღვრა.

ცხადია, რომ ხელშეკრულების ეს დათქმა ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესს წარმოადგენს, ვინაიდან მისთვის ტექნიკურად მიზანშეწონილია მისი ადგილსამყოფელის მიხედვით (ტერიტორიული პრინციპით) სასამართლოში საქმის წარმოება, მაგრამ ასეთ ვითარებაში ყველა ადმინისტრაციული ორგანო იმყოფება, რაც სრულ ქაოსს შექმნის სასამართლო სისტემაში და საპროცესო კოდექსით დადგენილი განსჯადობის წესების იგნორირებას გამოიწვევს.

საერთო სასამართლოში განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მხოლოდ საკანონმდებლო აქტით დაიშვება. შესაბამისად, მხოლოდ წარმომადგენლობით ორგანოს გააჩნია მისი განსაზღვრის კომპეტენცია და ადმინისტრაციულ ორგანოს ამგვარი შეთანხმება მხოლოდ ხელშეკრულების დანაწილების პრინციპის უგულვებელყოფად შეიძლება შეფასდეს.

აღნიშნულ შემთხვევაში, არსებობს ძირითად უფლებაში (დაცულ სფეროში) ჩარევა. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სწორედ "მძიმე ჩარევად" არის შეფასე-

ბული საქმის განხილვა სასამართლოთა ტერიტორიული ან ინსტანციური იურისდიქციის დარღვევით.

საქართველოს კონსტიტუციით აღნიშნული უფლება უზრუნველყოფილია ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, ე.ი. აბსოლუტური სახით არის გარანტირებული, რომ ჩარევა ამ ძირითად უფლებით დაცულ სფეროში, ასევე არ შეიძლება გამართლებულ იქნეს სხვა სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამგვარი შეთანხმება მისი კანონსაწინააღმდეგო ხასიათის გამო სათანადოდ უნდა იქნეს შეფასებული საერთო სასამართლოების მიერ, რათა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციას დაბრკოლება არ შეექმნას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნას დავის განსჯადობის თაობაზე და მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ხელშეკრულების 8.4 მუხლის შესაბამისად მხარეთა შორის შეთანხმებით მოხდა საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებული განსჯადი სასამართლოს დადგენა და განისაზღვრა განსჯადი სასამართლო - სამინისტროს ადგილსამყოფლის მიხედვით ("მიუხედავად სამხედრო მოსამსახურის საცხოვრებელი ადგილისა"), რაც არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, რადგან არ არსებობდა მხარეთა შეთანხმებით განსჯადი სასამართლოს დადგენის პროცესუალური წინაპირობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა სსსკ-ის 21-ე მუხლის გამოყენების პროცესუალური წინაპირობა, რომელიც მხარეებს ანიჭებს უფლებამოსილებას შეთანხმების გზით დაადგინონ განსჯადი სასამართლო, მაგრამ საპროცესო კანონმდებლობა ამგვარი შეთანხმების შესაძლებლობას უშვებს იმ შემთხვევაში, თუ არ არის განსაზღვრული ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო. საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლი კი განსაზღვრავს რა სარჩელის საერთო განსჯადობას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილს წარმოადგენს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სიღნაღის რაიონული სასამართლო, რადგან საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხე თ. მ-შვილის საცხოვრებელი ადგილია სიღნაღის რაიონი.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ვალდებულებს, საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 "ა" მუხლის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან საქმის განსჯადობას ამოწმებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშე, თავისი ინიციატივით, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად შეამოწმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

ამდენად, არასწორია სიღნაღის რაიონული სასამართლოს დასკვნა მოცემული დავის განსჯადობის შესახებ, კანონით განსაზღვრულ საერთო განსჯადობის მიხედვით მოცემული ადმინისტრაციული სარჩელი სიღნაღის რაიონული სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 26.3 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს სიღნაღის რაიონული სასამართლოს;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საერთო განსჯადობა

განჩინება

#ბს-1444-1378(გ-09) 25 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თელავისა და სიღნაღის რაიონულ სასამართლოებს შორის დავა რ. გ-შვილის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 24 ივლისს რ. გ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე - სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიმართ, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2008 წლის 24 დეკემბრის #464/ო ბრძანების ბათილად ცნობასა და ამავე სამმართველოს 2005 წლის 12 ივნისის #82 ოქმის საფუძველზე დადებული #1245 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულების არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად აღიარებას.

თელავის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 სექტემბრის საოქმო განჩინებით, რ. გ-შვილის სარჩელი მოპასუხე სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამმართველოს მიმართ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისა და საიჯარო ხელშეკრულების არარა აქტად აღიარების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს იმ საფუძველით, რომ მოსარჩელის პირველად მოთხოვნას წარმოადგენდა სიღნაღის რაიონის გამეგობასა და ავთანდილ ბენაშვილს შორის 2005 წლის 12 ივნისის #82 ოქმის საფუძველზე დადებული #1245 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულების არარა ადმინისტრაციულ აქტად აღიარება, რომელიც გაფორმდა სიღნაღის რაიონში.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით რ. გ-შვილის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თელავისა და სიღნაღის რაიონულ სასამართლოებს შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ რ. გ-შვილის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თელავის რაიონულ სასამართლოს, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი ზოგადად უშვებს სასამართლოებს შორის დავას, რაც ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სამოქალაქო სასამართლოებისაგან განსხვავებით, დაიშვება არა მხოლოდ საგნობრივ განსჯადობასთან დაკავშირებული დავა, არამედ აგრეთვე ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებული დავა.

მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს ზემოაღნიშნულ სასამართლოებს შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე წარმოშობილ დავას და თავის მხრივ განმარტავს შემდეგს: ადმინისტრაციული სამართალწარმოება ცალკე დამოუკიდებლად არ შეიცავს და აწესრიგებს ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების ტერიტორიულ განსჯადობას. რაც საკასაციო სასამართლოს, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე აძლევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების გამოყენების შესაძლებლობას.

ტერიტორიული განსჯადობა წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 - 24-ე მუხლებით.

ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. აღნიშნული წარმოადგენს საერთო პრინციპს და ასახულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლში, რომლის შესაბამისადაც, სასამართლოს სარჩელი

წარედგინება მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში რ. გ-შვილმა მოპასუხედ მიუთითა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამმართველო, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თელავი.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დაუშვებელია სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის შეცვლა მარტოდენ იმ გარემოებებზე დაყრდნობით, თუ რომელი მოთხოვნა უფრო აქტუალურად მიაჩნია მოსარჩელეს და მით უფრო, მოსარჩელის თანხმობის გარეშე სასარჩელო მოთხოვნაზე მოპასუხის განსაზღვრა და აღნიშნულის შედეგად ტერიტორიული განსჯადობის შეცვლა. საკასაციო სასამართლოს მითითებით, იმ პირობებში, თუ თელავის რაიონული სასამართლო მიიჩნევდა, რომ სარჩელის აღძრული იყო არა იმ პირის მიმართ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე. ამ უკანასკნელს მხოლოდ მოსარჩელის თანხმობით არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლის შემთხვევაში შეეძლო საქმე განსჯადობით გადაეგზავნა უფლებამოსილი სასამართლოსათვის

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ მითითებულია მხოლოდ ერთი მოპასუხე - სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამმართველო, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თელავი, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ რ. გ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თელავის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. რ. გ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თელავის რაიონულ სასამართლოს;
2. განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს;
3. განჩინება განსჯადობის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

საერთო განსჯადობა

განჩინება

#ბს-1477-1410(გ-09) 17 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

ნ. ქადაგიძე

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 20 ივლისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის - კ. ბ-შვილის მიმართ.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში აღნიშნა, რომ მოპასუხემ კ. ბ-შვილმა 2005 წლის 1 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გააფორმა კონტრაქტი და კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად დაინიშნა სამხედრო-საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 4 სექტემბრის #1973 ბრძანებით კ. ბ-შვილი 2006 წლის 8 აგვისტოდან დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მის სასარგებლოდ კ. ბ-შვილისგან ჯარიმის - 17514,36 ლარის, ზიანის საკომპენსაციო თანხის - 5872,44 ლარისა და პირგასამტეხლოს - 17514,36 ლარის 0,2%-ის ოდენობით 2006 წლის 15 სექტემბრიდან ყოველდღიურად გადახდის დაკისრება მოითხოვა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელით აღძრული ადმინისტრაციული საქმე გადაეგზავნა განსჯად სასამართლოს - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი არ იყო ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის შესაბამისად, მხარეებს შეეძლოთ შეთანხმების გზით დაედგინათ სასამართლოს განსჯადობა, რის შესახებაც შეთანხმება ფორმდებოდა წერილობით.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელზე თანდართული "თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ" ხელშეკრულების 8.4 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების 8.3 მუხლში აღნიშნულ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურის საცხოვრებელი ადგილის მიუხედედად, განსჯად სასამართლოდ ითვლებოდა სამინისტროს ადგილსამყოფელი რაიონული სასამართლო ან მისი უფლებამონაცვლე. ამდენად, სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიულ მისამართად სარჩელში მითითებული იყო ქ. თბილისი, ... ქ. #20, სარჩელი წარდგენილი იქნა არაგანსჯადად სასამართლოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე კ. ბ-შვილის მიმართ ჯარიმის, ზიანისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების შესახებ, განსჯადობის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ შეიძლებოდა ყოფილიყო განხილული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ, ვინაიდან, კონკრეტულ შემთხვევაში, არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის გამოყენების საპროცესო საფუძვლები, რადგან იგი ითვალისწინებდა მხარეთა შეთანხმების გზით განსჯადი სასამართლოს დადგენის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ არ იყო დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი საერთო განსჯადობის პრინციპიდან გამომდინარე არ არსებობდა საპროცესო საფუძველი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელის განხილვა-გადაწყვეტისთვის. ამდენად, საქალაქო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გააგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და სიღნაღის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სიღნაღის რაიონული სასამართლო, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აღნიშნული მუხლის საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს და ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას, იმის თაობაზე, რომ ვინაიდან სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულების 8.4 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამხედრო სამსახურის მიერ სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე დავას განიხილავდა სამინისტროს ადგილსამყოფელი რაიონული სასამართლო ან მისი უფლებამონაცვლე, ამიტომ აღნიშნული დათქმა, არ შეიძლება გახდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მოცემული საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საფუძველი, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მესამე თავით დადგენილი განსჯადობის ზოგად დებულებებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული სახელშეკრულებო დათქმა ვერ შეცვლის სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ დებულებებს განსჯადობის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად აღიარებს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოები საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესით და მათი განხილვა ხორციელდება საპროცესო კოდექსის ნორმათა შესაბამისად, რაც გულისხმობს შემდეგ: სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას უპირატესად მოქმედებს ამ კოდექსით დადგენილი ნორმები და მხარეთა მიერ დადებული შეთანხმების საფუძველზე მათი შეცვლა დაუშვებელია (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის გამოყენების საპროცესო საფუძველები, ვინაიდან ის ითვალისწინებდა მხარეთა შეთანხმების გზით განსჯადი სასამართლოს დადგენის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ არ იქნებოდა დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო. მოცემულ შემთხვევაში, კი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი საერთო განსჯადობის პრინციპიდან გამომდინარე არ არსებობს საპროცესო საფუძველი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელის განხილვისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით არ წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადს, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე კ. ბ-შვილის მიმართ, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სიღნაღის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე კ. ბ-შვილის მიმართ განსახილველად დაექვემდებაროს სიღნაღის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1411-1369(გ-08) 9 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 29 ნოემბერს ნ. გ-ძემ, რ. გ-ძემ, ი. მ-შვილმა, ა. ლ-ძემ, რ. შ-ძემ, ზ. ხ-ძემ, ზ. ბ-ძემ და ნ. ბ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს ხაშურის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე შპს "საქართველოს რკინიგზის" გაერთიანებული ელექტრომომარაგების სამმართველოს ხაშურის დისტანციის მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, ნ. გ-ძე და რ. გ-ძე მანამდე, ხოლო დანარჩენები იმჟამადაც მუშაობდნენ შპს "საქართველოს რკინიგზის" გაერთიანებული ელექტრომომარაგების სამმართველოს ხაშურის დისტანციაში, სოფელ წიფაში, რომელიც "მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 2002 წლის 25

დეკემბრიდან მიეკუთვნებოდა მაღალმთიან რეგიონს და მოსარჩლეები იმავე სოფელში ცხოვრობდნენ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, ნ. გ-ძეზე, როგორც ერთშვილიან პირზე, უნდა გავრცელებულიყო საშემოსავლო გადასახადზე 50%-იანი შეღავათი. მოპასუხეს უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული და არ დაეკავებინა მისთვის საშემოსავლო გადასახადზე 50% 2003 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით. ნ. გ-ძისათვის დასაბრუნებელმა თანხამ საბოლოო ჯამში შეადგინა 703,69 ლარი. რ. გ-ძეს ჰყავდა ორი შვილი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, მასზეც უნდა გავრცელებულიყო საშემოსავლო გადასახადზე 50%-იანი შეღავათი. მოპასუხეს უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული და არ დაეკავებინა მისთვის საშემოსავლო გადასახადზე 50% 2003 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით. რ. გ-ძისათვის დასაბრუნებელმა თანხამ, საბოლოო ჯამში, შეადგინა 711,89 ლარი. ი. მ-შვილს ჰყავდა ორი შვილი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, მასზე ასევე უნდა გავრცელებულიყო საშემოსავლო გადასახადზე 50%-იანი შეღავათი. მოპასუხეს უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული და არ დაეკავებინა მისთვის საშემოსავლო გადასახადზე 50% 2003 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით. ი. მ-შვილისათვის დასაბრუნებელმა თანხამ საბოლოო ჯამში შეადგინა 582,87 ლარი. ა. ღ-ძეზეც, როგორც ორშვილიან პირზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, უნდა გავრცელებულიყო საშემოსავლო გადასახადზე 50%-იანი შეღავათი. მოპასუხეს უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული და არ დაეკავებინა მისთვის საშემოსავლო გადასახადზე 50% 2003 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით. ა. ღ-ძისათვის დასაბრუნებელმა თანხამ საბოლოო ჯამში შეადგინა 617,64 ლარი. რ. შ-ძეს ჰყავდა სამი შვილი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, მასზეც უნდა გავრცელებულიყო შეღავათი და მისთვის არ უნდა დაეკეთათ საშემოსავლო გადასახადი, რაც მოპასუხეს არ გაუკეთებია 2003 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით. რ. შ-ძისათვის დასაბრუნებელმა თანხამ შეადგინა 1193,77 ლარი. ზ. ბ-ძეს ჰყავდა სამი შვილი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, მასზეც უნდა გავრცელებულიყო შეღავათი და მისთვის არ უნდა დაეკეთათ საშემოსავლო გადასახადი, რაც მოპასუხეს არ გაუკეთებია და ზ. ბ-ძისათვის დასაბრუნებელმა თანხამ შეადგინა 1303,38 ლარი. ნ. ბ-შვილს ჰყავდა ოთხი შვილი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, მასზეც უნდა გავრცელებულიყო შეღავათი და მისთვის არ უნდა დაეკეთათ საშემოსავლო გადასახადი, რაც მოპასუხეს არ გაუკეთებია და ნ. ბ-შვილისათვის დასაბრუნებელმა თანხამ შეადგინა 538,25 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩლეებმა მოითხოვეს საშემოსავლო გადასახადის სახით მათთვის უკანონოდ დაბეგრული, ზემოთ მითითებული თანხების მათ სასარგებლოდ გადახდის მოპასუხისთვის დაკისრება.

ხაშურის რაიონული სასამართლოს, რომელმაც მოცემული საქმე განიხილა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, 2005 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა: შპს "საქართველოს რკინიგზის" გაერთიანებული ელექტრომომარაგების სამმართველოს ხაშურის დისტანციას დაეკისრა ხელოფასიდან დაქვითული საშემოსავლო გადასახადის თანხების 50%-ის დაბრუნება, კერძოდ, ნ. გ-ძის სასარგებლოდ - 703,69 ლარის, რ. გ-ძის სასარგებლოდ - 711,89 ლარის, ი. მ-შვილის სასარგებლოდ - 582,87 ლარის, ა. ღ-ძის სასარგებლოდ - 617,64 ლარის დაბრუნება, ასევე საშემოსავლო გადასახადის თანხების 100%-ის დაბრუნება, კერძოდ, რ. შ-ძის სასარგებლოდ - 1280,12 ლარის, ზ. ბ-ძის სასარგებლოდ - 1193,77 ლარის, ზ. ბ-ძის სასარგებლოდ - 1303,38 ლარის, ნანა ბაყაშვილის სასარგებლოდ - 538,25 ლარის დაბრუნება.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "საქართველოს რკინიგზამ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება. აპელანტმა - შპს "საქართველოს რკინიგზამ" მიუთითა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო უკანონო, რადგან საქმე განხილული იყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. მოსარჩლეები სადავოდ ხდიდნენ ხელოფასის საშემოსავლო გადასახადით დაბეგრის კანონიერებას და მოითხოვდნენ უკანონოდ, ანუ ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხების დაბრუნებას, რაც უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. ამდენად, სახეზე იყო საგადასახადო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე ადმინისტრაციული დავა. აპელანტმა მიუთითა, რომ შპს "საქართველოს რკინიგზა" ამ საქმეში იყო არასათანადო მოპასუხე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, შპს "საქართველოს რკინიგზა" უნდა შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი საგადასახადო ინსპექცი-

ით, რადგან საქართველოს ძველი და ახალი საგადასახადო კოდექსების 23-ე და 218-ე მუხლების თანახმად, შპს "საქართველოს რკინიგზა", როგორც დამქირავებელი, იყო საგადასახადო აგენტი, რომელიც ახდენდა სამემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებას, გადამხდელისათვის მის დაკავებას და გადასახადის თანხის ბიუჯეტში ჩარიცხვას. საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული სამემოსავლო გადასახადი გადაიხდებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში, ანუ მოსარჩელეთათვის ზედმეტად დაბეგრული სამემოსავლო გადასახადის თანხა შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშზე არ ჩარიცხულა და შპს "საქართველოს რკინიგზას" რაიმე ფინანსური სარგებელი კი არ მიუღია, არამედ სამემოსავლო გადასახადის მთლიანი თანხა ჩაირიცხა ადგილობრივ ბიუჯეტში. შესაბამისად, მოსარჩელეთათვის ზედმეტად დაბეგრული სამემოსავლო გადასახადის თანხა უნდა დაბრუნებულიყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო მოცემულ საქმეში შპს "საქართველოს რკინიგზა" იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა სადავო ურთიერთობაში, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა იყო შესაძლებელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის განჩინებით შპს "საქართველოს რკინიგზის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება; ნ. გ-ძის, რ. გ-ძის, ი. მ-შვილის, ა. ღ-ძის, რ. შ-ძის, ზ. ხ-ძის, ზ. ბ-ძისა და ნ. ბ-შვილის სარჩელი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იდენტურ საქმეზე მიღებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 თებერვლის #ბს-834-799(გ-06) განჩინებაზე, რომლითაც განიმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა ურთიერთობა მოსარჩელეებს, როგორც სამემოსავლო გადასახადის გადამხდელებსა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის, ხოლო მოპასუხე შპს "საქართველოს რკინიგზა" წარმოადგენდა შუამავალს, ე.წ. საგადასახადო აგენტს, რომელსაც სახელმწიფოსაგან დაკისრებული ჰქონდა გადასახადის გამოანგარიშების, გადამხდელთათვის მისი დაკავებისა და შესაბამის ბიუჯეტში გადარიცხვის სპეციალური მოვალეობა (საქართველოს 1997 წლის საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლი). სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული სამემოსავლო გადასახადი გადაიხდებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ემსჯელა თავდაპირველი მოპასუხის - შპს "საქართველოს რკინიგზის" სათანადო მოპასუხით - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი (ადგილობრივი) საგადასახადო ინსპექციით შეცვლაზე, ასევე - შპს "საქართველოს რკინიგზის" ამ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაბმაზე. შპს "საქართველოს რკინიგზის" გაერთიანებული ელექტრომომარაგების სამმართველოს ხაშურის დისტანცია არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს და მას არ შეეძლო ცალკე გამოსვლა სასამართლოში მოსარჩელედ ან მოპასუხედ და ამდენად, მის მაგივრად საქმეში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო შპს "საქართველოს რკინიგზა".

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 მარტის საოქმო განჩინებით თავდაპირველი მოპასუხე შპს "საქართველოს რკინიგზა", მოსარჩელეთა თანხმობით, შეიცვალა სათანადო მოპასუხით - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შპს "საქართველოს რკინიგზა" მოცემულ საქმეში ჩაება მესამე პირად.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 მარტის განჩინებით ნ. გ-ძის, რ. გ-ძის, ი. მ-შვილის, ა. ღ-ძის, რ. შ-ძის, ზ. ხ-ძის, ზ. ბ-ძისა და ნ. ბ-შვილის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის (მესამე პირი - შპს "საქართველოს რკინიგზა") მიმართ, ხელფასიდან ზედმეტად დაქვითული სამემოსავლო გადასახადის თანხის უკან დაბრუნების შესახებ, საქმის მასალებთან ერთად, განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიულ განსჯადობასა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით დადგენილ სარჩელის უფლებამოსილი სასამართლოსთვის წარდგენაზე და მიიჩნია, რომ მოცემული საქმე განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა განსჯად სასამართლოს - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციამ ნ. გ-ძის, რ. გ-ძის, ი. მ-შვილის, ა. ღ-ძის, რ. შ-ძის, ზ. ხ-ძის, ზ. ბ-ძისა და ნ. ბ-შვილის სარჩელი არ ცნო და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ შესაგებელში აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია მოცემულ საქმეში ვერ იქნებოდა მოპასუხე მხარე და იგი უნდა შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით - შესაბამისი საგადასახადო ინსპექციით - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრით (საგადასახადო ინსპექცია).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 ოქტომბრის საოქმო განჩინებით ნ. გ-ძის, რ. გ-ძის, ი. მ-შვილის, ა. ღ-ძის, რ. შ-ძის, ზ. ხ-ძის, ზ. ბ-ძისა და ნ. ბ-შვილის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის (მესამე პირი - შპს "საქართველოს რკინიგზა") მიმართ, ხელფასიდან ზედმეტად დაქვითული სამშემოსავლო გადასახადის თანხის უკან დაბრუნების შესახებ, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს გორის რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, ხსენებული ნაწილი შეიცავს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით და შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება მოპასუხე იურიდიული პირის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე სარჩელის საგანია ხელფასის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის კანონიერება და ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხების ანაზღაურება, ანუ, როგორც მოსარჩელეთა ხელფასების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის უკანონოდ მიჩნევა და შემდგომში ამ გადასახადით მათი (იმ მოსარჩელების, რომლებიც ამჟამადაც მუშაობენ სასარჩელო განცხადებაში მათ მიერ მითითებულ ორგანიზაციაში) არდაბეგვრა, ისე უკვე დაბეგრილი თანხების დაბრუნება. ამდენად, კონკრეტული სარჩელის საგანი (ამჟამადაც მომუშავე მოსარჩელებთან მიმართებაში) თავის თავში მოიცავს ორ სასარჩელო მოთხოვნას, პირველი მათგანი - მომავალში მოსარჩელეთა (რომლებიც ამჟამადაც მუშაობენ სასარჩელო განცხადებაში მათ მიერ მითითებულ ორგანიზაციაში) ხელფასების საშემოსავლო გადასახადით არდაბეგვრა მიმართულია შპს "საქართველოს რკინიგზის", ხოლო მეორე მათგანი - მანამდე დაბეგრილი თანხების დაბრუნება - შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიმართ, რის გამოც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უნდა დაეხმაროს მოსარჩელებს (რომლებიც ამჟამადაც მუშაობენ სასარჩელო განცხადებაში მათ მიერ მითითებულ ორგანიზაციაში) აღნიშნულის შესაბამისად მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მოცემული სარჩელის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს 2004 წლის საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მრავალშვილიანი (პირის კმაყოფაზე მყოფი 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) პირის მიერ აღნიშნულ რეგიონებში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ, ერთ ან ორშვილიან (პირის კმაყოფაზე მყოფი 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) პირს აღნიშნულ რეგიონებში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ 3000

ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50 პროცენტით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 23 აგვისტოს #550 ბრძანების პირველ პუნქტზე, რომელშიც ჩამოთვლილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გამგებლობაში შექმნილი საგადასახადო ორგანოები, რომელთა შორისაც არის გორის საგადასახადო ინსპექცია. ხსენებული ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული საგადასახადო ორგანოების სამოქმედო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ტერიტორიული ორგანოების სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 31 ოქტომბრის #829 ბრძანების პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის მიხედვით, გორის საგადასახადო ინსპექციის სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვრა გორის, ხაშურის, კასპის, ქარელის, მცხეთის, დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების ფარგლები.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შპს "საქართველოს რკინიგზამ" ხაშურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე წარდგენილ სააპელაციო საჩივარში მიუთითა, რომ შპს "საქართველოს რკინიგზა" ამ საქმეში იყო არასათანადო მოპასუხე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, უნდა შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციით, რომლის სამოქმედო ტერიტორიასაც წარმოადგენს ქ. ხაშური, რადგან საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში, ანუ მოსარჩელეთათვის ზედმეტად დაბეგრილი საშემოსავლო გადასახადის მთლიანი თანხა ჩაირიცხა ადგილობრივ ბიუჯეტში და შესაბამისად, მოსარჩელეთათვის ზედმეტად დაბეგრილი საშემოსავლო გადასახადის თანხა უნდა დაბრუნებულიყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

გარდა ამისა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის განჩინებაში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ემსჯელა თავდაპირველი მოპასუხის - შპს "საქართველოს რკინიგზის" სათანადო მოპასუხით - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი (ადგილობრივი) საგადასახადო ინსპექციით შეცვლაზე, ასევე - შპს "საქართველოს რკინიგზის" ამ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაბმაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხაშურის რაიონულმა სასამართლომ 2008 წლის 12 მარტის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შპს "საქართველოს რკინიგზა" მოცემულ საქმეში ჩააბა მესამე პირად, მაგრამ იმავე სასამართლომ, მიუხედავად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ზემოხსენებული, მისთვის სავალდებულო მითითებისა, თავდაპირველი მოპასუხე - შპს "საქართველოს რკინიგზა" (მოსარჩელეთა თანხმობით) შეცვალა არა სათანადო მოპასუხით - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი (ადგილობრივი) საგადასახადო ინსპექციით, არამედ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გამამხდელთა საგადასახადო ინსპექციით, ანუ ხაშურის რაიონულმა სასამართლომ არ შეასრულა სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მითითება და არასწორად გადაუზღავნა მოცემული საქმე განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, თუმცა ხაშურის რაიონული სასამართლოს მხრიდან სააპელაციო სასამართლოს დასახელებული მითითების შეუსრულებლობა კონკრეტულ შემთხვევაში, გავლენას ვერ მოახდენს საკასაციო სასამართლოს მიერ განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტასა და საქმის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გამამხდელთა საგადასახადო ინსპექციამ ნ. გ-მის, რ. გ-მის, ი. მ-შვილის, ა. ლ-მის, რ. შ-მის, ზ. ხ-მის, ზ. ბ-მისა და ნ. ბ-შვილის სარჩელზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ შესაგებელში მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გამამხდელთა საგადასახადო ინსპექცია მოცემულ საქმეში ვერ იქნებოდა მოპასუხე მხარე და იგი უნდა შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით - შესაბამისი საგადასახადო ინსპექციით. მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ისე გადაუზღავნა ნ. გ-მის, რ. გ-მის, ი. მ-შვილის, ა. ლ-მის, რ. შ-მის, ზ. ხ-მის, ზ. ბ-მისა და ნ. ბ-შვილის სარჩელი განსჯადობის

შესახებ დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომ მასაც არ შეუცვლია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს 2004 წლის საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალუბა საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, კერძოდ, პირი (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსი), რომელიც ამ კოდექსის 174-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასს უხდის დაქირავებულს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება დაქირავებულის ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში. ამდენად, ვინაიდან მოსარჩელები მუშაობდნენ შპს "საქართველოს რკინიგზის" გაერთიანებული ელექტრომომარაგების სამმართველოს ხაშურის დისტანციაში, შესაბამისად, მათთვის დაკავებული საშემოსავლო გადასახადიც გადაიხდებოდა მათი ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია, ნ. გ-ძის, რ. გ-ძის, ი. მ-შვილის, ა. ღ-ძის, რ. შ-ძის, ზ. ხ-ძის, ზ. ბ-ძისა და ნ. ბ-შვილის სარჩელზე ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არის შეცვლილი საქმეში მოპასუხედ მონაწილე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციით, მაგრამ მოცემული საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს, რომელმაც, პირველ ყოვლისა, უნდა შეასრულოს სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული მითითება და არასათანადო მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია, მოსარჩელეთა თანხმობით, შეცვალოს სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელები არ იქნებიან აღნიშნულზე თანახმა, მიიღოს საპროცესო კანონით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს გორის რაიონული სასამართლო, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ნ. გ-ძის, რ. გ-ძის, ი. მ-შვილის, ა. ღ-ძის, რ. შ-ძის, ზ. ხ-ძის, ზ. ბ-ძისა და ნ. ბ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. გ-ძის, რ. გ-ძის, ი. მ-შვილის, ა. ღ-ძის, რ. შ-ძის, ზ. ხ-ძის, ზ. ბ-ძისა და ნ. ბ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1-1(გ-09)

26 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

ნ. ქადაგიძე

მ. ცისკაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 22 აპრილს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა წალკის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ბ. გ-ანის მიმართ და მიყენებული ზიანის - 293,26 ლარის ანაზღაურებისა და კონტრაქტით ნაკისრი ვალებულების შეუსრულებლობის გამო ჯარიმის - 14000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა.

წალკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 აპრილის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განუხილველად დარჩა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 275-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის გამო, კერძოდ, მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი არასწორი იყო.

აღნიშნულ განჩინებაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ კერძო საჩივარი შეიტანა, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა იმ საფუძველით, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადებასა და თანდართულ მასალებში მითითებული იყო მოპასუხის სწორი საცხოვრებელი მისამართი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ნოემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა წალკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 აპრილის განჩინება და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2008 წლის 17 ივნისის განცხადებით მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის - 19066,96 ლარის, ზიანის - 293,26 ლარის და პირგასამტეხლოს - 19066,96 ლარის 0,2 %-ის ოდენობით თანხის 2005 წლის 1 მაისიდან ყოველთვიურად გადახდა მოითხოვა.

წალკის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 2 დეკემბრის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის გამო, მოპასუხე ბ. გ-ანის მიმართ ჯარიმისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ 2005 წლის 15 მარტს სამხედრო მოსამსახურე ბ. გ-ანსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დადებული ხელშეკრულების 8.4 პუნქტით განსჯად სასამართლოდ მიჩნეულ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადგილსამყოფელი სასამართლო ან მისი უფლებამონაცვლე.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადგილსამყოფელი რაიონული სასამართლო იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის გამო მოპასუხე ბ. გ-ანის მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე, განსახილველად უნდა გადაგზავნოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის გამო, მოპასუხე ბ. გ-ანის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინებოდა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე ბ. გ-ანი ცხოვრობდა ქ. წალკაში, ... ქუჩის #13-ში. მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლის 15 მარტის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის მე-

სახებ ხელშეკრულების 8.4 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამხედრო მოსამსახურის მიერ სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავას განიხილავდა სამინისტროს ადგილსამყოფელი რაიონული სასამართლო ან მისი უფლებამონაცვლე, აღნიშნული დათქმა არ შეიძლება გამხდარიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მოცემული საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საფუძველი, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მესამე თავით დადგენილ განსჯადობის ზოგად დებულებებს. ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, დავის საგნიდან გამომდინარე, ვერ იქნებოდა გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით დადგენილი წესი, ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით სარჩელის სასამართლოში წარდგენის შესახებ, ვინაიდან დავის საგანს წარმოადგენდა ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით არ წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯად საქმეს, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი, საქმის მასალებთან ერთად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, უნდა გადაგზავნოდა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და წალკის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს წალკის რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს, რომ მოპასუხე ბ. გ-ანი ცხოვრობს ქ. წალკაში, ... ქუჩის #13-ში. აღნიშნულის მიუხედავად, 2005 წლის 15 მარტს დადებული "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო მოსახურის გავლის შესახებ" ხელშეკრულების 8.4 პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამხედრო მოსამსახურის მიერ სამინისტროსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავას განიხილავდა სამინისტროს ადგილსამყოფელი რაიონული სასამართლო ან მისი უფლებამონაცვლე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული სახელშეკრულებო დათქმა ვერ შეცვლის სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ დებულებებს განსჯადობის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად აღიარებს, რომ საქართველოს საერთო სასამართლოები საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესით და მათი განხილვა ხორციელდება საპროცესო კოდექსის ნორმათა შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მოქმედებს ამ კოდექსით დადგენილი ნორმები და მხარეთა მიერ დადებული შეთანხმების საფუძველზე მათი შეცვლა დაუშვებელია (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლი).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი ფიზიკური პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი განსაკუთრებულ განსჯადობას ადგენს და მიუთითებს, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო, მაგრამ, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხსენებულ დავაზე აღნიშნული მუხლი ვერ გავრცელდება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის

ანაზღაურება, რაც მოცემულ დავასთან მიმართებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას გამოიწვევს.

საკასაციო სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელის განსჯადობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად ვერ გადაწყდება, რადგან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი საპროცესო კანონმდებლობის ნორმათა გათვალისწინებით რამდენიმე სასამართლოს განსჯადი უდავოდ არ არის. ამასთან, რადგან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დასახელებული ნორმებისაგან განსხვავებულ წესს არ ადგენს, შესაბამისად ადმინისტრაციულ პროცესშიც ეს ნორმები გამოიყენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული სარჩელის შემთხვევაში, ე.წ. "ალტერნატიული განსჯადობა" არ არსებობს, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იგი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს წალკის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის გამო მოპასუხე ბ. გ-ანის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს წალკის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

#ბს-330-319(გ-09)

26 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

ნ. ქადაგიძე

მ. ცისკაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 1 სექტემბერს სს "საქაგროსერვისმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სამტრედიის განყოფილების მიმართ და მოითხოვა მოპასუხესა და ბ. ნ-მეს შორის 2001 წლის 12 თებერვალს გაფორმებული #392 ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა რკინიგზის ჩიხის გაყიდვის ნაწილში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისათვის თავის გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის დავალდებულება და სადავო რკინიგზის ჩიხი ბ. ნ-მის ნაცვლად ელიარებინა სს "საქაგროსერვისის" საკუთრებად. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა ბ. ნ-მისათვის რკინიგზის ჩიხის 309 მეტრიანი მონაკვეთის დაბრუნების დავალდება.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში მოპასუხეებად ჩაბმულ იქნენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაქა-ლექსუმისა და იმერეთის სამხარეო სამმართველო (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სამტრედიის განყოფილების უფლებამონაცვლე) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო მესამე პირად - შპს "საქართველოს რკინიგზა".

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება სარჩელის დაუშვებლობის გამო სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის ნაწილში.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის განჩინებით მოცემული ადმინისტრაციული საქმე განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული საქმეებისათვის დადგინდა სპეციალური განსჯადობა, ხოლო იმავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში მოვალის ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გარდა სააპელაციო სასამართლოში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე დავებისა, განსახილველად გადაეცემოდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ სასამართლოებს.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 28 თებერვლის განჩინებით დასტურდებოდა, რომ სს "საქაგროსერვისის" მიმართ 2006 წლის 28 თებერვალს გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება. "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი ძალაში შევიდა და ამოქმედდა 2008 წლის 15 აგვისტოს. მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით სამტრედიის რაიონულ სასამართლოს მიმართა 2008 წლის 1 სექტემბერს, ანუ "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლის შემდეგ.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარეთა განმარტება სამტრედიის რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვის გაგრძელების თაობაზე, ვინაიდან "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ამ კანონით გათვალისწინებული საქმეებისათვის ადგენდა სპეციალურ განსჯადობას, შესაბამისად აღნიშნული საქმე სს "საქაგროსერვისის" სარჩელის გამო განსჯადობით უნდა გადაგზავნოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 თებერვლის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე სს "საქაგროსერვისის" სარჩელის გამო, მოპასუხეების - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმის და იმერეთის სამხარეო სამმართველოსა (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სამტრედიის განყოფილების უფლებამონაცვლე) და ბ. ნ-ძის მიმართ, მესამე პირი შპს "საქართველოს რკინიგზა", ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დადგინდად მიიჩნია, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმე, სს "საქაგროსერვისის" სარჩელის გამო, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გადაეცა მხოლოდ იმ მოტივით, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო ე.წ სპეციალური განსჯადობა და "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების საფუძველზე მისი განხილვა უნდა მომხდარიყო გაკოტრების სასამართლოს მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ გადაგზავნილი ადმინისტრაციული საქმის განხილვა ვერ მოხდებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე (სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები), რომელიც განსაზღვრავდა, რა შეიძლება ყოფილიყო ადმინისტრაციული დავის საგანი. იმავე კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიულად ადგენდა საქმის განხილვას უფლებამოსილი სასამართლოს მიერ, კერძოდ, სარჩელი უნდა წარდგენოდა იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილი იყო განეხილა და გადაეწყვიტა ადმინისტრაციული საქმე. ანალოგიურ ნორმას ითვალისწინებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტიც, მოსამართლე არ მიიღებდა სარჩელს, თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ იყო. სამოქალაქო სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეების აღწერას კი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი ეხებოდა და განმარტავდა თუ რა

დავებს განიხილავდა სამოქალაქო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, ზემოთქმული სამართლებრივი ნორმების ანალიზი სასამართლოს სრულ საფუძველს აძლევდა ემტკიცებინა, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გადაგზავნილი ადმინისტრაციული საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ვერ მოხდებოდა, რადგან სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არაუფლებამოსილი იყო განეხილა სხვა სასამართლოს (ადმინისტრაციული სასამართლო) დაქვემდებარებული საქმე და მიეღო გადაწყვეტილება.

ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი ნორმა არ უნდა ყოფილიყო გაგებული პირდაპირი მნიშვნელობით და მისი იმგვარი განმარტება, რომელიც კონსტიტუციურ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს (კანონიერი და უფლებამოსილი სასამართლოს უფლება) ეწინააღმდეგებოდა, არ შეესაბამებოდა მოქმედი კანონმდებლობის იმპერატიულ დებულებებს. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, ხსენებული ნორმის განმარტება უნდა მომხდარიყო იმგვარად, რომ მისი არსი შესაბამისობაში ყოფილიყო კანონმდებლობით დადგენილ მართლმსაჯულების განხორციელების ზოგად პრინციპებთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, კანონით განმარტებულ "ნებისმიერ დავაში" იგულისხმებოდა მხოლოდ ნებისმიერი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა მოვალის ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება განხილულიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად და არა ნებისმიერი სამართლებრივი საფუძველიდან წარმოშობილი (სისხლის ან ადმინისტრაციული) საქმე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის საქმის გადაგზავნით დარღვეული იყო, ასევე, ტერიტორიული განსჯადობის პრინციპიც.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა სამტრედიის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სამტრედიის რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე სს "საქაგროსერვისის" მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების წარმოება. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ხსენებული დავა სამტრედიის რაიონულ სასამართლოში იხილებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და მისი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გადაიგზავნა მხოლოდ "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების საფუძველზე იმ მოტივით, რომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარეობს სს "საქაგროსერვისის" გაკოტრების წარმოება და აღნიშნულ შემთხვევებზე სპეციალურ განსჯადობას ითვალისწინებს კანონი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, მართალია, "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში მოვალის ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გარდა სააპელაციო სასამართლოში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე დავებისა, განსახილველად გადაეცემა ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ სასამართლოებს, ხოლო იმავე მუხლის მე-6 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დავებს განიხილავენ და გადაწყვეტილებას გამოიტანენ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული სასამართლოები. მაგრამ ხსენებული, ე.წ სპეციალური განსჯადობის საკითხი არ უნდა გადაწყდეს ამ ნორმის მხოლოდ სიტყვასიტყვითი განმარტების საფუძველზე და მასზე მსჯელობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სამართალწარმოებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა იმპერატიული დებულებებიც.

საკასაციო სასამართლო, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, რომლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იუ-

რისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე, მიუთითებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად რაიონული (საქალაქო) სასამართლო არის პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც მის განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განიხილავს ერთპიროვნულად ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით. ამავე კანონის მე-16 მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობა, ასევე მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობა განისაზღვრება კანონით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი (სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები) განსაზღვრავს, ადმინისტრაციული დავის საგანს და ხსენებულის კონკრეტულ ჩამონათვალს იძლევა. ამავე კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილი კი იმპერატიულად ადგენს საქმის განხილვას უფლებამოსილი სასამართლოს მიერ, კერძოდ, ხსენებული ნორმა ითვალისწინებს, რომ სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ანალოგიურ ნორმას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტიც, რომლის თანახმად მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს, თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის. სამოქალაქო სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეების რეგლამენტაციას კი მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი, რომელიც განმარტავს, თუ რა დავებს განიხილავს სამოქალაქო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის მე-3 თავი განსჯადობის საკითხს ეხება და ზოგადად სამოქალაქო სასამართლოს ქვემდებარე საქმეების საერთო, განსაკუთრებული, ნივთობრივი თუ სხვა პრინციპით საქმეთა გადანაწილებას ითვალისწინებს სასამართლო სისტემის შიგნით.

ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული ადმინისტრაციული საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ვერ მოხდება, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არაუფლებამოსილია განიხილოს სხვა სასამართლოს დაქვემდებარებული საქმე და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ "გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული პირდაპირი მნიშვნელობით და მისი იმგვარი განმარტება, რომელიც კონსტიტუციურ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს (კანონიერი და უფლებამოსილი სასამართლოს უფლება) ეწინააღმდეგება, არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის იმპერატიულ დებულებებს. ამ ნორმის განმარტებაც უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მისი არსი შეესაბამებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მართლმსაჯულების განხორციელების ზოგად პრინციპებს და, რომ კანონით განმარტებულ "ნებისმიერ დავაში" იგულისხმება მხოლოდ ნებისმიერი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავა მოვალის ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად და არა ნებისმიერი სამართლებრივი საფუძვლიდან წარმოშობილი (სისხლის ან ადმინისტრაციული) საქმე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაც ვერ იქნება აღნიშნული საქმის განმხილველი სასამართლო, რადგან ამით დაირღვევა ტერიტორიული განსჯადობის პრინციპიც, ასევე, ვერ იქნება უზრუნველყოფილი თავად კანონის მიზანი დავის სწრაფად და ეფექტურად დამთავრებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმე, სს "საქაგრო-სერვისის" სარჩელის გამო, მოპასუხეების - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის სამხარეო სამმართველოსა (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სამტრედიის განყოფილების უფლებამონაცვლე) და ბ. ნ-მის მიმართ, მესამე პირი - შპს "საქართველოს რკინიგზა", სამტრედიის რაიონული სასამართლოს განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქმე სს "საქაგროსერვისის" სარჩელის გამო, მოპასუხეების - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმის და იმერეთის სამხარეო სამმართველოსა (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სამტრედიის განყოფილების უფ-ლეზამონაცვლე) და ბ. ნ-ძის მიმართ, მესამე პირი - შპს "საქართველოს რკინიგზა", განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

#ბს-478-451(გ-09)

28 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა გორისა და ხაშურის რაიონულ სასამართლოებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე, საქმეზე შ. გ-ძის სარჩელის გამო, მოპასუხეების - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 11 მარტს შ. გ-ძემ სარჩელი აღძრა გორის რაიონულ სასამართლოში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიმართ და მოითხოვა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობა, რომლითაც მოსარჩელეს ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმის - 3010 ლარის გადახდა.

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 მარტის განჩინებით შ. გ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 5.1, 1.2, მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლით და მიუთითა, რომ საქართველოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს სამოქმედო ტერიტორია განსაზღვრულია ხაშურის მუნიციპალიტეტითაც. სამმართველოს იურიდიული მისამართია ქ. გორი, მაგრამ სამართალურთიერთობა წარმოიშვა არა გორის, არამედ ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რაზეც სამართლებრივი რეაგირება განხორციელდა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორია ასევე განისაზღვრება ხაშურის მუნიციპალიტეტითაც. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას.

ამდენად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა ხაშურის რაიონული სასამართლოს განსჯად საქმეს წარმოადგენს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის განჩინებით შ. გ-ძის სარჩელი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიმართ განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საკასაციო სასამართლოში, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა არ არის ხაშურის რაიონული სასამართლოს განსჯადი და წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა გორის რაიონული სასამართლოს მოსაზრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.1 მუხლის გამოყენების შესახებ, რადგან მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს თავისი დარღვეული უფლების დასაცავად სასამართლოსათვის არ მიუმართავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე-272-ე მუხლების შესაბამისად საჩივრით, მოსარჩელემ დავის გადაწყვეტის ფორმად აირჩია სასარჩელო წარმოება, რაც წესრიგდება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის "ბ" პუნქტის შესაბამისად, პირველი ინსტანციით მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია საქმეები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს საქმეების ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი სასამართლოს წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ - წარედგინება მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს მისამართია ქ. გორი, ... ქ. #1.

ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს უფლებამოსილება ვრცელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, არ შეიძლება გახდეს მოცემული საქმის განსჯადობის განმსაზღვრელი.

ამდენად, ხაშურის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი სწორად იქნა წარდგენილი გორის რაიონულ სასამართლოში, რადგან მოცემული დავა გორის რაიონული სასამართლოს განსჯად საქმეს წარმოადგენს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე გორისა და ხაშურის რაიონული სასამართლოების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ შ. გ-მის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ ხაშურის რაიონულმა სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე გორის რაიონული სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გორის რაიონული სასამართლოს დასკვნას დავის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ გორის რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რითაც დაირღვა სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს - უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26-ე), კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას იმპერატიული შინაარსის ნორმად, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარ-

მოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზე დასაშვებია.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 "ა" მუხლის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან საქმის განსჯადობას ამოწმებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშე, თავისი ინიციატივით, რამდენადაც როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად შეამოწმოს განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 14.1 მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული პირების გარდა, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს, მოპასუხე მხარეს და თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ.

დისპოზიციურობის პრინციპი ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია საპროცესო სამართალში, რაც ნების ავტონომიიდან გამომდინარეობს და თავის მხრივ, გულისხმობს, რომ მხარეები თავისუფალნი არიან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო შეზღუდულია დისპოზიციურობის პრინციპით, რის გამოც, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დისპოზიციურობის პრინციპი სამართალწარმოებაში ესაა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და მხარეთა გარანტირებული შესაძლებლობა, თავისუფლად ისარგებლონ ან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამასთან, დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა მხარეთა თავისუფალი ნება, დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით სარჩელი აღძრან სასამართლოში, მიუთითონ მოპასუხე, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სასარჩელო მოთხოვნაზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გამოცემულია საქართველოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორის მიერ. შესაბამისად, შ. გ-მემ აღძრა რა სარჩელი მითითებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის შესახებ, მოპასუხედ მიუთითა მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველო, რომლის იურიდიული მისამართია ქ. გორი. საკასაციო სასამართლო იზიარებს ხაშურის რაიონული სასამართლოს დასკვნას, რომ სარჩელი გორის რაიონულ სასამართლოში აღძრა სსსკ-ის 15.1 მუხლის მოთხოვნის დაცვით, მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს სრულიად დაუსაბუთებლად მიაჩნია დავის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გორის რაიონული სასამართლოს მითითება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.1 მუხლზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას.

აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს ადმინისტრაციული გადაცდომის ფაქტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ადგილს, რაც ვერ გავრცელდება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე, რადგან საერთო სასამართლოების მიერ სამართალწარმოების განხორციელების წესები განისაზღვრება მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სახეებს, ადგენს მათი ჩადენის თავიდან აცილებისა თუ კონკრეტული სამართალდარღვევის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების

უზრუნველყოფის მიზნით მმართველობითი საქმიანობის განხორციელების წესს. შესაბამისად, ამ კოდექსში კოდიფიცირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების მომწესრიგებელი ნორმები და იგი ადგენს ამ საქმიანობის განხორციელებისას საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმებს. ხოლო სამართალწარმოების მომწესრიგებელი ნორმები გათვალისწინებულია საპროცესო კანონმდებლობაში. შესაბამისად, თუკი ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების მომწესრიგებელი ნორმები სხვა საკანონმდებლო აქტებში აისახება, მხოლოდ საკანონმდებლო ხარვეზით შეიძლება აიხსნას.

კონკრეტულ შემთხვევაში, დავის ტერიტორიული განსჯადობა მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლით, რომელიც განსაზღვრავს იურიდიული პირის მიმართ წარდგენილი სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლის ნეგატიური დათქმის პრინციპის შესაბამისად ასევე გამოიყენება ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელის მიმართაც.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს გორის რაიონული სასამართლოს მოსაზრებას, რომ საქართველოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება ხაშურის მუნიციპალიტეტითაც, რაც სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილს ხდის ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არასწორია ნორმის ამგვარი განმარტება, რადგან ტერიტორიული განსჯადობა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა არა სამოქმედო ტერიტორიისა და ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების გავრცელების ადგილით, არამედ მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. სამოქმედო ტერიტორიაში მოიაზრება ის ტერიტორიული ერთეული, რომლის ფარგლებშიც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობა.

ამდენად, არასწორია გორის რაიონული სასამართლოს დასკვნა მოცემული დავის განსჯადობის შესახებ, შესაბამისად, შ. გ-მის სარჩელი გორის რაიონული სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შ. გ-მის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

#ბს-252-242(გ-09)

11 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

ნ. სხირტლაძე

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "...“ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხეების - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ხაშურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1986 წლის 17 აპრილის #164 გადაწყვეტილებით ქ. ხაშურში, ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის ჩრდილოეთის მხარეს ხაშურის ქალაქვაჭრობას გამოეყო 1,0 ჰა მიწის ნაკვეთი, რის საფუძველზეც აღმასკომის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილებამ გასცა შესაბამისი ნახაზი. იმავე წელს ხაშურის ქალაქვაჭრობამ ამ მიწის ნაკვეთზე ააშენა სავაჭრო ცენტრი - მაღაზია #10. მოგვიანებით, ხსენებული ქალაქვაჭრობის ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო კომერციული ფირმა "...“, რომელიც 1995 წელს აუქციონის გზით შეისყიდეს თ. გ-ძემ და მ. ხ-ძემ. შემდგომში აღნიშნული სახელმწიფო კომერციული ფირმის ბაზაზე ჩამოყალიბდა შპს "...“. სადავო 1,0 ჰა მიწის ნაკვეთიდან 4256 კვ.მ-ის მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრირებას შპს "...“ წლების მანძილზე ცდილობდა (იმ პერიოდისათვის დანარჩენი მიწის ნაკვეთი ათვისებული იყო სხვათა მიერ), რის განხორციელებაზეც საჯარო რეესტრის შესაბამისი სამსახური სხვადასხვა საფუძველით აცხადებდა უარს. საჯარო რეესტრმა ბოლოს უარი განაცხადა რეგისტრაციის განხორციელებაზე იმ საფუძველით, რომ სადავო მიწის ნაკვეთი სხვადასხვა ფიზიკურ პირებს ჰქონდათ სარგებლობაში, თუმცა ამ პირთა მფლობელობის მართლზომიერების სამართლებრივი საფუძველი მან ვერ მიუთითა, რის გამოც მისი გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა სასამართლოში, მისი ბათილად ცნობის მოთხოვნით, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობდა სასარჩელო წარმოება სასამართლოში. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მუდმივმოქმედმა კომისიამ 2007 წლის 21 დეკემბერს განიხილა შპს "...“ დირექტორის - ნ. თ-ძის განცხადება, რომლითაც მოთხოვნილ იქნა ქ. ხაშურში, ხაშური-ბორჯომის გზის მარჯვენა მხარეს არსებული აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის საკუთრებად აღიარება - მასზე საკუთრების უფლების მინიჭება და დააკმაყოფილა იგი, რის საფუძველზეც, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ შპს "...“ სახელზე გასცა საკუთრების უფლების #26 მოწმობა 4256 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. ხსენებული მოწმობა აღებულ იქნა 2008 წლის 3 იანვარს და იმავე დღეს იგი წარედგინა ხაშურის სარეგისტრაციო სამსახურს რეგისტრაციის განხორციელების მიზნით, რაზედაც მან უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ამ მოწმობაში მითითებული 4256 კვ.მ მიწის ნაკვეთი შედიოდა იმ 5229 კვ.მ მიწის ნაკვეთში, რომელიც 2007 წლის 14 დეკემბერს რეგისტრირებულ იქნა სახელმწიფო საკუთრებად, რაც შეუძლებელს ხდიდა აღნიშნული უძრავი ქონების შპს "...“ სახელზე რეგისტრაციას. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 21 დეკემბრის #1-1/2045 ბრძანების საფუძველზე, გამოცხადდა პირობებიანი აუქციონი და ქ. ხაშურში, ... ქუჩაზე (... მიმდებარედ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 5229,55 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზება უნდა განხორციელებულიყო აუქციონის ფორმით. აუქციონზე გატანილი ობიექტი 2008 წლის 24 იანვარს იქნა გასხვისებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა: საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 21 დეკემბრის #1-1/2045 ბრძანების, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინიციატივით 2008 წლის 24 იანვრის პირობებით გამოცხადებული აუქციონის, უძრავი ქონების ნასყიდობის 2008 წლის 18 მარტისა და 2008 წლის 28 ივლისის ხელშეკრულებების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, კერძოდ, იმ ნაწილში, რა ნაწილშიც ილაზხებოდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით შპს "...“ კანონით დაცული ინტერესები; ხაშურის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლო-

ბელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის შე-საბამისი გადაწყვეტილების არარა აქტად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 იან-ვრის განჩინებით შპს "... " სარჩელი მოპასუხეების - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ხაშურის კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობა-ში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ, განსჯადო-ბით განსახილველად გადაეზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ "საერ-თო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის თანახმად, რაი-ონული (საქალაქო) სასამართლოების განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს განსაზღვრავდა საპროცე-სო კანონი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით მოწესრიგებული იყო სარჩე-ლის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები - თუ რომელ სასამართლოს უნდა განეხილა სა-სამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. ხსენებული კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინებოდა მოპა-სუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინებოდა იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, სარჩელი ადმინის-ტრაციული ორგანოს, ისევე, როგორც იურიდიული პირის მიმართ, წარედგინებოდა იმ სასამარ-თლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იყო აღნიშნული ორგანოს ადგილსამყოფელი. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის (განსაკუთრებული განსჯადობა) პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩე-ლი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინებოდა ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრე-ბელი ადგილის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მოპასუხეებად დასახელებუ-ლი იყვნენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და ხაშურის კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია, რომელთა იურიდიული მისამართები განსხვავებული იყო. შესაბამი-სად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცე-მულ საქმეზე სახეზე იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით გათვა-ლისწინებული განსაკუთრებული განსჯადობა, როდესაც არსებობდა რამდენიმე მოპასუხე და შესამ-ღებელი იყო სარჩელი წარედგინილი ყოფილიყო ერთ-ერთი მათგანის ადგილსამყოფლის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარ-ჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათა-ვისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებუ-ლი სარჩელი, თუ დავა ეხებოდა უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძ-ლებოდა შეტანილი ყოფილიყო სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ასევე აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სა-მინისტროს (ტერიტორიული ორგანო) აუქციონის მომწყობი კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტი-ლებას (პირობით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი #20ა ოქმი), რომ-ლითაც "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზე-ბისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბა-მისად, სახელმწიფო ქონება - ქ. ხაშურში, ... ქუჩაზე (... მიმდებარედ) სახელმწიფო საკუთ-რებაში არსებული ნაგებობა და მასზე დამაგრებული 5229,55 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთი გადაეცა გ. ა-შვილს. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ შპს "... " სარჩელი უნდა განეხილა იმ სასა-მართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობდა სადავო უძრავი ქონება. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ სასამართლოს წარმოადგენდა ხაშურის რაიონული სასამართლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქარ-თველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყოველი პირი უნდა განესაჯა მხოლოდ იმ სასამართლოს, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარებოდა მისი საქმე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სა-სამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუზავნიდა განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებდა მოსარჩელეს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 6 თებერვლის განჩინებით შპს "... " სარჩელი მოპასუხეების - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ხაშურის კერძო სა-მართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე სა-კუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ნა-წილობრივ ბათილად ცნობის შესახებ, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეზავნა სა-ქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შპს "...“ სარჩელი უნდა განეხილა იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობდა სადავო უძრავი ქონება, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ სასამართლოს წარმოადგენდა ხაშურის რაიონული სასამართლო.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინებოდა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინებოდა იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის (განსაკუთრებული განსჯადობა) პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინებოდა ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აღნიშნული კოდექსის მე-20 მუხლის (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადი იყო, ეკუთვნოდა მოსარჩელეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ #ბს-786-748(გ-07) განჩინებაში განმარტა, რომ, თუ სარჩელში დასახელებული იყო სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლება იყო, რასაც იგი განსაზღვრავდა სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევდა იმ სასამართლოს, სადაც წარადგენდა სარჩელს. გარდა ამისა, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელი იყო, როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. სასამართლოს არ გააჩნდა უფლებამოსილება, ჩარეულიყო მოსარჩელის მიერ აღნიშნული უფლების რეალიზებაში. ხაშურის რაიონულმა სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის #ბს-703-669(გ-06) განჩინებაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ხაშურის რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა სასამართლოთა შორის დავა ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, კერძოდ, განსჯადობა ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, ხსენებული ნაწილი შეიცავს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით და შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება შესაბამისი მოპასუხის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს მე-16 მუხლის (განსაკუთრებული განსჯადობა) პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული კოდექსის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ

ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიმხედველ უფლებას ან სასამართლო ურთიერთობას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. სარჩელი აღძრულია რა ორი მოპასუხის - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ. ამასთან, უძრავი ნივთი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობს ქ. ხაშურში, სახეზეა საქმის ტერიტორიული განსჯადობის პრინციპის უპირატესობა დავის სხვა სახის განსჯადობების მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ხაშურის რაიონული სასამართლო, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, შპს "... " სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს "... " სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ხაშურის რაიონულ სასამართლოს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

#ბს-463-442(გ-09)

28 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

მ. ცისკაძე

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 4 თებერვალს ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის სახელმწიფო ჯიშაშენმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ახმეტის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე გ. ბ-მის მიმართ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1996 წლის 1 იანვარს ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის ფირმა "... " (შემდეგში ქვემო ალვანის სახელმწიფო ჯიშაშენი, ამჟამად შპს "... ") და მოპასუხე გ. ბ-მეს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება 3 წლის ვადით, რის საფუძველზეც მოპასუხეს "ტორგის" წესით მიემაგრა ცხვრის სულადობა, სამოვარი, ცხვრის ფარეხი და მეცხვარეთათვის საცხოვრებელი ბინა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა გარკვეულ ვალდებულებებს ორივე მხრიდან.

მოსარჩელის განმარტებით, 1998 წლის დეკემბერში სულადობის ინვენტარიზაციისას მას დააკლდა 329 სული ცხვარი, მათ შორის - 275 სული დედალი ცხვარი და 54 თოხლი, რომელთა ღირებულება 13160 ლარია.

მოსარჩელის მითითებით, 1999 წლის იანვარში დამთავრდა ხელშეკრულების ვადა, რის შემდეგაც გ. ბ-მე უამრავი გაფრთხილების მიუხედავად, თავს არიდებდა ჯიშაშენთან ანგარიშსწორებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა გ. ბ-ძეს დაკისრებოდა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების - 690 სული ცხვრის, 582 კგ ყველის, 1020 კგ მატყლის დაბრუნება და 4680 ლარის ოდენობით სამოვრით სარგებლობის ქირის გადახდა.

ახმეტის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით ქვემო ალვანის სახელმწიფო ჯიშსაშენის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე - გ. ბ-ძეს დაეკისრა ქვემო ალვანის სახელმწიფო ჯიშსაშენისათვის 361 სული ცხვრის სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ნატურით დაბრუნება, ასევე 532 კგ ყველისა და 1020 კგ მატყლის ნატურით ან შესაბამისი ღირებულებითი ანაზღაურება და სამოვრის ქირის - 4680 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ბ-ძემ და ახმეტის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავაჭრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 27 სექტემბრის განჩინებით გ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი ახმეტის რაიონის სასამართლოს 2002 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებაზე განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 4 აგვისტოს საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული მეცხოველეობის სანაშენე დეპარტამენტი.

თბილისის საოლქო სასამართლოს შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა ქვემო ალვანის სახელმწიფო ჯიშსაშენმა, რომელმაც შეგებებული სააპელაციო საჩივრით გაზარდა სარჩელის საგანი და მოითხოვა ახმეტის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით გ. ბ-ძისათვის 406 სული ცხვრის, მათ შორის - 262 სული დედა ცხვრის, 40 სული ყოჩის, 140 - თოხლის, 1810 კგ მატყლის, 1030 კგ ყველისა და 4 ცხენის ნატურით დაბრუნების დაკისრება; ასევე, 4680 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ და გ. ბ-ძისათვის 1996 წლის 1 იანვრის საიჯარო ხელშეკრულების შეცვლის დავალება.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ შეამცირა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და იშუამდგომლა გ. ბ-ძისათვის მხოლოდ შეგებებულ სააპელაციო საჩივარში დასახელებული ოდენობით იჯარის ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის დაკისრება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ბ-ძისა და ქვემო ალვანის სახელმწიფო ჯიშსაშენის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ახმეტის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ქვემო ალვანის სახელმწიფო ჯიშსაშენის სასარგებლოდ დაეკისრა 406 სული ცხვრის, მათ შორის - 262 სული დედა ცხვრის, 40 სული ყოჩის, 140 - თოხლის, 1810 კგ მატყლის, 1030 კგ ყველის ნატურით დაბრუნება ან შესაბამისი ღირებულების ანაზღაურება, 4680 ლარის ოდენობით ასევე სამოვრის ქირის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ სრულად იზიარებდა რაიონული სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოპასუხის მიერ დასახელებული გარემოება - 1999 წლის მაისში ცხვრის გადარეკვისას სტიქიური მოვლენის, ქარბუქისა და ზვავის გამო იჯარით გაცემული ცხვრის დაცემის თაობაზე, არ დასტურდება საქმის მასალებით. საქმეში არსებული, 1999 წლის 6 მაისს შედგენილი ცხვრის დაცემის თაობაზე აქტი არ იძლევა ცხოველთა იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ცხვრის დაცემის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულება კი გ. ბ-ძეს არ წარმოუდგენია.

პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია ქვემო ალვანის სახელმწიფო ჯიშსაშენის გაზრდილი სასარჩელო მოთხოვნა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალებით დადგენილია, რომ იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გ. ბ-ძეს მეიჯარისათვის გადაცემული ქონება - ცხვარი, არ დაუბრუნებია. მას ჯიშსაშენთან არც ახალი ხელშეკრულება გაუფორმებია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 591-ე მუხლის თანახმად, საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ იჯარით გადაცემული ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის მოიჯარეს ეკისრება დაყოვნების მთელი პერიოდისათვის მისი ქირის გადახდის მოვალეობა.

სააპელაციო პალატა დაეყრდნო სხდომაზე წარმოდგენილ საქართველოს კონტროლის პალატის აქტის ამონაწერს და ახმეტის ჯიშსაშენის ცხოველთა მოძრაობის უწყისებს და მიუთითა, რომ ამ აქტებში დაფიქსირებული გადაუხდელი საიჯარო ქირის ოდენობა გაზრდილ სასარჩელო მოთხოვნა-

ში დასახელებულის ტოლი იყო, რაც მიიჩნია აპელანტის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ბ-მემ, რომელმაც ამ გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 9 მარტის განჩინებით გ. ბ-ძის საკასაციო საჩივარზე შეჩერდა საქმის წარმოება ქვემო ალვანის სახელმწიფო ჯიშაშენის უფლებამონაცვლის დადგენამდე.

ლიკვიდირებული ქვემო ალვანის სახელმწიფო ჯიშაშენის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა შპს "...", რის შემდეგაც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 იანვრის განჩინებით გ. ბ-ძის საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 თებერვლის განჩინებით მესამე პირი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო შეცვლილ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროთი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივლისის განჩინებით გ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინებით საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 თებერვლის განჩინებით გ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი ახმეტის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებაზე, საქმის მასალებთან ერთად, განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსნებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას მოცემული დავის ადმინისტრაციული კატეგორიის დავად მიჩნევის თაობაზე და განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითა დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი - ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს სასამართლოში. აღნიშნული ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელ-

შეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქოსამართლებრივ ხელშეკრულებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებების გამოიყენება შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, არ არის ამოსავალი ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსებობისათვის, რადგან შესაძლოა, ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის დაიდოს სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება და პირიქით, ცალკეულ შემთხვევებში, სათანადო პირობების არსებობისას, კერძო სამართლის სუბიექტებს შორის შესაძლებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1996 წლის 1 იანვარს ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის ფორმა "... (შემდეგში ქვემო ალვანის ჯიშსაშენი, ამჟამად შპს "...) და გ. ბ-მეს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება 3 წლის ვადით, რომლის საფუძველზეც მოპასუხეს "ტორგის" წესით მიემაგრა ცხვრის სულადობა, საძოვარი, ცხვრის ფარები და მეცხვარეთათვის საცხოვრებელი ბინა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა გარკვეულ ვალდებულებებს ორივე მხრიდან. დავის საგანს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შპს "... წესდების მიხედვით, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იგივეა, რაც უფლებრივი წინამორბედი ქვემო ალვანის სახელმწიფო ჯიშსაშენის. საზოგადოების საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად კვლავ რჩება მეცხოველეობაში სანაშენე საქმის სრულყოფის ღონისძიებათა განმტკიცება "სანაშენე მეცხოველეობის შესახებ" კანონის საფუძველზე. სადავო ხელშეკრულება ამ საჯარო უფლებამოსილების განსახორციელებლად დადებული, რის გამოც იგი ვერ იქნება მიჩნეული სამოქალაქოსამართლებრივ გარიგებად, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ორივე მხარე ამჟამად კერძო სამართლის სუბიექტია.

აღნიშულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულების ნაცვლად სარჩელის საგანი გახდა ორ კერძო სამართლის სუბიექტს - ფიზიკურ პირსა და შპს-ს შორის არსებული სამოქალაქო ხელშეკრულების შესრულება და იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, საქმე გ. ბ-მის სააპელაციო საჩივრის გამო ახმეტის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებაზე წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

ბს-479-452(გ-09)

28 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 1 დეკემბერს გორის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. მ-მემ, მოპა-სუხე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2008 წლის 5 აგვისტოს #422 საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე გორის საგადასახადო ინსპექციამ არასწორად დაარიცხა სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადი 334.04 ლარისა და საურავი 191.32 ლარის ოდენობით. საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადების დაცვით, მოსარჩელემ საჩივრით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს. მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა კანონით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით, მხარის მიწვევისა და დასწრების გარეშე, განიხილა საჩივარი და წარდგენილი მტკიცებულებების იგნორირებით მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელე მოითხოვდა ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ყოფილიყო ცნობილი გორის საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 5 აგვისტოს #422 საგადასახადო მოთხოვნა, ... საკრებულოში მდებარე 4.64 ჰა მიწის ნაკვეთის სარგებლობისათვის მის სახელზე 524.40 ლარის გადასახადის დარიცხვის ნაწილში.

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 მარტის განჩინებით, ნ. მ-მის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

გორის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 31 ივლისის ბრძანებით (რომლითაც ძალადაკარგულად ჩაითვა 2008 წლის 26 თებერვლის #199 ბრძანება) განისაზღვრა გორის საგადასახადო ინსპექციის სამოქმედო ტერიტორია, რომლის თანახმად, აღნიშნული ინსპექციის სამოქმედო ტერიტორიაში შევიდა ყაზბეგის, დუშეთის, თაიხეთის, ხაშურის მუნიციპალიტეტებიც. გორის საგადასახადო ინსპექციის სამოქმედო ტერიტორია ანალოგიურად იყო განსაზღვრული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 23 აგვისტოს #550 და 2008 წლის 8 მაისის #419 ბრძანებებითაც.

გორის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, გორის საგადასახადო ინსპექციის იურიდიული მისამართი ქალაქი გორია, მაგრამ თვით საგადასახადო სამართალურთიერთობა წარმოშობილია არა გორის, არამედ ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რაზეც სამართლებრივი რეაგირება განხორციელდა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება ხაშურის მუნიციპალიტეტითაც.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა ხაშურის რაიონული სასამართლოს განსჯადია, რის გამოც ნ. მ-მის სარჩელი განსახილველად გადაეცა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 მარტის განჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივ-

თებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდიდა გორის საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 5 აგვისტოს #422 საგადასახადო შეტყობინებას და არა უძრავ ნივთზე რაიმე უფლებას. შესაბამისად, სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ხაშურის რაიონული სასამართლოსა და გორის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს გორის რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ დავაში მოპასუხეს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექცია, ხოლო დავის საგანს - გორის საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 5 აგვისტოს #422 საგადასახადო მოთხოვნის ბათილობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ხაშურის რაიონული სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილი განსაკუთრებულ განსჯადობას ადგენს და მოითუთებს, რომ ქონების უფლებრივი დატვირთვის, ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხსენებულ დავაზე აღნიშნული მუხლი ვერ გავრცელდება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს გორის საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 5 აგვისტოს #422 საგადასახადო შეტყობინების ბათილობა და არა უძრავ ნივთზე რაიმე უფლება, რაც მოცემულ დავასთან მიმართებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას გამორიცხავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული სარჩელის შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იგი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქმე ნ. მ-ძის სარჩელისა გამო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

#ბს-538-509(გ-09)

28 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა გორის რაიონულ და მცხეთის რაიონულ სასამართლოებს შორის დავა მ. ა-ევის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 16 თებერვალს მარიფ ალიევმა სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2009 წლის 26 იანვრის #10/599 წერილის, შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 ოქტომბრის #2392 ბრძანების, გორის საგადასახადო რეგიონალური ცენტრის 2008 წლის 11 ივნისის #45 და #46 საბაჟო შეტყობინებებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის #006766 და #006767 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმების ბათილად ცნობას.

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 თებერვლის განჩინებით მ. ა-ევის სარჩელი, განსჯადობით განსახილველად გადაეცა მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

გორის რაიონული სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, "სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის იურიდიული ადგილსამყოფელის მიხედვით."

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 31 ივლისის ბრძანებით (რომლითაც ძალადაკარგულად ჩაითვა 2008 წლის 26 თებერვლის #199 ბრძანება) განისაზღვრა გორის საგადასახადო ინსპექციის სამოქმედო ტერიტორია, რომლის შესაბამისადაც ინსპექციის სამოქმედო ტერიტორიაში შევიდა ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის მუნიციპალიტეტებიც.

გორის საგადასახადო ინსპექციის სამოქმედო ტერიტორია ანალოგიურად იყო განსაზღვრული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 23 აგვისტოს #550-ე და 2008 წლის 8 მაისის #419-ე ბრძანებებითაც.

რაიონული სასამართლოს მითითებით, მართალია, გორის საგადასახადო ინსპექციის იურიდიული მისამართი ქალაქი გორია, მაგრამ დარღვევის ფაქტი განხორციელებულია არა გორის, არმედ ყაზბეგის ტერიტორიაზე, რაზეც სამართლებრივი რეაგირება განხორციელდა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოიცა გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაშიც ასევე შედის ყაზბეგის მუნიციპალიტეტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს განმარტებით, მოცემული დავა წარმოადგენს მცხეთის რაიონული სასამართლოს განსჯად დავას, რომლის სამოქმედო ტერიტორიაც განისაზღვრება ყაზბეგის მუნიციპალიტეტით, საქმე კი არ განეკუთვნებოდა მაგისტრატი სასამართლოს განსჯად საქმეთა კატეგორიას.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 მარტის განჩინებით, მ. ა-ევის სასარჩელო განცხადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილველი საბჭოს მიმართ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილველი საბჭოს 2009 წლის 26 იანვრის #10/599 წერილის, შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 ოქტომბრის #2392 ბრძანების, გორის რეგიონალური ცენტრის 2008 წლის 11 ივნისის #45 და #46 საბაჟო შეტყობინებებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის #006766 და #006767 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს მოპასუხის ადგილ-

სამყოფელის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში მ. ა-ევს სარჩელი აღძრული აქვს მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, ... ქ. #16.

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე მხარეს გასაჩივრებული აქვს გორის რეგიონალური ცენტრის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, კერძოდ, 2008 წლის 11 ივნისის #45 და #46 საბაჟო შეტყობინებები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის #006766 და #006767 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმები, აღნიშნული საბაჟო სამართალდარღვევის ოქმები წარმოადგენს შუალედურ აქტებს და იგი თავისთავად არ იწვევს უშუალო სამართლებრივ შედეგს და ამდენად ვერ იქნება მიჩნეული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო მიუთითებს, რომ ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მოიაზრება ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი, მაგრამ არა სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, არაედ სწორად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გარეშე.

საბაჟო კოდექსის 217-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საბაჟო დავის დაწყების ფორმალური საფუძველია საბაჟო ორგანოს წერილობითი გადაწყვეტილება ან საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში წერილობითი გადაწყვეტილების მიუღებლობა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას და საბაჟო ორგანოს წერილობითი გადაწყვეტილების წარდგენის უზრუნველყოფის შემთხვევაში საბაჟო პროცედურების განმახორციელებელ პირს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს სადაო საკითხი გაასაჩივროს საქართველოს საგადასახადო კოდექსის VIII კარით დადგენილი წესით.

სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისას მოქმედი 235-ე მუხლის მე-2 და მე-8 ნაწილების შესაბამისად, ამ კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენისას დგება სამართალდარღვევის ოქმი; ოქმი დაუყოვნებლივ ეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ან გადაწყვიტოს სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების საკითხი. ამავე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან 30 დღის ვადაში საქმის განხილვის მასალებზე დაყრდნობით საბაჟო ორგანოს უფროსი/მისი მოადგილე იღებს გადაწყვეტილებას (გარდა ამ მუხლის მე-11 და მე-12 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), რომლიც ფორმდება საბაჟო შეტყობინებით.

საბაჟო კოდექსის 236-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი შეიძლება გასაჩივრდეს საბაჟო სანქციის შეფარდების შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან ერთად. ამასთანავე, ამ კოდექსის 235-ე მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული ოქმი არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ იგი შერულებულია ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების შედეგად. სასამართლოს მითითებით, ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, საბაჟო დავის დაწყების საფუძველია "საბაჟო შეტყობინება" და არა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი, სასამართლოს მიაჩნია, რომ საბაჟო სამართალდარღვევის საქმის ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს ადგილმდებარეობას, მოცემულ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები - 2008 წლის 11 ივნისის #45 და #46 საბაჟო შეტყობინებები გამოცემულია გორის რეგიონალური ცენტრის მიერ, რომლის მისამართია ქ. გორი ... ქ#50.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და განსჯადობის თაობაზე სასამართლოთა მოსაზრებების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ა-ევს სარჩელი მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ დავაში მოპასუხეს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო, ხოლო დავის საგანს - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 11 ივნისის #45 და #46 შეტყობინებების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილველი საბჭოს 2009 წლის 26 იანვრის #10/599 წერილისა და შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 ოქტომბრის #2392 ბრძანების ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ წინამდებარე შემთხვევაში დავა არის არა საგნობრივი განსჯადობის თაობაზე, არამედ დავას იწვევს ის საკითხი, ტერიტორიული განსჯადობის მიხედვით, გორის რაიონული სასამართლო წარმოადგენს თუ არა უფლებამოსილ სასამართლოს, განიხილოს მოცემული სარჩელი.

საკასაციო სასამართლოს განმტებით, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. ამავე კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აღნიშნული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

როგორც საქმის მასალებით დასტურდება დავის დაწყების საფუძველია "საბაჟო შეტყობინება" და არა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი, საკასაციო სასამართლო ეთანხმება მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსაზრებას, რომ საბაჟო სამართალდარღვევის საქმის ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გარკვევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს ადგილმდებარებას, მოცემულ შემთხვევაში კი სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები - 2008 წლის 11 ივნისის #45 და #46 საბაჟო შეტყობინებები გამოცემულია გორის რეგიონალური ცენტრის მიერ, რომლის მისამართია: ქ. გორი, ... ქ. #50.

ამასთან, საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა უფლებამოსულ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს საბჭოს გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ვადებში. ასეთ შემთხვევაში მოპასუხეა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის გამომცემი საგადასახადო ორგანო.

აღნიშნული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ საქმეში მოპასუხედ მითითებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო, გორის რაიონულ სასამართლოს, საქმის განსჯადობით გადაგზავნამდე, სარჩელის დაზუსტების შედეგად უნდა განესაზღვრა ვისკენ იყო მიმართული სასარჩელო მოთხოვნა და სსსკ-ის 15.1 მუხლის თანახმად, დაედგინა განსჯადი სასამართლო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ა-ევის სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

#ბს-539-510 (გ-09)

15 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა განსჯადობის შესახებ დავა გორის რაიონული სასამართლოსა და მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის.

სასამართლომ გამოარკვია:

ნ. გ-ოვმა 2009 წლის თებერვალში სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ და მოითხოვა დავების განხილვის საბჭოს 2009 წლის 26 იანვრის #10/601 გადაწყვეტილების, შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 ოქტომბრის #2391 ბრძანების, #006796 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის, გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 20 ივნისის #74-ე საბაჟო შეტყობინების ბათილად ცნობა.

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 თებერვლის განჩინებით ნ. გ-ოვის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

ნ. გ-ოვმა 2005 წლის 2 ივნისს გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი საკონტროლო გამშვებ პუნქტ "ყაზბეგის" მხრიდან, სადაც გამოიწერა შსტ ფორმა, რაც დღემდე არ არის მოხსნილი კონტროლიდან; გასაჩივრებული აქტის თანახმად კი ნ. გ-ოვს საქონლის საქართველოში შემოტანიდან 2 დღის ვადაში უნდა წარედგინა საბაჟო დეკლარაცია. ამ ფაქტზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მიღებულ იქნა გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ.

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილი; ასევე იმავე კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით.

გორის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა მოცემული დავის განხილვას გორის რაიონული სასამართლოს მიერ და განმარტა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 31 ივლისის ბრძანებით (რომლითაც ძალადაკარგულად ჩაითვა 2008 წლის 26 თებერვლის #199 ბრძანება) განისაზღვრა გორის საგადასახადო ინსპექციის სამოქმედო ტერიტორია, რომლის თანახმადაც, ამ ინსპექციის სამოქმედო ტერიტორიაში შევიდა ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის მუნიციპალიტეტები; გორის საგადასახადო ინსპექციის სამოქმედო ტერიტორია ანალოგიურად იყო განსაზღვრული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 23 აგვისტოს #550-ე და 2008 წლის 8 მაისის #419 ბრძანებებითაც.

გორის რაიონული სასამართლოს მითითებით, მართალია, გორის საგადასახადო ინსპექციის იურიდიული მისამართი ქალაქი გორია, მაგრამ თვით დარღვევის ფაქტი განხორციელდა არა გორის, არამედ ყაზბეგის ტერიტორიაზე, რაზეც სამართლებრივი რეაგირება განხორციელდა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოიცა გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორია ასევე განისაზღვრება ყაზბეგის მუნიციპალიტეტითაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გორის რაიონულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემული დავა მცხეთის რაიონული სასამართლოს განსჯადია, რომლის სამოქმედო ტერიტორიაც განისაზღვრება აგრეთვე ყაზბეგის მუნიციპალიტეტითაც; საქმე კი არ განეკუთვნება მაგისტრატი სასამართლოს განსჯადობას.

გორის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ზემოთმითითებულიდან გამომდინარე, გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. გ-ოვის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 მარტის განჩინებით ნ. გ-ოვის სასარჩელო განცხადება მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განმხილველი საბჭოს მიმართ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განმხილველი საბჭოს 2009 წლის 26 იანვრის #10/601 წერილის; შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 ოქტომბრის #2391 ბრძანების; გორის რეგიონალური ცენტრის 2008 წლის 20 ივნისის #74 საბაჟო შეტყობინების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის #006796 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ ნ. გ-ოვს სარჩელი აღძრული აქვს მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ, რომლის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, ... ქ. #16.

სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელეს გასაჩივრებული აქვს გორის რეგიონალური ცენტრის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები: 2008 წლის 20 ივნისის #74 საბაჟო შეტყობინება და აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის #006796 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი. აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმი წარმოადგენს შუალედურ აქტს და იგი თავისთავად არ იწვევს უშუალო სამართლებრივ შედეგს და ამდენად, ვერ იქნება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებად მიჩნეული.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გამოიყენა სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისას მოქმედი საბაჟო კოდექსის 235-ე მუხლის მეორე და მერვე ნაწილები.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში საბაჟო დავის დაწყების საფუძველია "საბაჟო შეტყობინება" და არა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი, ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ საბაჟო სამართალდარღვევის საქმის ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს ადგილმდებარეობას. მოცემულ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი - 2008 წლის 20 ივნისის #74 საბაჟო შეტყობინება გამოცემულია გორის რეგიონალური ცენტრის მიერ, რომლის მისამართია ქ. გორი, ... ქ. #50.

მოსარჩელის მიერ ასევე გასაჩივრებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განმხილველი საბჭოს 2009 წლის 26 იანვრის #10/601 წერილი და შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 ოქტომბრის #2391 ბრძანება; აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია გორის რეგიონალური ცენტრის 2008 წლის 20 ივნისის #74 შეტყობინების კანონიერების შემოწმებასთან დაკავშირებით ნ. გ-ოვის საჩივარზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. გ-ოვის სასარჩელო განცხადება განსახილველად ექვემდებარება გორის რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის I ნაწილი, ასევე, III ნაწილი და მიუთითა, რომ სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო, რის გამოც განსჯადობის დავის გადასაწყვეტად საქმე გადაუგზავნეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად თვლის, რომ ნ. გ-ოვის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ დავაში მოპასუხეს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო, ხოლო დავის საგანს - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის #006796 საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი, გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი,

2008 წლის 20 ივნისის #74 საბაჟო შეტყობინება, შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 ოქტომბრის #2391 ბრძანება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2009 წლის 26 იანვრის #10/601 ადმინისტრაციული აქტი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. ამ კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მცხეთის რაიონული სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ საბაჟო დავის დაწყების საფუძველია საბაჟო შეტყობინება, სწორედ ამიტომ საქმის ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს ადგილმდებარეობას. მოცემულ შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - 2008 წლის 20 ივნისის #74 საბაჟო შეტყობინება გამოცემულია გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ, რომლის მისამართია ქ.გორი სამეფოს ქ.#50.

მოსარჩელის მიერ ასევე გასაჩივრებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განმხილველი საბჭოს 2009 წლის 26 იანვრის #10/601 წერილი და შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 ოქტომბრის #2391 ბრძანება; აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია გორის რეგიონალური ცენტრის 2008 წლის 20 ივნისის #74 შეტყობინების კანონიერების შემოწმებასთან დაკავშირებით ნ. გ-ოვის საჩივარზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელი განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის გათვალისწინებით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით და მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. გ-ოვის სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ დავების განხილვის საბჭოს 2009 წლის 26 იანვრის #10/601 გადაწყვეტილების, შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 1 ოქტომბრის #2391 ბრძანების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო სამართალდარღვევის 2008 წლის 31 მაისის ოქმი #006796-ის, გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 20 ივნისის #74-ე საბაჟო შეტყობინების ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად გორის რაიონულ სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

#ბს-858-820(გ-09) 1 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 7 სექტემბერს სს "სამტრედია-2000"-ის დირექტორმა ა. ტ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების - ქუთაისის საგადასახადო ინსპექციისა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის #924, #925, #926, #927, #928, #929 საინკასო დავალებების გაუქმებისა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის დავალიანების სახით 117172 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 მარტის განჩინებით ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის საინკასო დავალებების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება, ხოლო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი დასაშვებად იქნა ცნობილი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 დეკემბრის განჩინებით განსახილველ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით სს "სამტრედია-2000-ის" სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დავალა 117172 ლარს გადახდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 5 მაისის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლის შუამდგომლობა; სს "სამტრედია-2000-ის" სარჩელი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე განსჯადობით განსახილველად ადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად სარჩელი სასამართლოს წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იურიდიული პირის მიმართ კი მისი იურიდიული მისამართის მიხედვით. სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც იურიდიული პირის მიმართ, წარედგინება იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის აღნიშნული ორგანოს ადგილსამყოფელი. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, რომლის იურიდიული მისამართი იყო ქ. თბილისი, ... ქ. #5^ა, სასამართლომ მიიჩნია, რომ სს "სამტრედია-2000-ის" სარჩელის განხილვა უნდა მომხდარიყო იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობდა მოპასუხე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის განჩინებით სს "სამტრედია-2000-ის" სარჩელი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 16-ე მუხლის მეორე ნაწილსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 386-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მესამე

ნაწილის თანახმად, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სს "სამტრედია-2000-მა" საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სარჩელი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში აღძრა ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ #924, #925, #926, #927, #928, #929 საინკასო დავალებების გაუქმების მოთხოვნით და ასევე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ დავალიანების სახით 117172 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 მარტის განჩინებით ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის საინკასო დავალებების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება, ხოლო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი დასაშვებად იქნა ცნობილი. შესაბამისად, განსახილველ საქმეში ერთადერთ მოპასუხე მხარეს წარმოადგენს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ა" პუნქტის თანახმად.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ საქმე განხილულ უნდა იქნას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საერთო განსჯადობის წესების დაცვით და ეთანხმება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, რომლის მიხედვითაც, ვინაიდან, საქმეში ერთადერთ მოპასუხე მხარეს წარმოადგენს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, რომლის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ... ქ. #5^ბ, სარჩელი განხილულ უნდა იქნას იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული სარჩელის შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იგი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქმე სს "სამტრედია-2000-ის" სარჩელისა გამო საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1128-1076(გ-09) 1 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

ნ. ქადაგიძე

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 17 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია) მოვალის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ღია აუქციონის გამართვის შესახებ შუამდგომლობით (განცხადებით) მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

განმცხადებლის განმარტებით, შპს "თბილისი-8" რეგისტრირებული იყო 2005 წლის 28 ივნისს გარდაბნის საგადასახადო ინსპექციაში, გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე იყო რუსთავის რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია).

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ 2009 წლის 5 აგვისტოს მდგომარეობით შპს "თბილისი-8-ს" ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულებების ოდენობა სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ შეადგენდა 556621,89 ლარს, აქედან ძირითადი თანხა - 436808,50 ლარი, ხოლო სანქცია-საურავი - 119813,39 ლარი. განმცხადებელმა აგრეთვე მიუთითა, რომ გადამხდელი ნებაყოფლობით არ ახდენდა აღნიშნული საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას კანონით დადგენილ ვადაში და წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 87-ე და 88-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის #10 და #14 დადგენილებების და საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის VII⁵ თავის შესაბამისად, ყადაღის აქტში ჩამოთვლილ შპს "თბილისი-8-ის" საკუთრებაში არსებული ყადაღადადებული უძრავ-მოძრავი ქონების რეალიზაციის მიზნით ღია აუქციონის გამართვის შესახებ ბრძანების მიღება მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 18 აგვისტოს განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის შუამდგომლობა მოწინააღმდეგე მხარე შპს "თბილისი-8-ს" მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII⁵ თავით გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით. ამავე კოდექსის 21²¹ მუხლის თანახმად ბრძანებას გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, გამოსცემდა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმადაც იურიდიული პირის ადგილსამყოფელად ითვლებოდა მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).

რუსთავის საქალაქო სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ საქმის მასალებით დადგენილი იყო შპს "თბილისი-8-ის" იურიდიული მისამართი, კერძოდ გარდაბნის რაიონი, სოფელი . . .

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 აგვისტოს განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შუამდგომლობა მოწინააღმდეგე მხარე შპს "თბილისი-8-ის" მიმართ განსჯადობის დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²¹ მუხლის თანახმად, გადამხდელის ადგილსამყოფელად ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე იგულისხმება გადასახადის გადამხდელის რეგისტრაციის ადგილი (მოცემულ შემთხვევაში ქ. რუსთავი) და არა ამ მეურნე სუბიექტის იურიდიული მისამართი ან ქონების ადგილსამყოფელი. თუ ამ კანონის მიერ ნაგულისხმები იქნებოდა იურიდიული მისამართი ან ქონების ადგილსამყოფელი, აღნიშნულს არეგულირებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-18 მუხლები. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²¹ მუხლიც ჩაითვლებოდა სპეციალურ ნორმად.

ამდენად, გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობა რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯადი იყო, რის გამოც საქმე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, უნდა გადაგზავნოდა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა რუსთავის საქალაქო სასამართლოს და გარდაბნის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის დაყადაღებული ქონების ღია აუქციონის გზით რეალიზაციის შესახებ შუამდგომლობის (განცხადების) განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს გარდაბნის რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII⁵ თავით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადაღებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²¹ მუხლზე, რომლის თანახმად, ბრძანებას გადასახადის გადამხდელის ყადაღადაღებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის პირველის ნაწილის თანახმად იურიდიული პირის ადგილსამყოფელად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი, საქმის მასალებიდან კი ირკვევა, რომ შპს "თბილისი-8"-ის ადგილსამყოფელია გარდაბნის რაიონი, სოფელი აღთაქლია.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება გარდაბნის რაიონული სასამართლოს განმარტებას, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21²¹ მუხლში აღნიშნული გადამხდელის ადგილსამყოფელი გადასახადის გადამხდელის რეგისტრაციის ადგილია და განმარტავს, რომ აღნიშნულ მუხლში მითითებული გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელში იგულისხმება არა გადამხდელის რეგისტრაციის ადგილი, არამედ მისი იურიდიული მისამართი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში ყადაღადაღებული ქონების ღია აუქციონის გზით გასხვისების შესახებ შუამდგომლობა (განცხადება) განსჯადობით გადასაწყვეტად უნდა გადაეგზავნოს გარდაბნის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ყადაღადაღებული ქონების ღია აუქციონის გზით გასხვისების შესახებ შუამდგომლობა (განცხადება) განსჯადობით გადასაწყვეტად გადაეგზავნოს უფლებამოსილ გარდაბნის რაიონულ სასამართლოს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

#ბს-1126-1075(გ-09) 8 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს შორის დავა ნ. მ-ძის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 23 ივლისს ნ. მ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველოს 2009 წლის 28 მაისის #3092 მიმართვის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 11 ივნისის #882009158377 გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 10 ივლისის #14220 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასა და საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულებას ახალი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 ივლისის განჩინებით ნ. მ-ძის სარჩელი მოპასუხეების: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველოს 2009 წლის 28 მაისის #3092 მიმართვის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 11 ივნისის #882009158377 გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 10 ივლისის #14220 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს.

ადმინისტრაციული კოლეგია განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მესამე თავით მოწესრიგებულია სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. სსკ-ის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამდენად, სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც იურიდიული პირის მიმართ წარედგინება იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის აღნიშნული ორგანოს ადგილსამყოფელი. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის (განსაკუთრებული განსჯადობა) პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლო კოლეგიის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მოპასუხეებად დასახელებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახური, რომელთა იურიდიული მისამართი განსხვავებულია. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფას-

თან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილ-სამყოფელის მიხედვით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში სადავოა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სამსახურის 2009 წლის 11 ივნისის #882009158377-03 გადაწყვეტილება, რომლითაც რეგისტრირებულ იქნა სახელმწიფოს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე მდებარე ქ. საგარეჯოში, ... ქ.#20. ასევე სადავოა აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, რომლითაც უარი ეთქვა მოსარჩელეს საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნაზე უძრავ ნივთზე, რომელიც მდებარეობს საგარეჯოში, დ. აღმაშენებლის #20-ში. სასამართლოს განმარტებით, მართალია მოსარჩელე ერთ-ერთ მოპასუხედ მიუთითებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მაგრამ მოთხოვნა მიმართულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველოსადმი. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით სარჩელის განხილვა უნდა მომხდარიყო იმ სასამართლოს მიერ რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება.

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 აგვისტოს განჩინებით ნ. მ-ძის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეწავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, სარჩელი რამოდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში ადგილი აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, რა დროსაც მოსარჩელემ, გამოხატა რა თავისი ნება, განსჯად სასამართლოდ აირჩია სასამართლო ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი ნივთობრივი განსჯადობა იმპერატიულ ხასიათს არ ატარებს და არ ზღუდავს მოსარჩელეს აირჩიოს სასაურველი სასამართლო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. მ-ძის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი ზოგადად უშვებს სასამართლოებს შორის დავას, რაც ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სამოქალაქო სასამართლოებისაგან განსხვავებით, დაიშვება არა მხოლოდ საგნობრივ განსჯადობასთან დაკავშირებული დავა, არამედ აგრეთვე ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებული დავა.

მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს ზემოაღნიშნულ სასამართლოებს შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე წარმოშობილ დავას და თავის მხრივ განმარტავს შემდეგს: ადმინისტრაციული სამართალწარმოება ცალკე დამოუკიდებლად არ შეიცავს და აწესრიგებს ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების ტერიტორიულ განსჯადობას. რაც საკასაციო სასამართლოს, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე აძლევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების გამოყენების შესაძლებლობას.

ტერიტორიული განსჯადობა წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15-24-ე მუხლებით.

ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. აღნიშნული წარმოადგენს საერთო პრინციპს და ასახულია სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლში. ამ პრინციპის მიხედვით ხდება ნებისმიერი სარჩელის აღძვრა სასამართლოში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არაა დადგენილი.

მიუხედავად აღნიშნული საერთო პრინციპისა, კანონმდებელი უშვებს გამონაკლისს, რომლის რეგულაციებიც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16-24-ე მუხლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლი შეიცავს იმ სარჩელების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება აღიძვროს ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით, ამასთან საკითხი შეეხება მხოლოდ უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ უფლებებს. მართალია, მითითებული მუხლი ამკვიდრებს ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით სარჩელის აღძვრის მხოლოდ შესაძლებლობას, რაც არ გამოორიხება საერთო განსჯადობას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიმართულ უფლებას ან სასამართლო ურთიერთობას ეხება, შეადგენს იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება.

გამომდინარე იქიდან, რომ უძრავი ნივთი, რომლის უფლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობს ქ. საგარეჯოში, ამასთან საქმეზე ფაქტობრივად მოპასუხე მხარის ადგილსამყოფელი არის ქ. საგარეჯო, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ნ. მ-მის სარჩელი განჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. მ-მის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს;
2. განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს;
3. განჩინება განსჯადობის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. განსჯადობა მოსარჩელის არჩევით

განჩინება

#ბს-622-590 (გ-09)

15 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა განსჯადობის შესახებ დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის.

სასამართლომ გამოარკვია:

გ. ნ-მემ 2008 წლის დეკემბერში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ქ. სიღნაღში, ... ქ.#2-ში მდებარე ყოფილი სამრეცხაოს შენობა-ნაგებობის სახელმწიფოს სახელზე არსებული უკანონო რეგისტრაციისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 21 ნოემბრის #01/11-6845/3960/5 წერილის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 მარტის განჩინებით გ. ნ-მის სარჩელი მოპასუხეების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ასევე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 21 ნოემბრის #01/11-6845/3960/5 გადაწყვეტილების კანონიერებას, რომლითაც უარი ეთქვა მოსარჩელეს სახელმწიფოს საკუთრების უფლების გაუქმებისა და მისი საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ქ. სიღნაღში, ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ნ-ძის სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, მოცემულ შემთხვევაში სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, მე-16 მუხლები.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 აპრილის განჩინებით ერთი დონის სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად გ. ნ-ძის სარჩელი (საქმე #3/8-09წ) გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სიღნაღის რაიონულ სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ნ-ძის სარჩელი წარდგენილ იქნა განსჯად სასამართლოში, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს მოცემული ადმინისტრაციული საქმე იმის მიუხედავად, იქნებოდა თუ არა შემდგომ თანამოპასუხედ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახური. სასამართლოს მოსაზრებით, მართალია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ადგენს განსაკუთრებული განსჯადობის წესებს რამდენიმე მოპასუხის არსებობის ან უძრავ ნივთებთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში, მაგრამ იგივე ნორმა ადგენს ასეთის შესაძლებლობას და არა ასეთის აუცილებლობას; ამიტომ სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ გ. ნ-ძის მიერ სარჩელის წარდგენა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, დისპოზიციურობის შესაბამისად მის მიერ განსაზღვრული მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, სრულ შესაბამისობაშია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 (საერთო განსჯადობა), მე-16 (განსაკუთრებული განსჯადობა) და მე-18 (ნივთობრივი განსჯადობა) მუხლებთან. სასამართლომ მოსაზრებით, მოსარჩელე ხსენებული ნორმების შესაბამისად არჩევანს აკეთებს სარჩელის წარდგენისას და მას ასეთივე ექსკლუზიური უფლება აღარ აქვს შენარჩუნებული უფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის სწორად წარდგენის შემდგომ, მით უფრო, როცა სასამართლომ განსჯადობისამებრ იგი უკვე მიიღო წარმოებაში და შეუდგა საქმის განხილვას.

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს. სასამართლოს მოსაზრებით, საპროცესო სამართლის მოცემული ნორმის დანაწესი მოქმედებს, თუნდაც წარმოებაში მიღებული საქმე შემდგომში აგრეთვე სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად თვლის, რომ გ. ნ-ძის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სიღნაღის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოსარჩელე გ. ნ-ძემ 2008 წლის დეკემბერში სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ქ. სიღნაღში, ... ქ. #2-ა-ში მდებარე ყოფილი სამრეცხაოს შენობა-ნაგებობის სახელმწიფოს სახელზე არსებულ უკანონო რეგისტრაციის (განაცხადის რეგისტრაციის #2235/08. 11.09.2008წ.) ბათილად ცნობა; ასევე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 21 ნოემბრის #01/11-6845/3960/5 წერილის ბათილად ცნობა. მას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ რეესტრირებული მონაცემებზე ადმინისტრაციული საჩივარი უნდა წარდგენილ იქნას სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელე გ. ნ-ძეს განესაზღვრა სარჩელში არსებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად ვადა იმის გამო, რომ სარჩელის მეორე მოთხოვნასთან მიმართებაში უნდა დაეზუსტებინა მოპასუხე. მოსარჩელემ ხარვეზის შევსების მიზნით სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი და

მოპასუხეებად მიუთითა როგორც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურიც.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, ეს ნორმა ადგენს ტერიტორიულ განსჯადობის წესს. იმავე კოდექსის მე-18 მუხლის პირველ ნაწილის თანახმად კი სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთვისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილება-სა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, იგი გადაეცემა სასამართლოს მოსარჩელის არჩევით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 მარტის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე გ. ნ-ძის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ერთ-ერთ მოპასუხეს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახური, რის გამოც მოსარჩელე გ. ნ-ძე თანახმაა, საქმე განსჯადობით გაიგზავნოს სიღნაღის რაიონულ სასამართლოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად სწორად გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე; ხოლო იმავე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს წარმოადგენს სიღნაღის რაიონული სასამართლო, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, გ. ნ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სიღნაღის რაიონულ სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით და მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. გ. ნ-ძის სარჩელი მოპასუხეების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ქ. სიღნაღში . . . ქ.#2-ში მდებარე ყოფილი სამრეცხაოს შენობა-ნაგებობის სახელმწიფოს სახელზე არსებული უკანონო რეგისტრაციისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 21 ნოემბრის #01/11-6845/3960/5 წერილის ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს სიღნაღის რაიონულ სასამართლოს;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სიღნაღის რაიონულ სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე განცხადების განსჯადობა

განჩინება

#ბ-2312-7(გან-09) 10 სექტემბერი, 2009 წ. , ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილისა და 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა ი/მ "თ. გ-ანის" განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განჩინების განმარტების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება.

2009 წლის 20 აგვისტოს ი/მ "თ. გ-ანმა" განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომელშიც მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განჩინებაში დასაბუთებულია, რომ თ. გ-ანი არის სადავო გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი, რომლის მიმართ სადავო საგადასახადო მოთხოვნა წარდგენილია როგორც ფიზიკური პირის მიმართ, რის გამოც მოსარჩელე მიეკუთვნება მოქმედი საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის 21-ე ნაწილის სუბიექტს და მიწის გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებულ პირს.

განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნული საქმე 2005 წლის 13 ოქტომბრიდან დაწყებული 2007 წლის 22 ნოემბრამდე იყო სასამართლოების წარმოებაში და მისთვის გაურკვეველია, რა თანხა უნდა დამატებოდა ან რამდენად მართებულია სასამართლო წარმოებაში მყოფ საქმეზე ძირითადი თანხის გაზრდა.

აღნიშნულის საფუძველზე თ. გელოვანმა მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განჩინების განმარტება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ი/მ "თ. გ-ანის" განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განჩინების განმარტების თაობაზე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხრეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

ამდენად, აღნიშნული მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების განმარტებას ახდენს ის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება.

როგორც წინამდებარე საქმეში დაცული მასალებიდან იკვეთება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განჩინებით უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-

ტის 2007 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც თ. გ-ანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება, თ. გ-ანის სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 25 ივლისის #120 საგადასახადო მოთხოვნა. ამდენად, ზემოაღნიშნულ საქმეზე არსებითი გადაწყვეტილების მიმდებ სასამართლოს წარმოადგენს ქუთაისის სააპელაციო სასამართლო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი/მ "თ. გ-ანის" განცხადება განსახილველად უნდა გადაეგზავნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ი/მ "თ. გ-ანის" განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განსჯადობა

განჩინება

#ბ-129-3(ა-09) 16 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. სილაგაძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 401-ე და 429-ე მუხლების საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი.

გამოარკვია:

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 27.05.03წ. გადაწყვეტილებით ს. ყ-შვილს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რაც მან საკასაციო წესით გაასაჩივრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 03.06.04წ. განჩინებით ს. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 23.05.03წ. გადაწყვეტილება გაუქმდა სადავო დამხმარე ფართთან დაკავშირებით, კულტურის სამინისტროსა და ა. შ-შვილს შორის 27.12.95წ. დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

საქმე არაერთგზის განიხილა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლომ და ბოლოს, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 13.01.05წ. გადაწყვეტილებით ს. ყ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს უარი ეთქვა 27.12.95წ. პრივატიზების ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. ყ-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 20.07.05წ. განჩინებით ს. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 13.01.05წ. გადაწყვეტილება.

ს. ყ-შვილმა 05.02.09წ. განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, რომლითაც თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 27.05.03წ. და 13.01.05წ. გადაწყვეტილებების, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 03.06.04წ. და 20.07.05წ. განჩინებების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ მითითებულ საკითხზე საკასაციო პალატის მიერ ახალი გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.06.04წ. განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საოლქო სასამართლოს, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 20.07.05წ. განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 13.01.05წ. გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424.1 მუხლის საფუძველზე, განსახილველი განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია. განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას იხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ს. ყ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განსჯადობა

განჩინება

#ბ-593-4(ა-09)

26 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 401-ე და 429-ე მუხლების საფუძველზე ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ა. ლ-შვილის განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი.

სასამართლომ გამოარკვია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.11.06წ. გადაწყვეტილებით სარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელე - ა. ლ-შვილს უარი ეთქვა მოპასუხის - სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს დავალდებულებაზე, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე ა. ლ-შვილის უმუ-

შევრად დარეგისტრირების (რეგისტრირებული უმუშევრის სტატუსის მინიჭების) და უმუშევრის შემწეობის გაცემის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ლ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.04.08წ. განჩინებით ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.11.06წ. გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ლ-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 31.12.08წ. განჩინებით ა. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.04.08წ. განჩინება სს "თელასის" საქმეში მესამე პირად ჩართვაზე უარის თქმის შესახებ, ამავე პალატის 07.04.08წ. განჩინება ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და 18.04.08წ. განჩინება სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანაზე უარის თქმის შესახებ;

ა. ლ-შვილმა 16.02.09წ. განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ მითითებულ საკითხზე საკასაციო პალატის მიერ ახალი გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.11.06წ. გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.04.08წ. განჩინებით, ხოლო აღნიშნული განჩინება უცვლელად იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 31.12.08წ. განჩინებით, რომლითაც საქმის წარმოება არ შეწყვეტილა, არამედ დასრულდა.

სსკ-ის 424.1 მუხლის საფუძველზე საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველი განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია. განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას იხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ა. ლ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განსჯადობა

განჩინება

#ბ-1982-18(ა-09)

8 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქმის წარმოების განახლების შესახებ სს "... " წარმომადგენლის დ. ც-ძის განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

12.10.01წ. სს "... " სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა სამინისტროს 14.08.01წ. #103 ბრძანების ბათილად ცნობა. სს "... " დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის 14.08.01წ. #103 და 18.07.02წ. #106 ბრძანებების ბათილად ცნობა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 17.06.03წ. გადაწყვეტილებით სს "... " სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საოლქო სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა სს "... " მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 27.09.04წ. განჩინებით სს "... " საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის (ამჟამად ეკონომიკური განვითარების) მინისტრის 14.08.01წ. და 18.07.02წ. ბრძანებების იმ ნაწილის ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში, რომლითაც სს "... " ანგარიშსწორების ანგარიშიდან 1 115 170 ლარის ამოღება დადგინდა და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

29.06.09წ. სს "... " წარმომადგენლმა დ. ც-მემ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 27.09.04წ. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის, რომლითაც უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილი, გაუქმდა და ამ ნაწილში საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გასაჩივრებული განჩინებისა და წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად თვლის, რომ სს "... " წარმომადგენლის დ. ც-მის განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 424.1 მუხლის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 27.09.04წ. განჩინებით სს "... " საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის (ამჟამად ეკონომიკური განვითარების) მინისტრის 14.08.01წ. და 18.07.02წ. ბრძანებების იმ ნაწილის ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში, რომლითაც სს "... " ანგარიშსწორების ანგარიშიდან 1 115 170 ლარის ამოღება დადგინდა და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად. ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ მითითებულ საქმეზე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა და საკასაციო სასამართლო სსკ-ის 424.1 მუხლის შესაბამისად, არაუფლებამოსილია განიხილოს განცხადება.

განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელი ითხოვს განჩინების იმ ნაწილის გაუქმებას, რომლითაც თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილი დარჩა უცვლელად. განცხადება განსახილველად უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს. ასკ-ის 35.3 მუხლის თანახმად, საოლქო სასამართლოსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიერ 2005 წლის 15 ივლისამდე წარმოებაში მიღებული საქმეები, რომელთა განხილვა წარმომადგენს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს უფლებამოსილებას, გადაეცემა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს. შესაბამისად, სს "... " წარმომადგენლის დ. ც-მის განცხადება უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 424-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს "...“ წარმომადგენლის დ. ც-ძის განცხადება გადაეცეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.